დღე დგება უტყვი და უჩვევი,
მეწამულ ბილიკზე ვდგები, -
ვაჩუქოთ ერთმანეთს სიცოცხლე,
გავუთბოთ ერთმანეთს მკლავები.
თქვენს ლამაზ ფიქრებში ვიჭრები,
თქვენს სარკმელს ვაწყდები თრთოლვით,
ვაჩუქოთ ერთმანეთს წვიმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თოვლი.
ყველას სიყვარულში გიტყდებით,
გლოცავთ და მიშრება ყელი, -
ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ცრემლი!
გავუგოთ ერთმანეთს უკლებლივ,
ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, -
ავუვსოთ ერთმანეთს გულები,
სიყრმის და სიცოცხლის რწმენით!




ვპოვოთ ერთმანეთი ღვთის ნებით.
სიტყვა გამოვნახოთ თბილი, -
ლოცვით მიმოვყაროთ ნისლები,
ფარად ავეფაროთ თბილისს!
ავუნთოთ ერთმანეთს სანთლები,
შევუწყოთ ერთმანეთს ხმები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ზღაპრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს წლები.
ო, სისხლო, რა უცებ წყალდები,
ო, გულო, რა უცებ თვრები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს თვალები,
ვაჩუქოთ ერთმანეთს ფრთები.
ხორხს ცხელი სიმღერით ვიღადრავ,
ვფხიზლობ და ვჩურჩულებ: - ამინ!
დავუთმოთ ერთმანეთს დილა და
დავუთმოთ ერთმანეთს ღამე!



ისტორიისთვის

## ფორტუნა და ფიასკო ეროვნული მოძრაობისა

შტრიხები

## ბიჭი ბებიას მედალიონიდან



ქრისტე აღსდგა!

აღდგომის დღესასწაულს გილოცავთ დღევანდელი ნომრის სპონსორი, ექიმი ვიქტორ გრიბენკო

ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში * აპრილი, 2009 N51 * გამოცემის მე-6 წელი * ასავალ-დასავალის პარტნიორობით



მამული

**გაზეთ „მამულის“ რედაქცია დღევანდელი ნომრიდან იწყებს ახალი საგაზეთო სერიალის ბეჭდვას საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ და უძღვნის ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ზუსტად 20 წლის წინათ, 1989 წლის 9 აპრილის დილას ზვარაკად შეწირულთა ხსოვნას.**

# ფორტუნა და ფიასკო

## ქართული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობისა



### 1. პროლოგი

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელიწადს წიწამურის გზაზე მოკლეს ილია ჭავჭავაძე... მეოცე საუკუნის დასასრულამდე შვიდი წლით ადრე ოდიშის ტყეებში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ზვიად გამსახურდია.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან მეშვიდე წელიწადს ზვიადი თერგდალეულივით საქართველოში დაბრუნდა ახალი და ზეადამიანური ცხოვრების დასაწყებად, დაბრუნდა და ასი წლის წინანდელი გზა გაიარა დიდი თერგდალეულივით მცხეთიდან მთაწმინდის პანთეონამდე, ესაა მხოლოდ, რომ ილია სვეტიცხოველში არ დაუსვენებიათ.

ასი წელი საქართველო ჭედდა ქართველი ერის თვითშეგნებას წმინდანების და გმირების სიცოცხლის ფასად, დიდი კაცების წამებულის გვირგვინით მოსილი მაღალი შუბლიდან დადენილი სისხლი ქართველობის ტკივილად რომ შეიცნობოდა და ასუფთავებდა ერის ცნობიერებას, რათა ყოფიერებაში მტკიცენი შერკინებოდნენ ხილულ და უხილავ მტრებს.

ზვიადი დაბრუნდა საქართველოში, მას უსაზღვრო მოთმინებით ელოდა სამშობლო.

### 2. პრედისტორია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა

საქართველოს ისტორიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იწყებოდა ყოველთვის მაშინ, როცა ქვეყანას ახალ-ახალი დამპყრობელი შემოეძალებოდა. ეს ბუნებრივია, რადგან ქართველი ერი მცირერიცხოვანი ერი ვართ და ამავდროულად ჩვენში თავისუფლების ნიში ისე ღრმადაა გამჯდარი, რომ მომხვდურს ღირსეულად ვხვდებოდით და ჩვენს თავისუფლებას ამით ვიცავდით. ეს სიტყვები რომ არ არის ტრაფარეტული გამოთქმები და იგი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ამას თავად ქართველი ერის ისტორია მოწმობს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობანი საქართველოში ბევრი და ბევრნაირი ყოფილა. ზოგი სპონტანურ და დროებით ხასიათს ატარებდა, ზოგიც კიდევ კარგად ორგანიზებული და შორეულ მიზნებისთვის ახალი იდეებით აღჭურვილ თანამოაზრეთა (დავარქვათ ამას პატრიოტთა) ჯგუფის მოღვაწეობის ნაყოფს წარმოადგენდა. ამასთანავე ყოველ ასეთ მოძრაობას საგანგებო მიზეზები, მიზნები და იდეოლოგიური წინამძღვრები ჰქონდა. ამ ნიშანთა ამომწურავად შემეცნების შედეგად დასტურდებოდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი, მიზნობრივად გამართლებული და პოლიტიკურად დახვეწილი მოძრაობა იყო, მსოფლიო ამინდის გათვალისწინებით.

ყოველივე ასეთ მოძრაობას თავისი იდეოლოგიური ბაზისი გააჩნდა. ქართველი ერი გაუაზრებლად და შექმნილი ვითარების გაუთვალისწინებლად სერიოზულ ღონისძიებებს არასოდეს მიმართავდა. ჩვენთვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო დათმენის ნიჭი, რათა შესაფერისი მომენტისათვის მიგვეგნო თავშესაფარად და ყველაზე დაცულად გვეგრძნო თავი, როცა მტერი დასუსტდებოდა, ან თუ მას მისივე თანაბარი ძალის მტერი გამოუჩნდებოდა და იგი ჩვენ დაგვადგამდა თვალს, (მაგალითისთვის სპარსეთ-ოსმალეთის, სპარსეთ-ბიზანტიის, რუსეთ-სპარსეთის, რუსეთ-ოსმალეთის ცნობილი დაპირისპირებანი). ყველა სიკეთესთან ერთად ბევრი უცნაურობაც ჩავიდინეთ. ეს ყველაზე მეტად XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ყოფა-ცხოვრებაზე აისახა.

ჩვენ ხშირად ვიყავით დაპყრობილი ერი და გვიწევდა თავი დაგვეცვა, ან კიდევ თავი დაგვეხსნა დამპყრობლისგან. ამისთვის საუკუნეობით შემუშავებულ სტრატეგიას მივმართავდით. სტრატეგია კი დაფუძნებული იყო უმთავრესად გეოგრაფიულ-პოლიტიკურ მდებარეობა-მდგომარეობაზე. საშუალო საუკუნეების მენტალიტეტი თავის წილ მსოფმხედველობას აქსოვდა, ანტიურ ეპოქებში კი ყველაფერი ეს ძალაზე და ძალმომრეობაზე იყო დამოკიდებული. ქრისტიანობამ ეროვნულ თვითშეგნებაში რელიგიური წესრიგისა და თავდადების ელემენტები შემოიტანა. ერთგულების ცნება ქართველთათვის შინაგან მოთხოვნილებად და ზნეობრივ პრინციპად ჩამოყალიბდა, ერთგულება ვიღაცის მიმართ (ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ან სამშობლო, ან მტერი, ან მოყვარე, ან კიდევ სხვა პარამეტრებით ამორჩეული სუბიექტი), მაგრამ მაინცა და მაინც ერთგულება. ასეთი ერთგულებით მივედით რუსეთამდე და რუსეთმა ეს ერთგულება ბოროტად გამოიყენა. სწორედ ეს ერთგულება გახდა ჩვენი დამონებისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების წინაპირობა. ვუერთგულეთ ფიცს ერთმორწმუნეობის დროშით.

სამაგიეროდ ბოლომდე ვუერთგულეთ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და ვერავინ შესძლო შეებღალა ჩვენი რწმენა - ეს ვერც ურჯულომ შესძლო, ვერ რჯულიერმა გადამთიელმა (მხედველობაში მაქვს რომაული კათოლიციზმი) და ვერც ერთმორწმუნე თანამორჯულემ. ეკლესიები დაგვინგრიეს, ფრესკები წაგვიშალეს, საეკლესიო პირები დახვრიტეს, ზოგიც გააციმბირეს, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც გეორგიანულ ქრისტიანობაზე ვიდექით (ეს მებრძოლი ქრისტიანობაა მართლმადიდებლური სარწმუნოების სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მეთოდური განშტოება და არა კანონიკურობის თვალსაზრისით).

### 3. ბედგაუტეხელი ციხის იდეოლოგია

ქართულ მითოლოგიაში ნათლად იკვთება ეროვნული ღირებულებების შემეცნების იდეოლოგიური ნიუანსები. მთელი ამ მოძღვრების კონსტრუქცია ბედგაუტეხელი ციხის ალეგორიაშია კოდიფიცირებული. მორიგე ღმერთის სამყოფელია ცხრათვალა ბედგაუტეხელი ცასაწვდენილი ციხე, რომელიც კავკასიონის ყველაზე მაღალ მთაზე დგას და იქ ღმერთების კარია და ამ ციხეს ბედგაუტეხელი ჰქვია. მთელი ამ ციხის ღერძი ციხის შუაგულში ამოსულ ალვის ხეშია, რომელსაც ფესვები ქვესკნელში აქვს გადგმული, ხოლო კენწეროში ყურძენი ასხია, ხის წვერშივე გამობმულია ცხრაწვერი ოქროს ჯაჭვი. ხის ფესვებიდან უკვდავების წყარო გადმოედინება, რომელსაც ღვთაებრივი თეთრი გველეშაპი იცავს. წყაროს მდინარება დარანას არხშია მოქცეული, ანუ ბედისწერის სამალავში.

ასეთია მოკლედ და ზოგადად მითოლოგიურ ტექსტებში მოცემული ბედგაუტეხელი ციხის მოდელი. მასში ზღაპრულ ფორმებში შეფარულია ქართველთა ტომების სულიერი მისია. ზოგადი ასპექტები და კონკრეტიზებული ერის აზროვნება მაინცა და მაინც ბედის გაუტეხელობაზეა აგებული. თუ ბედი არ გატყდა, ერის ცნობიერებაში ის ალვასავით ზღაპრულად მაღალი, არათუ დიდი, მაღალი, სუსტი, მაგრამ დრეკადი, ქარტეხილთა გამძლე და მეხთამრიდი იქნება, სკნელში ნაყოფწართმეული, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი ბოლო ჟამამდე ცასაწვდენილი კენწეროთი და იქ ღვთიური ნაყოფით დაჯილდოებული საზედაშე ყურძნით, რადგან ზეცაშია მისი ნაყოფი უფლის სისხლით შევსებული - ე.ი. ზედაშე. მითუმეტეს, თუ ფესვები ღრმადაა გადგმული ქვესკნელამდე (და არა ჯოჯოხეთამდე), საიდანაც ამოედინება უკვდავების წყარო. სიძლიერე ამაზე უკეთესად ვერ დაიხატება. და ეს მაშინ, როცა უკვდავების წყარო, ეს მითიური სასმისი ბედისწერის არხშია მოქცეული. ბედისწერა დარანასავით არამყარი და ცვალებადია (Nota bene: ერთგან მღვიმედ იგულისხმება დარანი, იგივე დარანა, მეორეგან სამალავად. ხოლო თუ უკვდავების წყარო სამალავი უნდა იყოს, რადგან იგი უკვდავებისაა და არა ჩვეულებრივი მთის წყარო, უკვდავებას ყველა ვერ უნდა ეზიაროს, ყველა არაა ღირსი უკვდავების, და მიტომ. ამდენადაა გამართლებული მისი ცვალებადობა და არამყარობა - დარანის არხში, ანუ მღვიმეში, ან სამალავში მოქცეული უკვდავება. ხოლო უკვდავების ბედისწერის არხით უნდა ეზიაროს კეთილგონიერი კეთილი, მაშინ გამოდის, რომ იდეა გამართლებულია იდეოლოგიით). ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში შემონახულია ლოცვა წყლის დედის მიმართ: „წყალო, ნიჭი გაგიტანე, ბედი გამომატანე“. ბედის ბედაური წყალობაშია და მაინც წყალთანაა კავშირში: წყალი წყალობით, წყალობა კი ბედის ბედაურისა. აი, ამას უნდა ნიშნავდეს ბედგაუტეხელობა — ეს მთლიანი სისტემაა საკრალურ გაგებათა გასათავითცნობიერებლად. იგი ერთიანობაში უნდა იქნეს აღქმული.

რაც შეეხება ცხრაწვერა ოქროს ჯაჭვის მისტიკურ გააზრებას - იგი ღვთის შვილთა სკნელთან დამაკავშირებელი ზესკნელის ატრიბუტია. ცხრაწვერა - ცხრა ანგელოზის იპოსტასური რგოლებია, რომლებითაც სამყაროს ერთიანობა იკვრება. ამით ადამიანისა და ღმერთის კავშირია დამოწმებული. ამიტომაცაა ჯაჭვი ოქროსი და ჯაჭვი წრიული, ერთმანეთში ჩაბმული. „წრიული“ იგივე წრიულ-კალენდარული წრე-ბრუნვის სისტემაა, სადაც მარადისობა თავის განუწყვეტლობას ავლენს. ეს დგინება მაინც მოდელია და ათვლის წერტილი შემდგომ მოქმედებათა. ამ საკრალობის რღვევით პრაქტიკულად იწყება გმირობის ეპოპეა ქართულ ცნობიერებაში. ამის შემდეგ რაინდთა პანთეონი მდიდრდება ბუქნაი ბაადურის, კვირია-ხმელეთმოურავის, კოპალას, იახსაროს, პირქუშ-ცეცხლისალიანის, ამირანის ეპოსით. იგი ჩანასახია თვით ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტისა, რადგან კაცობრიობის აზროვნება ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული. სწორედ რომ ცხრაწვერა ოქროს ჯაჭვის გამოძახილი უნდა იყოს კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანიც, რადგან სასჯელი ღმერთისგან მოდიოდა, ამდენად სასჯელის აღსრულების სუბიექტიც შესაბამისად ღვთიური უნდა ყოფილიყო (ანალოგიისთვის: ღმერთმა ანგელოზების მეშვეობით გააძევა ადამ და ევა სამოთხიდან და სიცოცხლის ხეს ყარაულად ცეცხლისმახვილიანი ქერუბიმი დაუნიშნა). აი, პირველი მარცხი ეროვნული მოძრაობისა. ამირანის შეცდომას და შეცოდებას შემდგომში მთელი თაობები გაიმეორებს და უფრო მწვავე ფორმებში.

### 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიური ბაზისი

საქართველო ყოველთვის მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობელს. ყველა დროში აჯანყებები და ომები თავისებურებებით გამოირჩეოდა. ყალიბდებოდა ამ ომთა და აჯანყებათა მდინარებაში ერის ზნეობრივი სახე, რათა მომავალი თაობები ქართული იდეოლოგიის საზრდოთი აღზრდილიყვნენ, დღეს რომ პაირს ვეძახით, ამაზეა საუბარი. ამ სახის შექმნის სამსახურში ჩამდგარი იყო უპირველეს ყოვლისა ეკლესია და მის წიაღში გაზრდილი მწერლები, ფილოსოფოსები, პოეტები, რიტორები, მხატვრები, არქიტექტორები, მუსიკოსები და სხვ. ერთის სიტყვით, ერის ინტელექტუალური ძალა. შემდეგ კიდევ ამ იდეოლოგიის სრულყოფას ემსახურებოდა ქართული ჯარი, რათა პრაქტიკული განხორციელება მოჰყოლოდა თეორიულ სწავლებას. პრაქტიკულად განხორციელებული რაინდული მაგალითები განახლებულ და არა ახალ თეორიას აძლევდა სწავლებას. ერგვარი ჯაჭვური რეაქციის პრინციპი მოქმედებდა (რაღაცნაირ ასოციაციას იწვევს ცხრაწვერა ოქროს ჯაჭვის ეს განუწყვეტელი მოძრაობა გონისა და ძალის). მაგალითები ბევრია გაბნეულიც და ერთად თავმოყრილიც საქართველოს ისტორიაში. უმთავრესად ყველაფერ ამას განაგებდა ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია. ქვეყანაში არ არსებობდა ურწმუნოება. საკითხიც იყო ცალსახად დაყენებული - არ ხარ მართლმადიდებელი ქრისტიანი, არ ხარ ქართველი. სამაგიეროდ ჩვენს ბუნებაში იდო რელიგიური შემწყნარებლობა. არ ვდევნიდით სხვა კონფესიის წარმომადგენლებს, მაგრამ ისინი ქართველებად არ მიაჩნდათ. იყვნენ, ცხოვრობდნენ, შრომობდნენ იუდეველებიც, მუსლიმანებიც, კათოლიკებიც, მონღოლთა შემოსევების დროიდან ბუდისტებიც და სხვა და სხვა, მაგრამ მათ მიმართ არ იყო მოთხოვნა სარწმუნოების შეცვლის მხრივ, ან თუნდაც ეროვნულობის დათმობისა. ერთი კი იყო, რომ მათ მიმართ აგრესია ჩნდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე მათგანი ვაგლახად აღმართავდა ხელს ჩვენს სარწმუნოებაზე. ეს იყო ერთადერთი პირობა, რაც მომხვდურს არ უნდა დაერღვია, სხვა მხრივ, რაც შეეხება სახელმწიფოებრიობას, ეს იყო პირველ ჯერზე პოლიტიკური პაექრობა, შემდეგ ჯერზე ომი. აი, ომში ფორტუნა ვის მხარეზეც გადაიხრებოდა და რას მოითხოვდა პოლიტიკურ ალაფად გამარჯვებული, ამაზე იყო დამოკიდებული შემდგომ მოვლენათა განვითარება, იდეოლოგიაც მაშინ გადადიოდა აქტიური ბრძოლის რელსებზე. თუ შეიტყობდნენ, რომ მტერი კარგა ხნით იყო ჩვენში ჩამოსახლებული, ჩვენ კი ვერაფერს ვღონილობდით მტრის გასაძევებლად, იქვე გადავდიოდით დათმენასა და შესაფერისი მომენტის მოლოდინზე. საკმარისი იყო, რომ ოდნავადაც შეხებოდნენ ჩვენს რელიგიურ გრძნობებს, რომ დათმენა კარგავდა თავის საფუძველს და მოსახლეობა ემზადებოდა საომრად. ამის შემდეგ უკვე დამპყრობელი ყოველთვის ანგარიშს უწევდა ქართველთა ეროვნულ ღირსებას და ფრთხილად ეპყრობოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ყველაფერი ეს, თვით სახელმწიფოებრიობაც დაფუძნებული იყო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. იდეოლოგიისათვის, იგივე პროპაგანდის მიზნით ქართველი მირონცხებული მეფე დავით მეფსალმუნის შთამომავლად ითვლებოდა. უნდა ითქვას, რომ ამით აიხსნება ბაგრატოვანთა დინასტიის (გამეფებიდან სახელმწიფოებრიობის გაუქმებამდე) უცვლელობა. ქართველი კაცი ქართულ მონარქიას არასოდეს არ აჯანყებია, როგორი ცუდი და უღირსი არ უნდა ყოფილიყო თვით მონარქი. ჩვენთვის რესპუბლიკური წყობილება მიუღებელი იყო. ამდენადაც ვთქვით უარი ერთხელ და სამუდამოდ ყუთლუ-არსლანის წინადადებაზე. სხვა საკითხია, თუ რატომ შეიქმნა საქართველოში რესპუბლიკური წყობა. ეს იმთავითვე რუსული მონობიდან გამოყოლილი სინდრომი იყო. პირველი, თუნდაც მეორე რესპუბლიკის მთავრობა პრორუსული იყო, მმართველი პარტიაც რუსეთის განშტოებას წარმოადგენდა. ადაპტაცია განიცადა ქართველმა კაცმა. დღეს უკვე იმდენად დიდი დროა გასული ქართველი მეფეების მმართველობიდან, რომ ერი გადაეჩვია ბაგრატიონებს, თვით ბაგრატიონებიც გადაეჩვივნენ ქართველ ერს უცხოობაში ორასწლიანი გადახვეწილობის შემდეგ. ხოლო სამეფო სახლის ის წარმომადგენლები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, იმდენად არიან ასიმილირებულნი, რომ სამეფო სისხლი, ღვთის ცხებულობა, ხელმწიფების მადლი სავსებით გამქრალია და ამოშანთულია მათი შეგნებიდან.

ისინი ერის ზნეობრივ მაგალითებად ვეღარ იქცევიან!

ევროპა კი დაავადდა ვოლტერიანიზმით. საგანმანათლებლო მოძრაობამ წარმოშვა იდეა უტოპიური სოციალიზმისა და დიდი წარმატებით სარგებლობდა ეს მოძღვრება ევროპის აბსოლუტური მონარქიების ფარგლებში. საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, რუსეთი და სხვები არ ყოფილან დაპყრობილი ერები. მათთვის წარმოუდგენელი ფენომენია (დღესაც კი) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რადგან ეს უკანასკნელი სწორედ ასეთი სახელმწიფოების მარწუხებიდან თავდასაღწევად იქმნება ყველა შესაძლო მეთოდებით. ხოლო იმპერიებში ჩაგრული ფენა სოციალურ ნიადაგზე იწყებს მასიურ მღელვარებას. ვოლტერიანიზმი და რესპუბლიკანომანია სწორედ რომ ანტიპოდია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა. მაგალითისათვის, რუსეთის, ან სხვა ნებისმიერი იმპერიის მჩაგვრელთა და ჩაგრულთა კლასების თვალსაწიერში - საქართველოს, თუნდ ალჟირის, ან ინდოეთის და სხვ. დაპყრობილ ქვეყანათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღიქმება მხოლოდ, როგორც სეპარატიზმი, არც მეტი და არც ნაკლები. კონსტიტუციონიზმი და დეკლარირებული თავისუფლება რესპუბლიკური წყობით სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოებრიობის ფარისევლობა. თვით ამერიკული კონსტიტუციის პირველი ათი შესწორება, უფლებათა ბილად რომ მოინათლა, ეს ხმოსან-მოლაყბეთა არლეკინური აქტივისტობაა და სხვა არაფერი.

ქვეყანა, რომელიც საუკუნების განმავლობაში ერთ-ერთი მესაძირკვლე იყო ნეოპლატონური ფილოსოფიური სკოლის და პეტრე იბერის მოძღვრება გააჩნდა, ამასთანავე სალვთისმეტყველო კულტურით იზრდებოდა, არაფერს ვამბობ „ვეფხისტყაოსანზე“, პოლიფონიურ საგალობლებსა და ფოლკლორულ უიშვიათეს ნიმუშებზე, სრულიად დამოუკიდებელ მხატვრულ აზროვნებაზე, თვით ხატწერასა და არქიტექტურაში, რომ არ ვახსენოთ ზეპირსიტყვიერი პოეზია. ახალს ვერაფერს შეიძენს და პირიქით დაკნინებს თომას ჯეფერსონისეული დამოუკიდებლობის დეკლარაცია სწორედ ამ დეკლარაციისადმი მიმბაძველობით ლაზღანდარობა.

რუსთაველზე უკეთ ვინ დაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი?!

დავით გურამიშვილზე უკეთ ვინ განსაზღვრა საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობა ხელმწიფების დროშის ქვეშ?!

ეს არის ჩვენი იდეოლოგიური ბაზისი! ყველას თავისი გზა აქვს, ყველას თავისი ვაშინგტონი მოსწონს და ყველას თავისი დიდროთი მოაქვს თავი. ერთია, რომ ყველა ერს ინდივიდუალური საჭიროებისათვის ჰყავს შექმნილი ესა თუ ის ზნეობრივი მაგალითები, მაგრამ ჩემსას არავის ვახვევ და არც სხვისას მოვიხვევ თავზე.

### 5. პარალელები და განსხვავებები თერგდალეულებსა და XX საუკუნის 60-იანელებს შორის

ძალიან დიდი მსგავსებაა ამ ორი საუკუნის (მე-19 და მე-20) სამოციანელებს შორის. ორთავენი სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის წინააღმდეგ. მანამდე ყველა აჯანყება და ომი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლოკალურ და დროებით მოვლენას წარმოადგენდა და იგი საშუალო საუკუნეების მენტალიტეტით საზრდოობდა. იგი გამიზნული არ იყო ხანგრძლივი დროით და მასებში საყოველთაო-სახალხო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად. სწორედ რომ თერგდალეულთა დიდი ღვაწლია, ქართველ ერში დამხინჯებული აზროვნების,- მეტყველების, მსოფმხედველობის გამოსწორება რომ დაიწყო. ერი თანდათან მიეჩვია მასიურ განათლების პროცესებს. ამით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ხარისხზე ავიდა - მან მიიღო საყოველთაოობის ხასიათი ხანგრძლივი დროით. შეიქმნა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, სათავადაზნაურო ბანკი, ქართული თეატრალური საზოგადოება. ამავდროულად ეს მოძრაობა არ წარმოადგენდა არალეგალურ და ანტისახელისუფლებო ორგანიზაციას. ეს დაწესებულებები ცხადად და საჩინოდ მოღვაწეობდნენ ხელისუფლებასთან ლიბერალური დამოკიდებულებით. ამიტომ არც ხელისუფლება არბევდა მათ. ამით ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა მიიღეს კარტ-ბლანში ერზე ზემოქმედებისათვის. იქმნება პირველი ქართულენოვანი სკოლები, სადაც ნებადართულია ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მიღება, ქართული თეატრი, ჯერ კიდევ „მამათა თაობის“ მიერ შექმნილი, ეკონომიურად ძლიერდება, იხვეწება რეპერტუარი და საშემსრულებლო ოსტატობა, რადგან პირველყოვლისა სათავადაზნაურო ბანკი და თეატრალური საზოგადოება ზრუნავენ თეატრის მატერიალურ მდგომარეობაზე. რეპერტუარს რაც შეეხება, მთელი სამწერლო პლეადა 60-იანელებისა და მომდევნო თაობებისა ამდიდრებენ ქართული დრამატურგიას. მსახიობთა დასი ივსება ახალ-ახალი სახეებით. რა თქმა უნდა, ისინი ახალ გემოვნებას ამკვიდრებენ თეატრში. ქართველი მსახიობები და რეჟისორები მჭიდრო ურთიერთობას ამყარებენ რუსულ დასებთან. MXAT-ის დაარსებამ და ჩეხოვის შემოქმედებამ ქართველ თეატრალებს კიდევ მეტი სტიმული მისცა. ყველაფერი ეს კი საბოლოო ჯამში საზოგადოებაში ეროვნულ გრძნობებისა და ქართული აზროვნების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა.

მიუხედავად ყველა ამ წარმატებისა, თავისი წინააღმდეგობა და შინაგანი დაპირისპირება მაინც არსებობდა. პირველ ხელისშემშლელად თერგდალეულებს გრიგოლ ორბელიანი და „მამათა თაობა“ მოევლინა. მწვავე პოლემიკა გაიმართა ქართული ენის სიწმინდეზე, რათა გასუფთავებულიყო უცხო ენათაგან შემოსული ბარბარიზმებისაგან, შემოსული კი არა მხოლოდ, სამეტყველო ენაში მტკიცედ დამკვიდრებული ქართული სიტყვიერებისთვის მიუღებელი ელემენტებისგან. ამავდროულად ახალთაობისათვის მიუღებელი იყო „მამათა თაობის“ ესთეტიკური გემოვნება, მხატვრული ღირებულებანი. „შვილთა თაობამ“ ქართული ლიტერატურა გაიყვანა პროგრესული მსოფლიო ლიტერატურის ცხოვრების ორბიტაზე. ნიმუშისთვის ითარგმნა უილიამ შექსპირის მეფე ლირი (მთარგმნელები ი. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი), ამას მოჰყვა იმ დროისათვის თანამედროვე ფრანგული მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, ალფონს დოდე და სხვ. პარალელურად ევროპისდარი ლიტერატურული შედევრები იქმნება ქართულ ენაზე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, რაფიელ ერისთავის, დანიელ ჭონქაძის, დავით კლდიაშვილის, მოგვიანებით ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგის მიერ.

შემდეგი უმთავრესი დაბრკოლება და განხეთქილება თვით თერგდალეულთა შორის მოხდა ქართული სადგილმამულო ბანკის საკითხთან დაკავშირებით, - ახალი პოლემიკები, ახალი ბრძოლები „ბანკობის“ საკითხებში, რამაც სერიოზულ განხეთქილებამდე მიიყვანა ახალთაობა. პირველად ერომანეთს დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი.

პირველი ავი ჭორები თვით მაჩაბელის უცნაური გაქრობის შემდეგ დაიძრა - ბრალად ხან „ბანკობის“ საქმეს აბრალებენ, ხანაც აკაკის პიროვნებასთან აკავშირებენ. დღემდე უცნობია ივანე მაჩაბელის დაკარგვის ამბავი.

შემდეგი სკანდალური პოლემიკა გაიმართა ილიასა და ნიკო ნიკოლაძეს შორის, რაც დასრულდა მათ შორის დუელით, და რომ არა საზოგადოების აქტიური ჩარევა, ეს დუელი ერთ-ერთი სახელოვანი ქართველის სიკვდილით დასრულდებოდა, მეორის სამარცხვინოდ.

ამ დუელის არშედგომამ ქართველობა გადაარჩინა ულმობელ სირცხვილს (წარმოიდგინეთ ან ილია იქნებოდა ნიკო ნიკოლაძის მკვლელი, ან ეს უკანასკნელი მოუსწრაფებდა ილიას სიცოცხლეს). ამ შემთხვევაში საღმა აზრმა გაიმარჯვა და მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს დაპირისპირებული მხარეები.

ამ და სხვა გარემოებამ თვით აკაკიც გახადა ინდიფერენტული „ბანკობის“ და ილიას მოღვაწეობის მიმართ. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ილიაც, აკაკიც, ნიკო ნიკოლაძეც და სხვებიც ეროვნულ ინტერესებს პირად წყენაზე მაღლა აყენებდნენ და ქართველი ერის საგანმანათლებლო-პროპაგანდისტული ორგანოს - გაზეთ, შემდეგ ჟურნალ „ივერიის“ მუდმივი თანამშრომლები იყვნენ. ილიასაც ამ დიდი კაცების იმედი ჰქონდა. ისინიც საჭიროებისამებრ ერის ცნობიერებას ამდიდრებდნენ თავიანთი შემოქმედებით. ერთია, რომ არცერთი მათგანი პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერეოდა.

ევროპის ცნობილი მწერლები არტურ ლაისტი, მარჯორი და ოლივერ უორდროპები, სახელგანთქმული რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, იმ დროისათვის მსოფლიოში პოპულარული მსახიობი არტურო როსი სტუმრობდნენ საქართველოს, სწორედ რომ საქართველოს და მხოლოდ საქართველოს და თერგდალეულები იყვნენ მათი მასპინძლები. საქართველოს სახელის გატანას ევროპაში ხელი შეუწყო მარჯორი უორდროპისეულმა თარგმანმა შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“, ასევე არტურ ლაისტისეულმა თარგმანმა ილიასა და აკაკის ნაწარმოებისა გერმანულ ენაზე. უდიდესი ეროვნული საქმე იყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნა და ცოცხალი სურათების დადგმა ამ პოემიდან უნგრელი მხატვრის მიჰაი ზიჩის მიერ. ასევე ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქართველობას, რათა ევროპას ცხადლივ შეეგრძნო ქართველი ერის თვითმყოფადი ბუნება თავისი სერიული ნამუშევრების მიხედვით - „კავკასიის სცენები“, „ქართველები“, „იკორთის მონასტერი“.

ერთის სიტყვით IXX საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უდიდეს მიზანს ისახავდა, რაც ეტაპობრივად თავის ნაყოფს იღებდა. უკვე ისე მყარად იდგა ბანკის საქმე, რომ ევროპასა და რუსეთში სასწავლებლად წარგზავნილ სტუდენტებს აფინანსებდა.

უდიდესი მამულიშვილური საქმე კეთდებოდა აჭარისა და ტაო-კლარჯეთის შემოერთების შედეგად მუსლიმან ქართველთა ერთიან ქართულ სივრცეში თავისუფლად დასამკვიდრებლად. ილიას თაოსნობით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და სრულად გადარჩა აფხაზეთი და ოდიში გარუსებისაგან, აგრეთვე პირადად ილიას ძალისხმევით საქართველომ თავიდან აიცილა მეგრული სეპარატიზმი. ილიას პირადი ხელშეწყობითა და უშუალო მონაწილეობით და საზოგადოებრიობის მტკიცე მოთხოვნით დაიწყო საეკლესიო მოძრაობა, რათა საქართველოს ეკლესიას აღედგინა დაკარგული ავტოკეფალია. წმ. გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსის მიერ გაზრდილი სამღვდელოება ჩაუდგა სათავეში ამ მოძრაობას. „ავტოკეფალისტებს“ ფინანსურად მხარს უჭერდა სათავადაზნაურო ბანკი და იდეოლოგიურად ამტკიცებდა „ივერია“.

ყველა ეს მამულიშვილური საქმე კეთდებოდა არაპოლიტიკური ეგიდით. არც ერთი თერგდალეული და მათი მიმდევარი პოლიტიკური ამბიციით არ იყო შეპყრობილი. მათი მთავარი საზრუნავი და მიზანი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა და არა ვიწრო პარტიული ინტერესები. თუმცაღა სათითაოდ ყველა ამ ინტერესთა სფეროს უკან დიდი პოლიტიკური ძვრები იგეგმებოდა და თავშივე იყო გათვლილი მათი სავარაუდო შედეგები, არც დააყოვნა საბოლოო ჯამში ამ შედეგებმა.

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიაში პარტიულ-პოლიტიკური ეპოქა დაიწყო. პარტიების ამბიციებმა წალეკა საქართველოც. გააქტიურდა ჟანდარმერია და ოხრანკა, - თვალთვალი, ცენზურა, დასმენები, დარბევა-აკრძალვები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. საქართველოშიც იწყებს დამკვიდრებას პოლიტიკური პარტიები და თანდათანობით იზიდავენ თავ-თავიანთ მომხრეებსა და ხმოსნებს (ასე ეძახდნენ ამომრჩევლებს საუკუნის დასაწყისში). უმთავრესად საქართველოს რეალობაში ყალიბდება სამი პოლიტიკურ-პარტიული განშტოება - სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და უკვე საზოგადოებაში მყარად ფესვგამდგარი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამათში პარტიული შიდადაპირისპირებები და განხეთქილებები არსებობდა, მაგრამ ილიას მოძრაობას თავისი მრწამსით და მისწრაფებებით დაუპირისპირდა სოციალ-დემოკრატები, როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების ფრთა. სოციალ-ფედერალისტები კი შემრიგებლურ პოლიტიკას მიმართავდნენ. პირველი მწვავე პოლემიკა შეურაცხყოფის დონეზე გადადგა ნოე ჟორდანიამ და მისმა გაზეთმა „კვალი“.

გამოწვევა მიღებული იყო, ილია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობაში ჩაერთო. იგი შემოიკრებს თავის თანამოაზრეებს და შეუერთდება ავტონომისტ-ლიბერალისტების დაჯგუფებას. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის ირგვლივ იმართება დისკუსიები, მსჯელობები, იწერება პეტიციები ნიკოლოზ II-ის სახელზე. საზღვარგარეთულ კონფერენციებზე აქტუალურ საკითხად რჩებოდა როგორც საქართველოს ავტონომია, ასევე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. მოწინააღმდეგისთვის სავსებით მიუღებელი იყო არათუ დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არამედ თვით ავტონომიაც კი რუსეთის მონარქიის ფარგლებში. „ესდეკებისთვის“ კი საქართველოს მომავალი ისახებოდა სოციალისტური რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ფარგლებში ყოველგვარი სახელმწიფო ფორმის გარეშე.

ყველაფერი დასრულდა ილიას მკვლელობით 1907 წელს, ხოლო ილიას ნაღვაწს და მის ნაყოფს გაასმაგებული ძალით ებრძოდნენ და გულმოდგინედ ანადგურებდნენ ჯერ მენშევიკები ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხოლო ბოლშევიკები აშკარად და დაუფარავად სპობდნენ ერის ინტელექტუალურ პოტენციალს.

ამქვეყნიდან იაკობ გოგებაშვილის, აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ეკატერინე გაბაშვილის და სხვათა წასვლის შემდეგ უკვე საბჭოეთის დროშის ქვეშ ყველას და ყველაფერს რასაც ქართველი და ქართული ჰქვია, დაედო ტაბუ. ასე გასტანა ათწლეულებმა და ასეთ ვითარებაში იზრდებოდა არაერთი თაობა, რომელმაც იცოდა მხოლოდ ის, რომ ილია იყო მემამულე და გლეხებს კოკებს ამტვრევდა თავზე. ნაბიჯ-ნაბიჯ, წვეთ-წვეთობით ილიას სახელს ჩრდილს აყენებდნენ და მის ღვაწლსაც საგანგებოდ მალავდნენ.

**მ. ბეჟანიშვილი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ჩვენი საზოგადოების პულსი



**ილია მეორე**
*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*

**ეკლესია ვისთვისაც არ არის დედა, მისთვის ღმერთი არ არის მამა.**



**ოთარ იოსელიანი**
*მწერალი*

გამოდიან ტელევიზიით და დადიანობენ. ვეღარ გავარკვიეთ, დაპყრობილი ვართ თუ არა.
**რუსები ოკუპანტები ყოფილან, ამბობს პრეზიდენტი. ოკუპანტს დამპყრობელი ჰქვია. რუსს მთელი ცხოვრება დაპყრობის მეტი არაფერი გაუკეთებია და ახლა მიხედი მაგას? დახედეთ რუკას და ნახავთ, რამხელაზეა გადაჭიმული და მიხედეთ, რა არის.**
ოპოზიციას ვეხვეწები, ისე მოიქცნენ, რომ სისხლი არ დაიღვაროს. ერთი კაცალი ბავშვი მყავს და ის არ მომიკლან. **სამშობლოს ომში რომ მომკვდარა ჯარისკაცი, მისი ვინაობა რომ არ ცხადდებოდა. ყველას ჰქონდა ბიჭები საბუთი. მე კი ორდენი ან ომში ის ვერ გავიგე, ვინ დამიხრა და რაზე ვილაპარაკო?** ეს ანგელოზივით ბიჭები რომ მომკალეს, მიცვალებული მაინც მიმაყვანინე პატრონთან. შეგნებულად გათხარეს ორმოები და ჩააწვინეს უცნობი ჯარისკაცები, რომ პატრონს დაღუპული ცოცხალი ეგონოს.
**ამას წინათ ფილმი ვნახე — „კაცია-ადამიანი“. რა კარგი კაცი ყოფილა ლუარსაბი! კაპიკის საღირალი არაფერი მოუპარავს, არც ვინმეს რამეს უშავებდა, ლოცულობდა. ცოლი შვილს ვერ უჩენდა და მაინც უყვარდა. არც კანადურ პურს ჭამდა და არც თურქულ პაპიროსს აბოლებდა. ილია მაშინ წუხდა, დავიღუპეთ ქართველებიო, მე კი მენატრება ლუარსაბი.**



**ვალერია ნოვოდვორსკაია**
*რუსეთის დემოკრატიული კავშირის ლიდერი*

რუსეთი ისე მდგომარეობაშია, რომ მის გვერდით დგომაც კი სარცხვილია. რუსეთმა საქართველოს გამოუსწორებელი შეურაცხყოფა მიაყენა და კრემლთან ლაპარაკს აზრი არა აქვს. ძალიან კარგად მოიქეცით, რომ მასთან დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტეთ. **გააგრძელეთ ასე და გარწმუნებთ, რომ თქვენს სიცოცხლეშივე გექნებათ საშუალება, დატკბეთ იმით, თუ როგორ დაინგრევა იგი. თქვენ ჩვენზე უკეთ იქნებით და კიდევ ემიგრანტებიც გეყოლებათ, რომლებიც ჩვენგან გაიქცევიან და თქვენთან პოლიტიკურ თავშესაფარს მოითხოვენ.**
**მინდა გავაფრთხილო ქართული ოპოზიცია, რომ მის გვერდით რუსეთის სახით არსებობს ძალიან ბოროტი, ძალიან საძაგელი მტერი.**

## საზოგადოების წევრები პოლიტიკოსებს დიალოგისკენ მოუწოდებენ

საზოგადოების წარმომადგენლები პოლიტიკურ მხარეებს დიალოგისკენ მოუწოდებენ. ცნობილი ადამიანები შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან დროული და ეფექტური გამოსვლის ერთადერთ გზად ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დიალოგს მიიჩნევენ.

„ლიტერატურულ კაფეში,, დღეს მწერლები, ხელოვანები და ექსპერტები შეიკრიბნენ. მათი თქმით, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის პასუხისმგებლობაა, პოლიტიკური პროცესი არ გადაიზარდოს ძალადობრივ დაპირისპირებაში. საზოგადოება პოლიტიკოსებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს. მათ დღეს სპეციალური მიმართვაც მიიღეს.

## სტრასბურგში საქართველოს სარჩელის მოსმენა გაიმართა

საქართველო რუსეთს ევროკონვენციის ცხრა მუხლის დარღვევაში ადანაშაულებს. ორსაათიანი განხილვა ევროსასამართლოში დასრულდა. სტასბურგში რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს სარჩელის ზეპირი მოსმენა გაიმართა. დავა 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ქართველების მასობრივ დეპორტაციას და მათი უფლებების უხეშ დარღვევას ეხება.

ევროსასამართლოში სარჩელი საქართველოს მთავრობამ 2007 წლის 26 მარტს შეიტანა. მხარეებმა დღეს თავისი არგუმენტები წარმოადგინეს. დამაჯერებელი იყო ქართული მხარე, რუსეთმა კი ქართული მტკიცებულებების გაბათილება ვერ მოახერხა.

სტრასბურგმა საქმის დაშვების საკითხი უნდა გადაწყვიტოს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ევროსასამართლო სარჩელის არსებითი ნაწილის განხილვას დაიწყებს.

## ოტია იოსელიანი საავადმყოფოში მოათავსეს

ცნობილი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი თბილისის მეხუთე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული. ექიმების განმარტებით, ამ ეტაპზე მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მწერალს ავსტრიის ერთ-ერთ კლინიკაში კუჭ-ნაწლავის ტრაქტის საკმაოდ რთული ოპერაცია გაუკეთდა, რის შემდეგაც იოსელიანმა მკურნალობის გაგრძელება საქართველოში თავად ისურვა.

## „ნაშის“ წევრებს კონფლიქტის ზონის გადმოკვეთის საშუალება არ მისცეს

პუტინის ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივისტები ერგნეთის საგუშაგოსთან მივიდნენ. გაზეთის დაბეჭდვამდე რამდენიმე საათის წინ რუსების კონტროლირებად ტერიტორიაზე ავტომობილი გამოჩნდა, რომელშიც ,,ნაშის,, წევრები იმყოფებოდნენ. თუმცა მათ რუსული საგუშაგო არ გადმოუკვეთიათ. ქართულმა პოლიციამ მათ კონფლიქტის ზონის გადმოკვეთის საშუალება არ მისცა, ვინაიდან არცერთ მათგანს არ აქვს საქართველოში შემოსასვლელი ვიზა.

რუსული ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა წინასწარ იყო გამოცხადებული. ,,ნაშის,, წევრები თბილისში აპირებდნენ ჩამოსვლას. მათ ქართულმა მხარემ ოფიციალური საგუშაგოს გავლით ურჩია ქვეყანაში შემოსვლა. ინციდენტის ადგილზე იმყოფებოდნენ ევროკავშირისა და ეუთოს დამკვირვებლები.

,,ნაშის,, ავტოკოლონა მოსკოვიდან 10 აპრილს დაიძრა. 16 აპრილს საპროტესტო მიტინგი ახალგაზრდა პუტინელებმა ცხინვალში გამართეს.

## მოკლედ იმაზე, რაც თბილისში ხდება

ქვეყანა კრიზისშია. რადიკალურმა ოპოზიციამ სხვა გზა არ დაიტოვა, მიხეილ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნის გარდა. ხელისუფლებასაც სხვა რაღა დარჩენია, დიალოგის შეთავაზების გარდა.

ვითარება დღითიდღე რთულდება, დაიძაბა საზოგადოება, მოიშალა ჩვეული ცხოვრების რიტმი, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება შესაშური სიმშვიდით გვერდიდან შეჰყურებს მოვლენებს. ამ ყველაფერს ,,განერიდა‘‘ - დაკეტა პარლამენტი, გაღიზიანებულ მომიტინგეებს მოაცილა პატრული, "სასწრაფო დახმარება", დასუფთავების სამსახური. საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ქალბატონმა კი ცოცხები მოირგეს და რუსთაველის გამზირს გვიან.

რეგიონებში მცხოვრებნი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულან, რა ხდება, ზოგი ქირქილებს, ზოგიც შიშითა და გულისფანცქალით კითხულობს: რას იზამს ოპოზიცია, რას აპირებს ხელისუფლება.

რუსთაველი პარალიზებულია, სამინისტრო კი ენერგეტიკის პრობლემებზე მსჯელობს. პრეზიდენტი ჩვეულ რიტმში განაგრძობს "მუშაობას". პარლამენტარები გაზუთხულ ტექსტს იმეორებენ: დიალოგს ალტერნატივა არ აქვს!

ზვიად ძიძიგურმა ამ გამოწვევას ასე უპასუხა: რად უნდა დიალოგი იმას, რომ კონსტიტუცია შესაცვლელია, სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, პრესა - თავისუფალი. პარლამენტში უმრავლესობა თვითონ არიან, ადგნენ და შეცვალონ. რა საჭიროა ამაზე საუბარი „ქუჩის ოპოზიციასთან‘‘.

## მომიტინგეების ცემაში ოპოზიცია კერძო დაცვის სამსახურებს ადანაშაულებს

ეროვნული ფორუმის" წევრი ირაკლი მელაშვილი მომიტინგეების ცემაში კერძო დაცვის ფირმებს ადანაშაულებს, თუმცა კონკრეტულ ფირმებს არ ასახელებს. კერძოდ, საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც აქციიდან სახლში მიმავალ აქტივისტებს უცნობი პირები აედევნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ. ,,ახალი მემარჯვენეების‘‘ ლიდერის დავით გამყრელიძის ცნობით კი, ცემის სანაცვლოდ ნიღბიან პირებს შსს 500-500 ლარს უხდის.

შეგახსენებთ, რომ 14 აპრილის ღამეს მიტინგიდან სახლში მიმავალი მომღერალი ზურა მანჯავიძე ნიღბიანმა პირებმა სასტიკად სცემეს, გუშინ კი მემარჯვენეების წევრი დავით უჯმაჯურიძე გაიტაცეს, მოგვიანებით კი ის ნაცემი იპოვეს საგურამოს გზაზე,მისი მანქანა კი დიღმის ტრასაზე დამწვარი.

მელაშვილი დარწმუნებულია, რომ მომიტინგეებზე ფიზიკური ზეწოლის დამკვეთები შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ძმები ახალაიები არიან, რომელთა პასუხისმგებლობაც, მისივე განცხადებით, შემსრულებლებზე დიდი იქნება.

## აქციები არც სადღესასწაულო დღეებში შეწყდება

საპროტესტო აქციები და პიკეტირება პრეზიდენტის რეზიდენციასთან, საზოგადოებრივ მაუწყებელთან და პარლამენტთან აღდგომის სადღესასწაულო დღეებშიც გაგრძელდება. ამის შესახებ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციასთან გამართულ საინფორმაციო მიტინგზე ,,მოძრაობა ერთიანი საქართველოს‘‘ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ განაცხადა.

- 9 აპრილის საორგანიზაციო შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პიკეტირება არ შეწყდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქციები გაგრძელდეს აღდგომის დღესასწაულის დღეებშიც, - აღნიშნა ბესელიამ.

მისივე თქმით, აღდგომის შემდეგ ოპოზიცია დაიწყებს გასვლებს საქართველოს რეგიონებში და მხარდამჭერების მობილიზებას, რათა საპროტესტო მოძრაობაში მონაწილეობა მთელმა საქართველომ შეძლოს.

## „სააკაშვილი ქვეყანას უკვე ვერც ერთი მიმართულებით ვერ მართავს"

,,საქართველოს გზის" ლიდერის სალომე ზურაბიშვილის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას უკვე ვერც ერთი მიმართულებით, მათ შორის ვერც პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით ვერ მართავს.

პრეზიდენტს არც ერთი გადაწყვეტილება არ მიუღია არც ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გარდა ელდარ შენგელაიას დაჯილდოებისა. ამასთან, პარლამენტი ვერ იკრიბება და ფაქტობრივად ის გადატანილია მერიაში. რაც შეეხება ეკონომიკურ მიმართულებას, სააკაშვილი თავად აღიარებს, რომ არც ერთი ინვესტორი არ შემოდის, რასაც ჩვენ გვაბრალებს, - ნათქვამია განცხადებაში, რომელშიც ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებას უკვე უჭირს სოციალური კუთხით აღებული ვალდებულების შესრულებაც, კერძოდ, მერია აღარ იხდის ხელფასებს და დახმარებებს შუქსა და გაზზე.

## ჰილარი კლინტონი ჩვენთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის გზებს ეძებს

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ვაშინგტონში გამართულ შეხვედრაზე.

როგორც შეხვედრისას ჰილარი კლინტონმა განაცხადა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნისთვის ძალიან რთულ დროს იმყოფება.

მისივე თქმით, საუბარი შეეხო თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ხაზს უსვამენ ამერიკის ძლიერ მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების მიმართ.

ჩვენ ვეძებთ გზებს, რათა ჩვენი თანამშრომლობა და პარტნიორობა უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს, - დასძინა კლინტონმა.

## „ერისიონს“ „შატილის ასულოს“ შესრულება მხოლოდ ავტორის მითითებით შეუძლია

,,ერისიონს‘‘ სიმღერის ,,შატილის ასულო‘‘ შესრულება იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ სიმღერის ავტორად იოსებ ლონგიშვილს დაასახელებს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული სიმღერის შესრულება "ერისიონს" ეკრძალება. უზენაესმა სასამართლომ სწორედ ეს განაჩენი გამოუტანა ანსამბლსა და მის ხელმძღვანელ ჯემალ ჭკუასელს, სიმღერის ავტორად გამოცხადებულ და უკვე ერთი წლის წინ გარდაცვლილ იოსებ ლონგიშვილს და გარკვეულწილად ქართულ ფოლკლორსაც.

პირველი მთავარი არგუმენტი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, არის გამოქვეყნება სიმღერის ტექსტისა 1995 წელს. თუმცა, მანამდეც იოსებ ლონგიშვილის ავტორობა მითითებული იყო 1989 წელს ჩაწერილ კრავეიშვილის კასეტაზე და მანამდეც 1973 წელს გამოქვეყნებულ ,,ბახტრიონში‘‘ (ახმეტის რეგიონულ გაზეთში). მხარემ წარმოადგინა 1967 წელს ჩაწერილი ფოლკლორული ჩანაწერი სიმღერისა, რომ დაედასტურებინა სიმღერის ხალხურობა. სწორედ 1967-ში ,,შატილის ასულო‘‘ ვინც იმღერა, იმ ქალბატონის დადასტურება წარუდგინეს სასამართლოს, რომ სიმღერის ავტორი მართლაც იოსებ ლონგიშვილია. ის ცალსახად ამბობდა, რომ ტექსტი მას ლონგიშვილმა მისცა. მან სასამართლოზე აღნიშნა, რომ სიმღერა ლონგიშვილმა მისცა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში წერია, რომ ,,ერისიონს‘‘ იმ შემთხვევაში აეკრძალა სიმღერის შესრულება, თუ არ მიუთითებს ავტორად ლონგიშვილს.

## გამოიცა „საიუბილეო თარიღები 2009“

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა გამოსცა ყოველწლიური გამოცემის "საიუბილეო თარიღები" - 2009 წლის კრებული, რომელშიც შევიდა 281 ცნობილი მოღვაწის ბიოგრაფია და მოკლე შემოქმედებითი დახასიათება.

ნაშრომი,თემატურად,საკალენდრო პრინციპითაა აწყობილი და მკითხველისთვის ადვილია ქრონოლოგიურად დალაგებული მასალისთვის თვალის მიდევნება. საიუბილეო თარიღები" მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ყოველწლიურად ქვეყნდება კულტურის ცნობილ მოღვაწეთა განახლებული ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი მონაცემები, რისი ანალოგიც ჯერჯერობით არ გვაქვს, ვინაიდან არ არსებობს ქართული თეატრალური ენციკლოპედია, ან სხვა მსგავსი გამოცემა. "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია" კი სანდო არ გახლავთ, რადგან მასში უამრავი ფაქტობრივი შეცდომაა.

## რუსებმა 58-ე არმია სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანეს

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განკარგულებით, 58-ე არმიის ნაწილები საბრძოლო მზადყოფნაზეა გადაყვანილი. ამ ინფორმაციას 58-ე არმიის შტაბზე დაყრდნობით რუსული ინტერნეტ-გამოცემა ,,ლაიფ.რუ‘‘ ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი აგვისტოს ომის დროს ცხინვალის რეგიონის მიმართულებით საბრძოლო მოქმედებებში რუსული მხრიდან ძირითადად სწორედ 58-ე არმია იყო ჩართული და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟამადაც ცხინვალის რეგიონშია დისლოცირებული.

არმიაში პირდაპირ აცხადებენ, რომ სრულ საბრძოლო მდგომარეობაზე გადასვლა თბილისში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება.

,,ჩვენ არ გვსურს მეზობელ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა რაიმე სახით გავლენა მოახდინოს სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის საზღვრისპირა რეგიონების მშვიდ ცხოვრებაზე‘‘, - აცხადებს წყარო არმიის შტაბიდან.

ამ საკითხთან დაკავშირებით შევეცადეთ კომენტარი შს და თავდაცვის სამინისტროებისაგან მიგვეღო, თუმცა ეს გუშინ შეუძლებელი აღმოჩნდა.

თბილისში 58-ე არმიის საბრძოლო მზადყოფნაზე გადასვლას სხვადასხვაგვარად აფასებენ. პოლიტოლოგები ამბობენ, რომ ეს არის პროვოკაცია რუსეთის მხრიდან, თუმცა განსხვავებულია მათი შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

საუბარი გამორიცხულია. უბრალოდ, ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოში დესტაბილიზაციის არსებობას.

სოსო ცინცაძე: ,,რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო აგრესია მოსალოდნელი არ არის. უბრალოდ, ამით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საქართველოში პოლიტიკური დესტაბილიზაციაა. იცით, ალბათ, რომ პირველმა სწორედ რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა თქვეს, რომ თბილისში აქციაზე 150 ათასი ადამიანი იყო. თუმცა, დღევანდელი მშვიდობიანი მიტინგით არ გამართლდა რუსეთის მოლოდინი‘‘.

ის, რომ 58-ე არმიის მობილიზება პროვოკაციაა, ამ მოსაზრებას პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილიც იზიარებს, თუმცა, რუსეთის მხრიდან არც ზოგ რეგიონში დაპირისპირებასა და სამხედრო ინტერვენციას გამორიცხავს.

რამაზ საყვარელიძე კი თვლის, რომ როდესაც ჩვენს ქვეყანაში ასეთი პროცესებია, გამორიცხული არაფერია და არც სამხედრო დაპირისპირება, მით უმეტეს როცა საუბარია კონფლიქტურ ზონებზე. ,,ამაში, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, პროვოკაციაა ჩადებული. თუმცა, მეორე მხრივ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, როდესაც ქვეყანაში ასეთი პროცესებია და არსებობს დიდი შანსი მართვის პულტის დაკარგვისა, არაა გამორიცხული, რომ მეზობელ სახელმწიფოებში, თან კონფლიქტურ ზონებში მოხდეს სამხედრო დაპირისპირება‘‘.

## ქრისტიან-დემოკრატების ახალი ინიციატივა

პოლიტიკური კრიზისის მოიგვარების საკუთარი წინადადებები აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს. საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებასა და არასაპარლამენტო ოპოზიციას 7-პუნქტიანი ინიციატივით მიმართავს.

პარტიაში აცხადებენ, რომ მხარეებს შორის ნდობის გაჩენისა და დიალოგის დასაწყებად გარკვეული წინაპირობების შექმნაა საჭირო. გიორგი თარგამაძე კრიზისის განმუხტვის ერთ-ერთ პირობად უზენაესი სასამართლოს და ცესკოს თავმჯდომარეების გადადგომას მიიჩნევს.

ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა დღევანდელ ბრიფინგზე კრიზისის მოგვარების თითოეული პუნქტი დეტალურად განმარტა. მათ შორისაა ექსპერტთა ჯგუფის შერჩევა, რომელიც ტელეკომპანიების მუშაობას დააკვირდება და ძალოვანი სტრუქტურების მონიტორინგის ჯგუფის შექმნა, რომელიც პოლიციის წინააღმდეგ შესულ საჩივრებს განიხილავს. უმრავლესობაში აცხადებენ, რომ 7-პუნქტიანი შეთავაზების განხილვა მას შემდეგ დაიწყება, რაც მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდებიან.

ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივას ნინო ბურჯანაძე დაგვიანებულს უწოდებს. ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს,, ლიდერის თქმით, ოპოზიცია ცვლილებების წინააღმდეგი არ არის, მაგრამ ცვლილებები, რომელსაც ხელისუფლება ოპოზიციას სთავაზობს, ფასადურია და ყველაფერი იგივე დარჩება.

გიორგი თარგამაძის წინადადებას იწუნებს სალომე ზურაბიშვილიც და აცხადებს, რომ თარგამაძის უკან მიხეილ სააკაშვილი დგას.

## აფხაზეთში რუსეთის სამხედრო მობილიზაცია მიმდინარეობს

სოხუმის პორტში რუსეთის ფლოტის მცირე სარაკეტო ხომალდი დადგა რეიდზე. პარალელურად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საქართველოში პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული სერგეი ჩაბანი გამოჩნდა, მისი მისიის მიზანი და დანიშნულება ჯერჯერობით უცნობია რჩება.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ შეიარაღების გარდა, ტერიტორიაზე ქართველების მიმართ აგრესიულობითა და დაუნდობლობით გამორჩეული მაიკოპის ბრიგადაც შეიყვანეს. სეპარატისტები ფაქტების დამალვას ცდილობენ, თუმცა პორტში გადაღებული კადრები საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

## ვაზიანის აეროდრომზე ოქრუაშვილს ეძებდნენ

,,ვითომ შეცდომით დაშვებულ თურქულ სამგზავრო ლაინერში ოქრუაშვილს ეძებდნენ‘‘, - ამბობენ ყოფილი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის თანაპარტიელები.

მათი თქმით, სიცრუეა, თითქოს თურქ მფრინავს შეეშალა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ნაცვლად, 17 კილომეტრში მდებარე ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე დაჯდა.

- მფრინავის შეცდომა არაფერ შუაშია. საქართველოს ხელისუფლებას შეეშინდა ამ სამგზავრო თვითმფრინავის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაშვების. ეგონათ, ლაინერში მათთვის მნიშვნელოვანი მგზავრი იჯდა.

ბილეთი მართლაც ოქრუაშვილმა იყიდა, მაგრამ რა არის ამაში საპანიკო, განა ერთი და იმავე გვარის ადამიანები ცოტანი არიან ამ ქვეყანაზე?

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ყველა ოქრუაშვილში ირაკლი ელანდება და ამიტომაც აიძულეს მფრინავი, სამხედრო აეროდრომზე დამჯდარიყო.

თვალის დახამხამებაში ალყაში მოაქციეს აეროპორტი. ხელისუფლებამ საგანგებოდ დაახვედრა სამხედრო და საპატრულო პოლიცია და სპეცრაზმი. თვითმფრინავის ყველა მგზავრს ცალ-ცალკე ამოწმებდნენ, თმასაც კი უსინჯავდნენ, პარიკი ხომ არ აქვსო.

ხელისუფლებას პანიკურად რომ ეშინია, იმითაც ჩანს, შიშობდნენ, ვინმეში ოქრუაშვილი არ გამოჰპარვოდათ. ამიტომაც დასვეს თვითმფრინავი ვაზიანის აეროდრომზე და მერე გამოაცხადეს, თურქმა პილოტმა შეცდომა დაუშვაო.

## ნაჭყებიამ მაისაშვილის ნაცვლად მოიხადა ბოდიში

,,ახალი მემარჯვენეების‘‘ წევრმა მანანა ნაჭყებიამ პოლიტიკოსებს უცენზურო გამოთქმებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. იგი გულისხმობდა გია მაისაშვილის გამოსვლას, რომელმაც უცენზურო სიტყვებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. მანანა ნაჭყებიას თქმით, ხელისუფლებას ამით მიეცა საბაბი, რომ ეთქვა, ჩვენ ვთავაზობთ ოპოზიციას დიალოგს, ისინი კი გინებას გვთავაზობენო. მან ბოდიში მოიხადა მაისაშვილის ნაცვლად.

## კახეთში მოთოვა

11 აპრილს კახეთში დილიდან თოვდა. საგრძნობლად დაიკლო ჰაერის ტემპერატურამაც. მოსახლეობის თქმით, ამინდის ასეთი ცვლილება საფრთხეს შეუქმნის როგორც ხეხილს, ასევე ბაღჩეულ კულტურებს

## ფეხბანვის მსახურება სამებაში

,,დღეს განსაკუთრებით გვჭირდება თავმდაბლობა, უფალი ბრძანებს, რომ ღმერთი ამპარტავანთ შემუსრავს, ხოლო თავმდაბალთ მიანიჭებს მადლს‘‘, - ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა სამების საკათედრო ტაძარში, დიდი ხუთშაბათის მსახურებისას.

მან მიულოცა მრევლს დღევანდელი დღე და ფეხბანვის წესის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

,,ფეხბანვის წესით უფალმა კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად აუცილებელია თავმდაბლობა‘‘,-ბრძანა პატრიარქმა.



**დიმა ჯაიანი**
*მსახიობი*

რომ შეხედო ჩვენს დროშას, ურიგო ნამდვილად არ არის. და როგორ შეგიძლია, შენ, თუნდაც ერთი კაცი საქართველოში, დიმა ჯაიანი იმ დონემდე მიიყვანო, როცა ამ დროშას ვხედავ, სიკვდილი მინდა, ისე მეზიზღება... **იმდენი მიფრიალე თვალწინ სიყალბით, დროშა შემაძულე...** და ამას ვამბობ მე, ქრისტიანი კაცი, დროშაზე, რომელზეც ჯვარია გამოსახული. **ჰიმნიც მძულს და გერბიც!**



**თემურ შაშიაშვილი**
*მოძრაობა „წინ საქართველოს“ ლიდერი*

**ვითომ გარეგნულად წყნარად, მშვიდად ელაპარაკებიან, სინამდვილეში კულუარებში მის უწმინდესობას, ეკლესიას ებრძვიან. პატრიარქი დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია. დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე უფრო მძიმე შევიწროებას, ეჭვი მეპარება, ვინმე განიცდიდეს. პატრიარქი ის პიროვნებაა, რომ იცოდეს, აქ ელოდება მძიმე ხვედრი (და მარტივი ხვედრი არ ელოდება), მაინც ჩამოვა.**

ბაგრატიონების ქორწილს რომ არ დასწრებოდნენ, პრეზიდენტი გერმანიაში წავიდა, პარლამენტის თავმჯდომარე — გელათში. **დავით ბაქრაძე 8 თებერვალს გელათში არასოდეს მინახავს. იმიტომ ჩამოვიდა, რომ ქორწილს არ დასწრებოდა. აი, ასეთი ხელისუფლებაა დღეს ქვეყანაში. ამ ხელისუფლებისგან ყველაფერი მოსალოდნელია.**



**დოქტორი დემი**
*ეროტიული მასაჟისტი*

**მე გავუკეთე მასაჟი დედამიწაზე ყველაზე მომხიბვლელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. ის საქართველოს პრეზიდენტია და ძალიან მხიარულია ურთიერთობაში. საერთოდაც, თავდაპირველად 30-წუთიანი მასაჟი უნდოდა, მაგრამ 90 წუთის შემდეგ აღიარა, რომ ეს მის ცხოვრებაში საუკეთესო მასაჟი იყო.**

**სეანსის დროს ძალიან გონებამახვილი იყო. მის მძლავრ კისერს ხელით ვეხებოდი და ვუთხარი: „ვაუ! თქვენი კისერი ისეთი დაჭიმულია!“ მან კი მიპასუხა: „თუ სერიოზულად გინდათ გითხრათ, მასზე რუსეთი ზის!“ ორივემ მაგრად ვიცინეთ ამ ხუმრობაზე.**

ჩვენი საზოგადოების პულსი



# გიორგი შენგელაია: „ჩემმა ძმამ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა!“

*რეჟისორი გიორგი შენგელაია მიიჩნევს, რომ მისმა ძმამ - ელდარ შენგელაიამ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა, „მტრული და მკვლელი ხელისუფლებისგან“ ჯილდოს აღებით მისმა ძმამ მათი ოჯახი შეურაცხყო. გიორგი შენგელაიას აღშფოთება წმინდა გიორგის ორდენის გამოიწვია, რომელიც სააკაშვილმა 11 აპრილს რეჟისორს გადასცა. გიორგი შენგელაია იმასაც დასძენს, რომ ყველა ადამიანმა ყველაფერი გვერდით უნდა გადადოს და ეს ხელისუფლება ამ ქვეყანას მოაშოროს.*

გიორგი შენგელაია: ამ დროს, ამ სიტუაციაში, როცა ქართველი ერი არის მტრებულობის ხელში, მტრებისგან რანაირი ორდენი არ უნდა მიიღო. ამით ხაზი ესმება იმას, რომ ხარ ამ მთავრობის მომხრე. ეს მთავრობაც დიდი ოსტატია პროვოკაციებისა. ამ დროს, როცა ხალხი გაყოფილია ორად და, როგორც ვიცი, ოპოზიციას გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს, ყველა ძალას ხმარობს სააკაშვილის ხელისუფლება იმისთვის, რომ ინტელიგენცია მოისყიდოს. რაღა ახლა გაახსენდათ ელდარის დამსახურება და რატომ წლების მანძილზე არ დაუფასეს?

- სააკაშვილის ხელისუფლებამ მწერლებს დაუბრუნა მწერალთა კავშირი, კომპოზიტორებს შეჰპირდა, რომ კომპოზიტორთა სახლს ბორჯღომში აღარ გაუყიდის; აგერ, ელდარ შენგელაიას დაუფასეს ღვაწლი... ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ხელისუფლება გვიან, მაგრამ მიხვდა თავის შეცდომებს და გამოსწორებასაც შეუდგა?

- ჯერ ერთი, რომ შეცდომების გამოსწორება უკვე გვიანია. მეორეც - აშკარად ჩანს, რომ ისევ ძველ მეთოდს იყენებს და მხოლოდ პიარაქციაა და მეტი არაფერი.

- ანუ თვლით, რომ ხელისუფლებამ ეს გამიზნულად გააკეთა?

- რასაკვირველია. ეს არის ჩვეულებრივი პიარ-აქცია. ამავე პიარში იყო მოაზრებული პოეტი მუხრან მაჭავარიანი. მისთვის ხელისუფლებას მანქანის ჩუქება უნდოდა, მაგრამ მუხრანმა უარი უთხრა. ანუ ინტელიგენციას (ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას ვგულისხმობ და არა კომუნისტურს) ხელისუფლება წითელ კვერცხებს უგორებს, მაგრამ არ უნდა მივიღოთ, როგორც არ მიიღო ბატონმა მუხრანმა. დღეს ძალიან ბევრი მირეკავდა და მეუბნებოდა, როგორ მიიღო ელდარმა ეს გაგორებული კვერცხი.

- როდის მოხდა მანქანის შეთავაზება?

- ამ დღეებში, როცა ჩემი ძმა დააჯილდოეს. მუხრანმა ვაჟკაცობა გამოიჩინა და უარი უთხრა მთავრობას მანქანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ყველას მოგეხსენებათ, რა გაჭირვებით ცხოვრობს. რაც ჩემმა ძმამ გააკეთა, ეს არის, პირდაპირ ჩემი ოჯახის შეურაცხყოფა.

- თქვენთვის თუ შემოუთავაზებია რამე ხელისუფლებას?

- არა. იციან, ვის გაუგორონ და ვის - არა. მე არც გამსახურდიას, არც შევარდნაძის და არც ამ ხელისუფლების დროს არანაირი პრივილეგია არ მიმიღია და არც მივიღებ, რადგან თავისთავად, როცა მთავრობისგან პრივილეგიას იღებ, უკვე მოსყიდული ხარ. ნახავთ, რომ მაგ ორდენის საფასურად ჩემს ძმას ხვალ ალბათ რაიმე სათავისოს და უმსგავსოს ათქმევინებენ.

- ესაუბრეთ ამის შესახებ თქვენს ძმას?

- ჩემს ძმას დიდი ხანია უკვე, რაც აღარ ველაპარაკები.

- რატომ?

- რატომ და 7 ნოემბრის აქციების დროს ჩემს ძმას ვეუბნებოდი: ჩვენი ოჯახის საკადრისი არ არის ხელისუფლებაში ყოფნა და გამოდი-მეთქი მაქედან. არ გამოვიდა. მესმის, რომ ყველა ადამიანს თავისი იდეოლოგია აქვს, მაგრამ როგორი იდეოლოგიაც არ უნდა გქონდეს, მრუში, მკვლელი, არაკაცური, არაადამიანური მთავრობის გვერდით როგორ უნდა იდგე?! ცხადია, ასეთ შემთხვევაში არ ხარ გულწრფელი და ყველაფერს რაღაცის გამო აკეთებ. არადა, ჩემს ძმას ბოლო ხანებში სულ ვუკიჟინებდი: არ მომწონს ეს პრივილეგიები, რომლებიც ხელისუფლებისგან გაქვს-მეთქი. ეს ჩვენს ოჯახს არ ეკადრება. სამწუხაროდ, ეს ჩვენს ურთიერთობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ყოველთვის ვცდილობდი, რამენაირად დამეფარა ჩემი ძმა ხელისუფლების მხრიდან ასეთი რაღაცებისგან.

ახლა, როცა თავისუფლების მოედანზე პროტესტით აღსავსე ხალხია თავმოყრილი, მაშინ, როცა ხელისუფლებისგან ტყუილების ქსელში ვართ გახვეულნი, შენ კი ელდარ შენგელაია, ნატო ვაჩნაძის და ნიკოლოზ შენგელაიას შვილი, ხელისუფლებისგან ჯილდოს იღებ!... ყველამ იცის გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილების ამბები. ამ მკვლელობებს ერთსაც დავამატებდი, რომელსაც მე ვიძიებ: ეს ეხება სააკაშვილის ყოფილ თანამშრომელს, როგორც ხალხი უწოდებს - მის სატრფოს ალანა გაგლოევას, რომელმაც 2005 წლის 19 დეკემბერს სრულიად უდანაშაულო ადამიანი ავტომანქანით გაიტანა რუსთაველზე.

- საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

- ამ დღეს სააკაშვილს მეორე შვილი ეყოლა. სადღაც იქეიფეს და ქეიფზე დამთვრალმა გაგლოევამ, რომელიც ვიღაცის „მერსედესს“ მართავდა, ახალგაზრდები გაიტანა. ეს საქმე დღესაც ძიებაშია. მე დავიქირავე ადვოკატი. ვინც დაიღუპნენ, ლევან შერაზადიშვილი, 28 წლის და 25 წლის ალონა თვაური იყვნენ. ეს ორი ახალგაზრდა ამათ თავგასულობას ემსხვერპლა.

- თქვენ რატომ დაინტერესდით ამ საქმით?

- ჩემთან იმიტომ მოდიან, რომ ნატო ვაჩნაძისა და ნიკოლოზ შენგელაიას შვილი ვარ. დაღუპულის ოჯახმა მთხოვა დახმარება. ძალიან უბრალო და ხელმოკლე ხალხია. მე გადავწყვიტე მათი დაცვა. დღემდე ეს საქმე დაუხურავია.

ჩემი ძმა ნუთუ ვერ ხედავს, რა მთავრობაა?! როგორ უნდა აიღო მათგან თუნდაც წმ. გიორგის ორდენი?! ღირსება თუ გაქვს, მაგათ ხელიდან არაფერი არ უნდა აიღო. ეს არის სირცხვილი. სამწუხაროდ, ჩემი ძმა არის ნამდვილი, ჩამოყალიბებული კომფორმისტი. იმ დაჯილდოებაზე ვინც იჯდა, მათ ქართველი ხალხის წინაშე უდიდესი დანაშაული მიუძღვით. ისინი ქართველ ხალხს თვალებში ნაცარს აყრიან.

- როგორც ჩანს, ძმები ერთმანეთს პოლიტიკური ნიშნით უპირისპირდებით?

- როცა მამული განსაცდელშია, ყურადღება ყველაფერს უნდა მიაქციო. მოგეხსენებათ, გადაცემა „დიდ ათეულში“ ილია ჭავჭავაძეს წარმოვადგენდი. მისი ცხოვრება ღრმად რომ შევისწავლე, დავინახე, რომ საქართველოს აღმოჩენამ უდიდეს განსაცდელში ილიას ყველაფერს დაანებებინა თავი, მათ შორის წერასაც - 10 წლის განმავლობაში არაფერი დაუწერია. მაშინ მისთვის, მართალია ძმა არ ჰყავდა, მაგრამ ასეთი კრიტერიუმი არ არსებობდა. ის დაუპირისპირდა კიდეც თავის გაზრდილსა და გამოწრთობილს ივანე მაჩაბელს და მოიკვეთა კიდეც. სამწუხაროდ, მეც ამ ფაქტის წინაშე ვდგავარ. როცა ვხედავ საქართველოს ასეთ მდგომარეობაში, არ შემიძლია საზოგადოებას არ ვუთხრა ის, რასაც ვფიქრობ.

- და რას ფიქრობს გიორგი შენგელაია?

- ვფიქრობ, რომ ჩემმა ძმამ სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა. მიტინგების დაწყების დღეს, როდესაც ჩემი ძმა იმ „ინტელიგენციასთან“ შეხვედრაზე დავინახე, რომლებიც გამოიჭირა ამ ხელისუფლებამ, ძალიან შევწუხდი. ამ პროცესებში, რაც დღეს საქართველოში მიდის, აქტიურად ვაპირებ მონაწილეობას.

მე აღარ ვარ რეჟისორი. დღეს იმდენად უჭირს საქართველოს, რომ ყველამ ყველაფერი უნდა გადავდოთ და ეს ხელისუფლება დავითხოვოთ. სწორედ ამიტომ ყველა ჩემი მხატვრული პროექტი გადავდე.

- ანუ პოლიტიკაში აქტიურად აპირებთ ჩართვას და არჩევნებშიც მიიღებთ მონაწილეობას?

- რასაკვირველია. აუცილებლად.

**მარი ოთარაშვილი**



**ირაკლი ალასანიაზე ბევრს საუბრობდნენ ადრეც და არანაკლებს საუბრობენ დღესაც... რესპუბლიკელებისა და „ახალი მემარჯვენეების“ საპრეზიდენტო კანდიდატი სასიამოვნო, მაგრამ საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული მოსაუბრე აღმოჩნდა. ჩანს - დიპლომატიის დიდი სკოლა აქვს გავლილი... თავშეკავებულად შეხვდა საუბრის პირველ თემას - „არაერთი ბრალდებაც გაჟღერებულა თქვენს მიმართ“-მეთქი და...**

# მე ვდებ პირობას!



**- თავიდანვე, როდესაც საჯარო მოხელეობიდან საჯარო პოლიტიკაში წამოსვლა გადავწყვიტე, ჩემი მთავარი პრინციპი ადამიანებთან ურთიერთობით მათთვის საკუთარი თავის გაცნობა გახლდათ! მე მათთვის უნდა შემეთავაზებინა ის, რასაც ხელისუფლებაში ჩემი და ჩვენი პოლიტიკური გუნდის მოსვლის შემთხვევაში გავაკეთებდი ჩემი ქვეყნის მოქალაქეებისათვის! აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რეალობისთვის მზად ვარ!**

რაც შეეხება ბრალდებებსა თუ ცილისწამებებს... ხშირ შემთხვევაში, მე მიპირისპირებენ აგორებულ შავ პიარს... ერთხელ შევპირდი და ვუთხარი ხალხს, რომ მე ამგვარი მეთოდებით პასუხის გაცემას არ ვაპირებ ამ სიბინძურეებზე!

**- თქვენი კულინარიელობის ვერსია ბევრმა თქვენივე თანაპარტიელმა თქვენი ასაკის გამო უარყო...**

- ამ კონკრეტულ შეკითხვას მე უკვე გავეცი პასუხი და არ ვაპირებ, ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდე, იმდენად არასერიოზულია!

**- თუმცა, არ გაგიციათ პასუხი თოთხმეტი წლის წინ საიდუმლო ვითარებაში გაუჩინარებული ბავშვების - თვრამეტი წლის ალექსანდრე („კუსა“) თოხმაიდისა და თოთხმეტი წლის ბექა რეხვიაშვილის დედებისთვის, რომლებიც აცხადებენ, რომ თქვენ ამ ბავშვების გაუჩინარებაში ლომის წვლილი გაქვთ შეტანილი...**

- მე ამის თაობაზეც ვთქვი ჩემი სათქმელი...

**- მაპატიეთ, მაგრამ მე არ მომისმენია თქვენგან ამ ტრაგედიის დეტალური ახსნა...**

- ეს არის უდიდესი ტრაგედია, რომელიც დაემართა ჩვენს საზოგადოებას და რომელიც ყველამ ძალიან მძიმედ გადავიტანეთ! როგორც უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა, ვცადე, გარკვეული წვლილი შემეტანა დანაშაულის გახსნაში, თუმცა, ის, სამწუხაროდ - ბოლომდე გამოძიებული არ არის! სამწუხაროდ, გამოძიებამ გამოსავალი ვერ იპოვა და ვერ გასცა შეკითხვებს პასუხი. არ მინდა ჩავუღრმავდე, მაგრამ მე ვიცი, რა ძალებიც იყენებენ შვილმკვდარი დედების ამ განწყობებს და ამიტომ ჩემი პასუხი იქნება ერთადერთი: ეს იყო ტრაგედია, რომელიც ყველამ ერთად გადავიტანეთ და სამწუხაროა, რომ გამოძიებამ პასუხი ვერ გასცა შეკითხვებს!

**- თქვენ განაცხადეთ - ვიცი, რა ძალებიც იყენებენ ამ ტრაგედიას და შვილმკვდარი დედების განწყობასო. კონკრეტულად თუ შეგიძლიათ ამ ძალების დასახელება? ან იქნებ თქვენს დიპლომატიურ გამოცდილებას გამოიყენებთ და ზოგადად გამცემთ პასუხს?**

- ყველა თემა და ე.წ. „შავი პიარი“ აგორებულია და იმართება ხელისუფლების წარმომადგენლებისგან!

**- პირდაპირ ხელისუფლებისკენ იშვერთ ხელს?**

- დიახ! და მე ამაში ეჭვიც არ მეპარება...

**- თუმცა, ეს ქალბატონები ოთხკაციანი ჯგუფის ლიდერობაშიც გდებენ ბრალს...**

- კონკრეტულად არ ვიცი, რაში მდებენ ბრალს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს იყო ტრაგედია, რომელიც მეც შემეხო და, ბუნებრივია, საქმის ვერგამოძიებისა და პასუხგაუცემელი შეკითხვების გამო ეს ქალბატონები სხვადასხვა მიმართულებით აყენებენ სხვადასხვა სახის ბრალდებებს... მე დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ მაშინდელი ჩემი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი ვიღონე, რათა გამოძიება წარმატებით დასრულებულიყო!

**- კაბალში თქვენი ვიზიტების თაობაზეც გაიჟღერა ბრალდებამ, თითქოს მეგობრებთან ერთად დადიოდით კაბალში და „იქიდან წამალს ეზიდებოდნენ!“..**

- ამ შეკითხვას საერთოდ არ გავცემ პასუხს, იმდენად აბსურდული და... პრიმიტიულია ეს ბრალდება!

**- თუმცა, ესეც უკვე პასუხია... სხვათაშორის, როდესაც ოპოზიციის ერთ-ერთ შესაძლო ლიდერად გაიჟღერა თქვენმა გვარმა, საზოგადოებაში გაჩნდა ლოგიკური კითხვა: „სად იყო ირაკლი ალასანია მაშინ, როდესაც 7 ნოემბერს სააკაშვილის ზონდერბრიგადებმა დაარბიეს მშვიდობიანი მომიტინგეები?“ ფაქტია, რომ შვიდი ნოემბრის მოვლენები ირაკლი ალასანიას ხმამაღლა არ გაუპროტესტებია! რამ გაგაჩუმათ მაშინ?**

- მე ხმამაღლა გამოვხატე ჩემი შეხედულება ზოგადად მაგ პროცესზე... ნოემბრის დღეებშიც, „იმედის“ ტელეარხითაც განვაცხადე, რომ აუცილებელი იყო დიალოგი და არავითარ შემთხვევაში ეს საკითხი არ უნდა გადაწყვეტილიყო ძალისმიერად და ძალის გამოყენებით! შემდგომშიც ღიად ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას... შვიდი ნოემბრის მოვლენები იყო უდიდესი შეცდომა და საქართველოს დემოკრატიის განვითარებისთვის მიყენებული უდიდესი დარტყმა. რაც შეეხება გადადგომას... სხვათაშორის, ჩვენი გუნდის წევრი ლევან მიქელაძე იმ დღესვე გადადგა შვეიცარიაში საქართველოს ელჩის თანამდებობიდან! ბუნებრივია, ჩემს მეგობრებთან მეც მქონდა კონსულტაციები... ჩვენ ერთად გადავწყვიტეთ, დავრჩენილიყავი პოსტზე, რათა ბოლომდე მიმეყვანა დაწყებული საქმე - გამეტანა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე დევნილების პრობლემისადმი დაკავშირებული რეზოლუცია. პრაქტიკულად, პირველი და უკანასკნელი რეზოლუცია, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე იქნა მიღებული დევნილებისა და მათი საკუთრების უფლების შესახებ. რაც შეეხება სიტუაციის შეცვლას... აქ სიტუაციის შეცვლა მხოლოდ და მხოლოდ სწორი მოლაპარაკების პროცესით შეიძლება აფხაზურ მხარესთანაც და ჩვენს ოს ძმებთანაც! მე ძალიან დიდი ოპტიმიზმით ვარ განწყობილი, რომ ეს მოლაპარაკებები შედგება და ქართული მხარის მხრიდან ნდობის აღდგენა აფხაზებთანაც და ოსებთანაც შესაძლებელს გახდის შერიგების პროცესების დაწყებას! თუმცა, ეს პროცესი შეიძლება იყოს ხანგრძლივი...

**- ხანგრძლივში რამდენ წელს გულისხმობთ, ბატონო ირაკლი?**

- თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, შესაძლებელია, დღეს ვინმემ პასუხი გასცეს მსგავს შეკითხვას?! მხარეთა პოლიტიკურ ნებაზე, დინამიკაზე და ჩვენს ძალისხმევაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად მოვახერხებთ ნდობის აღდგენას ორივე მხარესთან...

**- პირდაპირ გკითხავთ: თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში გადაწყდება თუ არა დადებითად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი?**

- ვფიქრობ, საქართველოს გამთლიანებას სირთულის მიუხედავად, მაინც აქვს ნათელი პერსპექტივა... მე ძალღონეს, რესურსს მოლაპარაკების პროცესში ბოლომდე გამოვიყენებ, რათა შერიგება მოხდეს! ამის შემდეგ ჩვენ უნდა დავიწყოთ მუშაობა თანაცხოვრების პირობებზე ერთიან სახელმწიფოებრივ საზღვრებში.

**- ბატონო ირაკლი, გიმეორებთ შეკითხვას: თქვენ, როგორც „ალიანსის“ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატი, დებთ თუ არა პირობას, რომ თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება?**

- მაგის პირობას ვერცერთი პრეზიდენტიც ვერ მოგცემთ! ამას შეიძლება რამდენიმე პრეზიდენტის ვადაც დასჭირდეს და ეს იქნება დამოკიდებული მოლაპარაკების პროცესზე! მე ვდებ პირობას, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რათა „ჩატეხილი ხიდი“ და „ჩატეხილი ურთიერთობა“ ოს და აფხაზ ძმებთან აღდგეს!

**- თქვენმა წამოსვლამ გაეროში ელჩის თანამდებობიდან ქართული ოპოზიციური სპექტრის „დახარბებაც“ გამოიწვია...**

- „დახარბებაში“ რას გულისხმობთ?

**- ყველა თავისკენ „ექაჩებოდა“ ხელისუფლებისაგან განდგომილ ალასანიას... ბოლოს „ახლებისა“ და რესპუბლიკელების ერთობამ გადაწონა და დღეს ამ ალიანსის ლიდერი ბრძანდებით... რატომ მაინცდამაინც „ახლებისა“ და რესპუბლიკელების ალიანსი?**

- ალასანია არავისკენ არ წასულა! ალასანია მიდის თავისი გზით! ჩვენ საერთო მოვძებნეთ თითქმის ყველა პოლიტიკურ ძალასთან! თითქმის!

**- და არა ყველასთან...**

- ყველასთან ვერც მოვძებნით... თქვენ არ გაგიძნელდებათ ყველა ჟურნალისტთან საერთო ენის გამონახვა?

**- თუ საერთო მიზანი და ქვეყნის კეთილდღეობა მოითხოვს, შეიძლება ასეც მოხდეს.**

- ვნახოთ... მე მგონი, საერთო ჟურნალისტური ოჯახიც არ არის ერთსულოვანი მიზნის მიღწევაში, მაგრამ... ჩვენ ამ ორ პოლიტიკურ ძალასთან დავაახლოვეთ საერთო მიზნები, მომავლის სამოქმედო გეგმები... ვგულისხმობ რეფერენდუმის იდეასაც და რეფერენდუმის უარყოფის შემდეგ პლებისციტსაც... ჩვენი „ალიანსის“ კარი ყველასთვის ღიაა და ერთსაც გეტყვით: მიმდინარეობს კონსულტაციები სხვა პოლიტიკურ ძალებთანაც საერთო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და დარწმუნებული ვარ, უახლოეს დღეებში ოპოზიციური ძალების ფართო სპექტრი შეთანხმდება და კოორდინირებულად ვიმოქმედებთ! დღეს საუბარია იმაზე, რამდენად მზად ვართ კონკრეტული, საერთო ამოცანის მიღწევისთვის და არა იმაზე, ვინ ვის გაურიგდება და გაუერთიანდება!

**- და თქვენი საერთო ამოცანა რა არის?**

- კონსტიტუციური, მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა!

**- თქვენ გჯერათ, რომ მიშა დანიშნავს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს?**

- უკაცრავად, ასე მე პრეზიდენტს არ მივმართავ და მასზე ასე არ ვსაუბრობ. დარწმუნებული ვარ, თუკი იქნება ხალხის ნება გამოვლენილი, ბატონი სააკაშვილი საზოგადოების ნებას გვერდს ვერ ავლის!

**- საზოგადოებას ახსოვს თქვენი დაპირისპირება ბატონ ოქრუაშვილთან „მონადირის“ თაობაზე მაშინ, როდესაც იგი თავდაცვის მინისტრი ბრძანდებოდა...**

- კარგია, თუ გახსოვს...

**- მაგრამ საზოგადოებას არ ახსოვს თქვენი პროტესტი, გნებავთ, გლდანის, გნებავთ, ფერიის მთაზე მდებარე ეკლესიების დარბევა-დანგრევის დროს...**

- პირდაპირ გეტყვით: პროტესტის გამოხატვის სხვადასხვა ფორმები არსებობს... არ არის აუცილებელი, მაინცადამაინც ტელე და გაზეთის მედიის საშუალებით აქეთოდ განცხადებები! შეგიძლია, გამოხატო პროტესტი იმ საზოგადოებაში, იმ წრეში, რომელშიც ტრიალებ და გიწევს მოღვაწეობა... პირადი წერილით, ტელეფონის ზარით... ყველაფრის გაპიარება - უხერხულია! ეს ჩემი და ჩვენი გუნდის სტილი არ არის!

**- ანუ მხოლოდ სახელისუფლებო კულუარებში აპროტესტებდით მსგავს ფაქტებს?**

- კულუარებშიც და გარეთაც, საზოგადოებაშიც!

**- გულწრფელად მაინტერესებს, კონკრეტულად ვისთან გქონდათ საუბრები მსგავს სიტუაციებში?**

- ყველასთან! ყველასთან, ვისთანაც მქონდა შეხება, მე ჩემს პოზიციებს ვაფიქსირებდი!

**- საზოგადოებამ და ქართველმა ერმა რატომ უნდა დაგიჯეროთ თქვენ, ბატონო ირაკლი?**

- მე უნდა მოვახერხო, რომ ჩემი პლატფორმა ქვეყნის განვითარებისა და მომავლისა იყოს ის სავიზიტო ბარათი, რომლითაც წარვსდგები ჩემი ხალხის წინაშე! რამდენად დამაჯერებელი ვიქნები - ეს საზოგადოების გადასაწყვეტია...

**- კულტურის მინისტრთან ნიკა რურუასთან თქვენი მეგობრობაც საქილიკოდ და საკრიტიკოდ ჩათვალა ბევრმა...**

- ბატონ ნიკასთან მაკავშირებს ბოლო წლების განმავლობაში ძალიან დადებითი პროფესიული ურთიერთობა და საერთო მიზნით განპირობებული საქმიანობა. ჩვენ ბევრ საკითხზე ერთად ვმუშაობდით და საკმაოდ წარმატებულადაც! აქედან გამომდინარე, მაკავშირებს ძალიან კარგი სამსახურებრივი ურთიერთობა! მას შემდეგ, რაც ხელისუფლებიდან წამოვედი, მასთან აღარ მქონია კონტაქტი, თუმცა, ჩვენი ურთიერთობები მიმართული იყო ქვეყნის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისკენ...

**- და მაინც... არის თუ არა ბატონი ნიკა რურუა თქვენი მეგობარი?**

- მე უკვე გაგეცით პასუხი...

**- სამსახურებრივ ურთიერთობებზე არ მიკითხავს თქვენთვის...**

- ბატონ ნიკა რურუას არ ვიცნობდი მისი პარლამენტში მოღვაწეობის დაწყებამდე...

**- ბატონო ირაკლი, როდესაც აფხაზებთან და ოსებთან შერიგებაზე ვსაუბრობთ, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ თქვენი და ბატონი კახა შარტავას მამები სწორედ აფხაზეთის ომში დაეცნენ... შეიძლება არაერთხელ გისაუბრიათ ამაზე, მაგრამ მაინც გკითხავთ: მზად ხართ, დაივიწყოთ პირადი ტრაგედია და შერიგების ხელი გაუწოდოთ მამის მკვლელებს?**

- თქვენ, ალბათ, არ აკვირდებოდით მოლაპარაკების პროცესში ჩემი მონაწილეობის სხვადასხვა პერიოდებს... მე უკვე გადავლახე ეს ბარიერი და აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა მას შემდეგ შევძელი, როდესაც არაფორმალური შეხვედრებისას ორივე მხარე აღმოვჩნდით მზად, პირადი ტრაგედიები გადაგვედო გვერდზე ქვეყნის საკეთილდღეოდ! ის ტკივილი, რაც მაკავშირებს აფხაზეთთან და იმ ომთან, იმ ტრაგედიასთან, არ არის და არც იქნება წინაღობა ჩემი და აფხაზური მხარის მოლაპარაკების პროცესში!

**- დარწმუნებული ვარ, საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში საპრეზიდენტო კანდიდატები მომრავლდებიან...**

- თქვენც ხომ არ აპირებთ საკუთარი კანდიდატურის დაყენებას?! *(იღიმება)*

**- რას ბრძანებთ, ხელს როგორ შეგიშლით?!. თუმცა, კითხვა დაისმის: რითი იქნება ირაკლი ალასანია რომელიმე სხვა კანდიდატზე უკეთესი? მაგალითად, შალვა ნათელაშვილს რითი აჯობებთ?**

- ეს საკითხი საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს. მე ვერაფერს გეტყვით!

**- ან ნინო ბურჯანაძეს რითი აჯობებთ?**

- არც ამ კითხვაზე გიპასუხებთ. არ მინდა, ჩავერიო თავად მოქალაქეების გადასაწყვეტ საკითხებში. მე ჩემი შეთავაზებით მოვალ ხალხთან და ხალხმა გადაწყვიტოს! თუმცა, ხაზს ვუსვამ და ვიმეორებ: დღეს ამაზე საუბარი ნაადრევია! დღეს ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლა და არჩევნების დანიშვნაა მთავარი!

**- ნაადრევად მიგაჩნიათ ამ თემაზე საუბარი, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, თქვენი კანდიდატურაც „ნაადრევად“ წამოაყენეს თქვენმა თანამებრძოლებმა...**

- „ალიანსის“ და პოლიტიკური გაერთიანების უფლებაა, ჰყავდეს საკუთარი ლიდერი, საკუთარი კანდიდატი სამომავლო არჩევნებზე. ამაში დანაშაულს ვერ ვხედავ, თუმცა ჩემი პოზიცია უკვე გაგაცანით: დღეს ნაადრევია საპრეზიდენტო კანდიდატებზე ლაპარაკი!

**- სხვათაშორის, რესპუბლიკელებთან ბევრი კითხვა აქვს საზოგადოებას გაჩენილი, რასაც ვერ ვიტყვით „ახლებზე“... განათლებისა თუ რელიგიის საკითხებზე რესპუბლიკელების პოზიცია ხშირად გაუკრიტიკებია ბევრს. ბოლო-ბოლო, რესპუბლიკური პარტია სოროსის ფრთებქვეშ შექმნილი ორგანიზაციის სახელით სარგებლობს... რამ გადაგაწყვეტინათ მათთან ერთად პოლიტიკურ ალიანსში გაერთიანება?**

- თქვენც იზიარებთ მსგავს დამოკიდებულებას?

**- ბატონო ირაკლი, მე ჟურნალისტი ვარ და, უბრალოდ, იმ კითხვებს ვსვამ, რომლებსაც ჩვენი გაზეთის მკითხველები სვამენ...**

- ისეთი მტკიცებითი ფორმით საუბრობთ, მართლა მაინტერესებს, თქვენც თუ იზიარებთ მსგავს პოზიციებს?

**- არ დაგიმალავთ და რიგ საკითხებთან მიმართებაში კითხვის ნიშანი მეც ხშირად დამისვამს...**

- მე კონკრეტულ ლიდერებთან მაქვს დღეს საუბარი. ჩვენ გვაქვს საერთო ამოცანები, საერთო გეგმები და მე მათთან მოვძებნე ძალიან ბევრი საერთო... რაც შეეხება ბრალდებებს, შეიძლება ანალოგიური ბრალდება თქვენს წინააღმდეგაც არსებობდეს, მაგრამ კონკრეტული ინფორმაციებია საჭირო, რაც რეალურად გაამყარებს მსგავს ბრალდებებს... გარდა ამისა, ბატონ დავით უსუფაშვილთან მაკავშირებს ბევრი რამ უნივერსიტეტიდანაც... ორივე იურისტები ვართ... და პირდაპირ გეტყვით: მასთან მხოლოდ და მხოლოდ დადებითი ურთიერთობები მქონდა ამ პერიოდში და ჩვენი მეგობრობა წლების განმავლობაში მტკიცდებოდა! იგივე მაკავშირებს ბატონ დავით გამყრელიძესთანაც!

**- მახსოვს, ერთ-ერთ გაზეთში ბატონი ლევან ბერძენიშვილის მაკომპრომეტირებელი, სუკის იზოლატორში მის მიერ მიცემული „აღიარებითი ჩვენებაც“ გამოქვეყნდა...**

- მე არ ვფლობ ასეთ ინფორმაციას! ეს თქვენი დასკვნაა...

**- ეს არ არის დასკვნა... მე არ ვარ მხარე, რათა დასკვნები ვაკეთო, ბატონო ირაკლი. მე, უბრალოდ, ვსვამ კითხვებს, რომლებზე პასუხებიც საზოგადოების ერთ ნაწილს აინტერესებს... თქვენ უშიშროების სისტემაში ნამუშევარი და საკმაოდ ინფორმირებული ადამიანი უნდა იყოთ... მე გეკითხებით იმ ადამიანზე, რომელსაც არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია თქვენს ალიანსში... მასზე არსებობს ეჭვი, რომელსაც პირადად მე არ ვიზიარებ და პატივსაც ვცემ ბატონ ლევანს...**

- ბატონ ლევანთან სულ რამდენჯერმე ვარ შეხვედრი, ვაკვირდებოდი მის გამოსვლებს მედიის საშუალებით... თუმცა, თავად ფაქტი მისი საბჭოთა იზოლატორში ყოფნისა მეტყველებს, რომ ის მოქმედებდა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ და მას მოქალაქეობრივი წვლილი მიუძღვის იმ რეჟიმის შეცვლაში!

**- ახალი წლის წინ საქართველოში აიტაცეს ხუმრობით ნათქვამი ფრთიანი ფრაზა: - „მთელი მსოფლიო სანტა-კლაუსს ელის და საქართველო - ირაკლი ალასანიას ჩამოსვლასო“... ამ მოლოდინს - როგორც მედალს - ორი მხარე ჰქონდა. როგორც ჩვენი სარედაქციო ფოსტა „მეტყველებს“ - ერთი მხარე რადიკალიზმს გულისხმობდა...**

- რატომ გგონიათ, რომ ხალხი ელის რადიკალიზმს?

**- როდესაც თქვენ გაეროში ელჩის თანამდებობას ტოვებდით, საზოგადოების რაღაც ნაწილი სწორედ თქვენი რადიკალიზმის მოლოდინში იყო... თქვენ კი „ცივი წყალი გადაასხით“ ზოგიერთების განწყობას...**

- რადიკალიზმი არ გახლავთ მიზნის მიღწევის ერთადერთი საშუალება. მიზნის დასახვა და ამოცანის მიღწევისთვის კონკრეტული გეგმის შემუშავება უნდა შეგეძლოს... არის რადიკალურად განწყობილი საზოგადოება, მაგრამ ასევე არის საკმაოდ დიდი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც თანმიმდევრული და გაწონასწორებული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმას ელის ჩვენგან! საზოგადოების დიდი ნაწილი არის საკმაოდ ნეგატიურად განწყობილი ხელისუფლების მიმართ, კონკრეტულად პრეზიდენტის მიმართ იმ შეცდომების გამო, რომლებიც მან ჩაიდინა და იმის გამო, რომ მას ვერ გამოჰყავს ქვეყანა კრიზისიდან, მაგრამ რადიკალური განცხადებების კეთება არ არის ხალხის დიდი ნაწილისთვის მოსაწონი. რადგან რადიკალური განცხადებების კეთება არ ნიშნავს სწრაფი შედეგის დადებას პოლიტიკაში...

**- თქვენ წეღან კონკრეტული პასუხი არ გაგიციათ... რატომ ირაკლი ალასანია და არა ბურჯანაძე, ნათელაშვილი, ოქრუაშვილი ან ვინმე სხვა?**

- მე არაერთხელ მითქვამს, როგორ ვაპირებ საგარეო პოლიტიკური ძალისხმევის წარმართვას ქვეყანაში სტაბილურობის აღსადგენად. ასევე მაქვს კონკრეტული წარმოდგენა ქვეყნის განათლების სისტემის განვითარებაზე, ეკონომიკური განვითარების პროცესებზე... აუცილებელია სასამართლო და სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარება და გაძლიერება...

**- თქვენგან კონკრეტულ დაპირებებს ელის ხალხი...**

- იმ შემთხვევაში, თუ ის ძალა მოვა ხელისუფლებაში, რომელშიც მე ვიქნები, რეალურად დაბალანსებული სახელისუფლებო სტრუქტურები იქნება და რეალურად დავიწყებთ დემოკრატიული ქვეყნის მშენებლობას... ეკონომიკური სტრატეგია იქნება შემუშავებული და რეალურად დავიწყებთ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას...

**- ბატონო ირაკლი, მაპატიეთ, მაგრამ ჩაგეკითხებით: ჭოპორტელ გლეხს საერთოდ არ ანაღვლებს ევროატლანტიკური ინტეგრაცია... არც ხელვაჩაურელ მეშწვანილეს აინტერესებს ეკონომიკის სტრატეგიული გეგმები... ჭიათურელი მაღაროელისთვისაც და ნუკრიანელი მევენახისთვისაც მთავარი სხვა რამეა: იქნება თუ არა მათი ცხოვრება უკეთესი ირაკლი ალასანიას პრეზიდენტობის შემთხვევაში და რითი იქნება უკეთესი?**

- ეს ყველაფერი ერთმანეთზეა დამოკიდებული. არ შეიძლება, დაჰპირდე გლეხს რაღაცას, რის შესრულებასაც ვერ შეძლებ! სააკაშვილის პრობლემა ის იყო, რომ მან გასცა დაპირებები და, პრაქტიკულად, ვერცერთი დაპირება ვერ შეასრულა! ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარება გახდება წინაპირობა იმისა, რომ გლეხმა საკუთარი ნაწარმი შექმნას, გაყიდოს და გაუჩნდეს საარსებო საშუალება! ეს გახდება საფუძველი იმისა, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები!

**- „ირაკლი ალასანიამ და ვალერი ხაბურძანიამ ერთად გაუღეს კარები სააკაშვილს „ვარდების რევოლუციის“ დროს“, - ასეთი ბრალდებაც გააჟღერა დეპუტატმა გია თორთლაძემ თქვენი მისამართით...**

- აბსურდულია! აბსოლუტურად!

**- სამუშაო ადგილები ახსენეთ და, „მოქალაქეთა კავშირის“ მთავარი დაპირებაც ეს იყო ადრე. არადა, მაშინ თქვენ ხელისუფლებაში იყავით - უშიშროების მინისტრის მოადგილეც ბრძანდებოდით... აფხაზეთის დე იურე მთავრობის ხელმძღვანელიც ბრძანდებოდით... დღეს უკვე პრეზიდენტობის კანდიდატი, ანუ ისევ ხელისუფლებაში მოსვლისთვის მომზადებული ირაკლი ალასანია დებს თუ არა პირობას, რომ მისი პრეზიდენტობის შემთხვევაში, მილიონი სამუშაო ადგილის შექმნა მისი მმართველობის მთავარ პრიორიტეტად იქცევა?!**

- ჩვენი მთავარი ამოცანა უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა იქნება! ამას ახლაც ვპირდები ხალხს და ვპირდები, რომ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება ჩვენი მთავარი პრიორიტეტი!

**- ანუ თქვენი პრეზიდენტობის დროს...**

- დღეს რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში უმთავრეს პრიორიტეტად იქნება ერთადერთი რამ: საქმე ლაპარაკის ნაცვლად! ოღონდ რეალურად!!!

ერთსაც გეტყვით: დღეს გაჩერების დრო აღარაა! თორემ მთლად გადაჩეხა უფსკრულში ეს ქვეყანა სააკაშვილმა და მისმა გუნდმა!

ესაუბრა

**გიორგი მამაცაშვილი**

**p.s.**

*მოვდიოდი ბატონი ირაკლისგან და გული მწყდებოდა ჩემს „უსუსურობაზე“... სამჯერ გადადებული ინტერვიუ შეთანხმებული ერთი საათის ნაცვლად, ოცდახუთ წუთში დამთავრდა! „ალიანსის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა დიპლომატიურად მიმანიშნა საათზე.*

*მოვდიოდი და მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ვფიქრობდი...*

*ალბათ, მოვა დრო და ბატონი ალასანიასგან სხვა შეკითხვებზეც მივიღებთ პასუხს... თუ იუმორითა და ლირიკულად ვიტყვით: ოცდათხუთმეტი წუთი ვალად პრეზიდენტობის კანდიდატისგან - ცოტა ნამდვილად არ არის!..*

# «გადადექის» საფუძვლად ხალხის ნება უქევს!

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა, რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს, ვინც ვერ აზერხებს ქართულად წერას, კითხვას და ლაპარაკს" - გახსოვთ ალბათ მუხრან მაჭავარიანის ეს სტრიქონები, რომლებიც კომუნისტების დროინდელ იმ ქართველებს „მოუძღვნა", თავმოწონების მიზნით რუსულად რომ ლაპარაკობდნენ. ეს ლექსი ახლაც აქტუალური გვგონია ჩვენ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღეს, სამწუხაროდ, ვინც ქართულად მოლაპარაკე, ისინიც კი ვერ ვლაპარაკობთ გამართული ქართულით.

რა ხდება ქართულ პოლიტიკურ გრამატიკაში? ამის გასარკვევად მივედით პარლამენტის წევრთან, ცნობილ ლიტერატორ ბატონ **თამაზ კვაჭანტირაძესთან.**

*- ბატონო თამაზ, მართალია, თქვენს ექსკლუზიურ წიგნს საერთო სახელად „სიტყვა" ჰქვია, მაგრამ თუ დაგვისახელებთ რომელიმე კერძო სიტყვას, რომლის ავტორობაც მიგიჩნიათ თავი?*

- „ილიელი"! მე თავი ერთ-ერთ რიგით ილიელად მიმაჩნია და ამ სიტყვის დასამკვიდრებლად ვჯახირობ კარგა ხანია.

*- არის ვინმე აქ, პარლამენტში, ილიელი?*

- როგორ არა, აგერ გვერდით მიზის ერთ-ერთი გამორჩეული ილიელი ანზორ ერქომაიშვილი... უფრო მეტად პარლამენტს უნდა ეამაყებოდეს, რომ ანზორი არის მისი წევრი, ვიდრე ანზორს, რომ ის არის პარლამენტარი.

*- ბატონო თამაზ, ამ ბოლო დროს გახშირდა სიტყვების შემოკლება, მაგალითად, შოკოლადს ეძახიან „შოკოს", შამპანურს - „შამპს", კომპიუტერს „კომპს" და ასე შემდეგ; ესეც ამერიკის გავლენის გამოა თუ სხვა მიზეზიც აქვს?*

- მოკლე სიტყვის წარმოთქმისას ნაკლებ ენერგიას ეხარჯავთ, ამიტომ სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში ენა ყოველთვის მოკლე ფორმას მიანიჭებს უპირატესობას. ამჟამად შემოკლებები უფრო ახალგაზრდულ ჟარგონში იჩენს თავს.

*- გვეზარება ხომ ახალგაზრდებს სიტყვის ბოლომდე თქმა? ისე ენერგია, ეტყობა, ჭარბად აქვთ აქ, პარლამენტში.*

- რატომ მაინცდამაინც პარლამენტში? სხვაგანაც [illegible] და საკმაოდ ეფექტურადაც! თუნდაც [illegible]... ხომ გახსოვთ აკაკისეული „რაც არ იწვის, არ ანთია"? ჰოდა, იწვის, ბოლომდე იხარჯება გია [illegible], დღეს, ალბათ, ყველაზე ცნობილი [illegible] და [illegible] ამ შემოქმედებითი წვისაგან...

*- ანუ, თქვენეული შეფასება ამ [illegible] ასეთი იქნებოდა - არ არსებობს?! სიტყვამ მოიტანა და, გეკითხებით როგორც [illegible], საიდან მოდის ეს გამოთქმა - „ვაიმე, არ არსებობს!"*

- ვაკიდან... ვაკელ ნინველ გოგონებს უყვართ ხოლმე ასე შეძახილი!

*- ნინველი ანუ თინეიჯერი ხომ?*

- კი, თინეიჯერი... არც მე ვარ ამ სიტყვის წინააღმდეგი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ საბასეული არც ნინველი, არც [illegible], არც ყრმა, არც ჭაბუკი...

*- მართალია, არ უნდა დავივიწყოთ... ოპოზიცია რომ გაიძახის, დაგვღუპავენ ეს თინეიჯერებიო, არ სჯობია, თქვას: - დაგვღუპავენ ეს ნინველებიო?!*

- მე, როგორც ოპოზიციონერ პარლამენტარს, თავად ქვეყნის დაღუპვის საშიშროება უფრო მადარდებს, ვიდრე „თინეიჯერს" მივაკუთვნე ენობრივი უპირატესობა, თუ „ნინველებს".

*- ბატონო თამაზ, პარლამენტი მოლაპარაკეთა ყველაზე დიდი თავშეყრის ადგილია, ბევრი უშვებს აქ ენობრივ შეცდომებს?*

- ენობრივი გადაცდენა მხოლოდ [illegible], თორემ ცოცხალ [illegible] ამგვარი შეცდომებისაგან დაზღვეული არავინ ვართ. მეც ბევრჯერ დამიშვია შეცდომა. არის ამგვარი პედაგოგიურ-ორატორული ეშმაკობა: შეცდომას საგანგებოდ უშვებენ, რათა იქვე გაასწორონ და ამ გასწორებით კიდევ უფრო მკვიდრად დაამახსოვრონ მსმენელს ესა თუ ის დებულება ან ენობრივი ფორმა.

*- პრეზიდენტმაც ხომ არ „იეშმაკა" მაშ, როცა რუსთაველი და ორბელიანი აურია ერთმანეთში?*

- აკი მოგახსენეთ, ენობრივი და ფაქტობრივი შეცდომები, თუნდაც მექანიკური, ყველას დაუშვია, მათ შორის, ქვეყნების უპირველეს პირებსაც.

*- ისიც მექანიკური შეცდომა იყო ხომ, თამაზ ბატონო, [illegible], რომ თქვა?*

- გასაგებია თქვენი ირონია და ამ ირონიასაც [illegible] პრეზიდენტი დიდსულოვანი ღიმილით უნდა შეხვდეს... [illegible] პრეზიდენტმაც შეუძლია მას მიმართოს, ოღონდ გემოვნებით და, რაც მთავარია, გემოვნებით...

*- კარგი, მოდი, პრეზიდენტის თავი დავანებოთ და ოპოზიციაზეც ვიქვათ... „დაგინებას" და „შეგინებას" შორის შინაარსობრივად თუ არის არსებითი განსხვავება?*

- როგორ არ არის, მაგალითად: „დავიგინოთ, რომ ამ საქმეს არ ჩავიდენთ". აქ სიტყვა „დავიგინოთ" „შევიგინოთ" ვერ შეცვლიდა; თუმცა გრამატიკულად ერთიც სწორია და მეორეც... აი, ლევანმა რომ თქვა, ის უფრო დაგინების შინაარსისა გახლდათ და არა - შეგინებისა.

*- ბატონო თამაზ, „გადადექის" ფუძე რა არის?*

- „დგომა" ანუ ამოსავალი არის „დგ"-ძირი, რომელიც სიმყარეს, სტატიკას ეფუძნება, „გადადექი", კი, პირიქით, დინამიკის გამომხატველი და პოლიტიკური ნიჭის ერთ-ერთ საზომად იმის მიმართება, როდის უნდა იდგეს პოლიტიკოსი შეუვალებლად და როდის უნდა გადადგეს. საერთოდ, „გადადექის" საფუძვლად ხალხის ნება უქევს!

*- [illegible] არ გავიგე, რას ნიშნავს ეს „გადადექი"! ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანებდით განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე; გვახსოვს თქვენი კომენტარი ერთიანი ეროვნული გამოცდების შესახებ... ახლაც იმავე აზრზე დგახართ?*

- მისაღები გამოცდების ასეთ ფორმას უდავოდ აქვს თავისი ღირსებები - თუნდაც „პაროლომანიისა" და „შპარგალკომანიის" ამოძირკვა, მაგრამ თვითონ გამოცდების პროცესს ეპითეტად „ეროვნული" არ უხდება. ახლა ხომ ყველაფერს ეროვნულს არქმევენ - ცირკსა და სტადიონს ვინ დაეძებს....

*- როგორ ფიქრობთ, თქვენი სატელევიზიო ლექციები ახლა ხომ არ არის უფრო მეტად საჭირო?*

- ყალბი თავმდაბლობის გარეშე მოგახსენებთ - იმ ტელელექციებზე მოთხოვნილება მართლაც გაუჩნდა ჩვენს საზოგადოებას. ახალი სასწავლო წლისათვის საქართველოს სკოლები მიიღებენ კომპაქტდისკებზე გადატანილ ჩემს 110 ლექციას.

*- ისე, სანამ სკოლებში შეიტანდეთ, პარლამენტიდან რომ დაგეწყოთ, არ იქნებოდა ურიგო; ამბობენ, დეპუტატთა უმრავლესობას „დათა თუთაშხია" არა აქვს წაკითხულიო.*

- უარესია, როცა რუსთაველს არ წაიკითხავ... მარტო პარლამენ- [illegible] ლარა შვილიშვილი რვა წლის ნიკოლოზი რიხტერივით დაათამაშებს თითუნებს კომპიუტერის კლავიატურაზე... ეჰ, ქართული ანდაზით ვიმშვიდებ ხოლმე თავს: ბერი კაცი რომ ფანდურს ისწავლის, ის საიქიოში დაუკრავს.

# რატომ უნდა გადადგეს ჩვენი პრეზიდენტი?!

ვესაუბრებით მწერალ თამაზ წივწივაძეს



**- ბატონო თამაზ, თქვენი არ იყოს, მეც ძალიან მიჭირს ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტზე სერიოზული საუბარი. ამიტომ დასაწყისისთვის ხუმრობით გკითხავთ: ახალი სასაცილო ამბავი ხომ არაფერი გაგიგიათ მასზე?**

- სასაცილოა თუ არა, ვერ გეტყვი, მაგრამ სულ ახლახან - არ ვიცი, მომეჩვენა, არ ვიცი, მართლა ვნახე - მიხეილ სააკაშვილი 7 წლის ბავშვების გვერდით ჯოხის ცხენზე იჯდა და ხმამაღლა მღეროდა:

*აჩუ, აჩუ, ცხენო,*
*შე კუდმოსაჭრელო!*
*უნაგირი ვერ გიშოვე,*
*როგორ გაგაჭენო!*

კიდევ ვიმეორებ, არ ვიცი, ეს ყველაფერი მომეჩვენა თუ სინამდვილეში ვნახე, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს, რასაკვირველია, ორმოც წელს გადაცილებული კაცი და, მითუმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტი უფრო სერიოზული საქმით უნდა იყოს დაკავებული. ასევე არ ვიცი - ისევ მომეჩვენა, არ ვიცი, [illegible] რამდენიმე დღის წინ [illegible] ესპანეთში „ნოუ [illegible]" [illegible] „ბარსელონას" [illegible] შორის იდგა და ბურთს [illegible] მართალია, ერთნახევარჯერ [illegible] წლა, მაგრამ თავი ისე [illegible] თითქოს მთელი ცხოვრე[illegible] ლაში გაეტარებინოს!.. [illegible] ტიერი ანრის, სამუელ [illegible] მესის თანდასწრებით [illegible] ის კენწლას გაბედავს, [illegible] თავხედობაა, მე რომ, მა[illegible] აღორძინების ხანის მხატვრე[illegible] „სიქსტის კაპელას" მო[illegible] ასეთ დღეში რომ მნა[illegible] - თამაზ, რამ გამოგასუ[illegible], ეს ყველაფერი, მე ადრევე ვუწინასწარმეტყველე ამ საწყალს! **თუ გახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე, იუსტიციის სამინისტროს წინ, ორი კუბო რომ ააყუდა და ის ადგილი ჯაჭვით შემოღობა, სწორედ მაშინ ვთქვი ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლების გასაგონად: როცა ამ ყველაფერს აყრით და ქუჩიდან ნაგავს გაიტანთ, ამ ჯაჭვებს ნუ გადაყრით, სულ მალე ისე გარეკავს ეს კაცი, დასაბმელი გაგვიხდება-მეთქი!..** და, განა მარტო ეს, სხვა მრავალი ნაწინასწარმეტყველებიც ამხდენია სააკაშვილთან დაკავშირებით...

**- კი მაგრამ, ბატონო თამაზ, ეს ჩვენი პრეზიდენტი მარტო გართობით და ბურთის კენწლაობით ხომ არ უნდა იყოს დაკავებული, ათასში ერთხელ ჩვენს დასაქმებაზეც ხომ უნდა იფიქროს.**

- როგორ არა, ფიქრობს კიდეც, ამა წლის 8 აპრილიდან, ჩემი გათვლებით, მთელი საქართველოს მოსახლეობა დასაქმებული იქნება!

**- ეგ როგორ, ბატონო თამაზ, ასეთი ან რა მოიფიქრა, ან რა გააკეთა ამ ხელისუფლებამ, რომ საკუთარი მოსახლეობა მთლიანად დაესაქმებინა?**

- პირიქით, ამ თვითმარქვია ხელისუფლებამ რომ ვერაფერი მოიფიქრა და ვერაფერი გააკეთა, **სწორედ იმიტომ უნდა შევიკრიბოთ ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობა და ერთად უნდა ვიმუშაოთ სააკაშვილის გადასაყენებლად!** ასე რომ, ამ საქმით, ანუ პრეზიდენტის გადაყენებით, საქართველოს მთელი მოსახლეობა რამდენიმე თვით მაინც ვიქნებით დაკავებული!.. უფრო სწორად, დასაქმებული. ერთი სიტყვით, ერთ-ორ თვეში უმუშევრობის პრობლემა მთლიანად გადაწყდება საქართველოში - ვიდგებით ქუჩებში და დროშებს ვაფრიალებთ!..

**- „შემოდგომის აზნაურები" გეხსომებათ. იქცა თუ არა ჩვენი ოპოზიცია „შემოდგომის ოპოზიციად"?! იმ ოპოზიციაზე გეკითხებით, ხან იანვარში გასამართი მიტინგით რომ „აბოლებს" ქართველ ერს, ხან - აპრილში და ხანაც - ნოემბერში!**

- რაკი ეს ჩვენი ოპოზიცია ხალხს ხან იანვარში გასამართი მიტინგით აბოლებს, ხან - აპრილში და ხანაც - ნოემბერში, მაშინ გამოდის, რომ ესენი „შემოდგომის" კი არა **„სეზონურ ოპოზიციად"** ჩამოყალიბებულან! და, მგონი, სეზონურადაც ფეთქდებიან! ყოველ შემთხვევაში, მიტინგს, უნდათ, მაშინ დაგვინიშნავენ, როცა თეთრი ლეღვი ახალი შეთვალული იქნება, ანდა, მაშინ, გვიან შემოდგომაზე შავი ქლიავი რომ დაიწყებს ხეზე მილევას! ერთი სიტყვით, როცა ხოში მოუვლი.

**- მოვლენების განვითარების თქვენეური სცენარი საინტერესო იქნება.**

- იმ დღის სცენარი სავარაუდოდ კი არა, „მამა ჩვენოსავით" ზეპირად ვიცი. დასავლეთის მიმართულების სახალხო ლაშქარი „სკრა-აგრა-ქარელი-გორის" გადმოივლის ცხრაში, დღის ცხრა საათზე მოადგება და რამდენიმე საათში კარვებს პარლამენტის წინა მოედანზე დასცემს! ქართლ-კახეთის მოსახლეობის თავშეყრა ამავე ადგილას დღის პირველ საათზე დასრულდება. სამთავრობო აპარტამენტებში გამაგრებულ ქართველ ყიზილბაშებს ქალბატონი ნინო ბურჯანაძე აახლებს დაახლოებით ასეთი შინაარსის ტექსტს: - **ბატონებო, შემოვდივარ პარლამენტში, ჩემს კაბინეტში დარჩენილი თბილი პლედის წამოსაღებად, რომელიც ბატონ გამყრელიძეს, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ ბეჭებზე მაინც უნდა მოვახურო!** რასაკვირველია, ბურჯანაძის ამ ბლეფზე, ცხინვალის ბატალიებში გა-მოწრთობილი ქართული ჯარის უმაღლესი მთავარსარდლობა არ წამოეგება - უწინამც ჩვენი მზე დაბნელდება, ვიდრე თქვენ კვლავაც პარლამენტში გიხილავთო!

ამის შემდგომ კონსტანტინე გამსახურდიას საბრძოლო ყიჟინაზე: **„ჰკა მაგათო!"** ისე ძალუმად მიაწვებიან სახალხო მოლაშქრეები სახელისუფლო სტრუქტურებს, რომ შენობაში გამაგრებული ქართველი ყიზილბაშები იძულებული გახდებიან, დანებების ნიშნად თეთრი დროშა გადმოფინონ. დანარჩენი - როგორც ამბოხებულთა სცენარშია!

**- შიდა ქართლის დარჩენილ ტერიტორიას ჰყავს გუბერნატორი, ლადო ვარძელაშვილი, აი, რას ამბობს იგი: რუსული აგრესიის დროს ყველა რუსი ოკუპანტი ემორჩილებოდა გენერალ ბორისოვს, ერთხელაც ოკუპანტი გენერალი ისე დავათვრეთ, რომ მისი ტელეფონიდან ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია გადმოვწერეთო. ბატონო თამაზ, ვერ გავიგე, მტრის გენერალი, რომელსაც საოკუპაციო ჯარი ემორჩილება, უგონოდ უნდა დაათრო და მის მობილურში იძრომიალო თუ სხვა ზომებს უნდა მიმართო?**

- ეს ისეთ შეკითხვა დამისვით, შეიძლება, ამაზე მე კი არა, ათასმა ბრძენმაც ვერ გიპასუხოთ. თუმცა, როგორც ვატყობ, ამ ვარძელაშვილსაც, რაც თავად უფრო ემარჯვებოდა, სწორედ იმ იარაღით შებრძოლებია პირსისხლიან მტერს, რასაკვირველია ავტომატების ჭახჭახს, ჭიქების ჭახაჭუხის მოსმენა ჯობია! უმარჯვია კიდეც ბატონ ლადოს და ეს ამხელა გენერალიც ხოშიანად მიუთვრია. ოღონდ ამ ჩვენს გუბერნატორს ცოტა იმაზე დასწყდებოდა გული, ომი რომ მხოლოდ დღენახევარს გაგრძელდა და „პახმელიიდან" ხეირიანად გამოსვლასაც ვერ მოასწრებდა. აღარაა ჩვენი საქმე ომი, ქართველები ახლა უნდა ვისხდეთ და დოლ-გარმონზე ვქეიფობდეთ, მითუმეტეს, ჯერჯერობით არც ის ვიცით, ეს ომი ან ვინ დაიწყო, ან ვინ მოიგო! არადა, თუ მართლა გამარჯვებულები ვართ, ქეიფი ახლავე თუ არ დავიწყეთ, მერე რაღას მოვასწრებთ. აი, ბატონი ლადოც რა კარგად - ნამდვილად ქართულად მოქცეულა, მტრისთვის რომ შეუთავაზებია: ჯერ ბრძოლის ველზე ჩვენი შეხვედრა თითო ჭიქით დავლოცოთ და მერე ვიომოთო. თან, ტაქტიკურადაც სწორად გაუთვლია, რუსი რომ ღვინოში ჩაწვება, იმის მორევას რაღა უნდა!

**- ბატონო თამაზ, დღეს ბევრს გაუჩნდა კითხვა, უნდა წავიდეს თუ არა სააკაშვილი; უმორჩილესად გთხოვთ, ზოგიერთ უგუნურს განუმარტოთ და პუნქტ-პუნქტად ჩამოუთვალოთ ის მიზეზ-გარემოებანი, რის გამოც მიშა აუცილებლად უნდა წავიდეს!**

- მეტისმეტს ითხოვთ ჩემგან! მე **რომ ყველა ის სისულელე ჩამოვთვალო, თანაც პუნქტ-პუნქტად, რაც სააკაშვილს თავისი პრეზიდენტობის დროს ჩაუდენია, ეს ისევე შეუძლებელი საქმე იქნება, როგორც ის, ღვთაებრივი აკაკი რომ ბრძანებს, „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები"**-ო. თანაც, თქვენს შეკითხვაში „პუნქტ-პუნქტის" ხსენებამ მე ერთი ეპიზოდი გამახსენდა ნაპოლეონის ცხოვრებიდან: ერთი გაჭიანურებული საბრძოლო ოპერაციის შემდგომ, დიდმა მხედართმთავარმა თავის მარშლებს ჰკითხა - რა მიზეზით იყო, ამ ბრძოლაში ზარბაზნები რომ არ გამოიტანეთო! ერთ-ერთმა მარშალმა ახსნა დაიწყო და თავის გამართლებას სამი პუნქტით აპირებდა. პირველი ის, რომ, ამ ბრძოლის დროს ზარბაზნები თან არ გვქონდაო. ბრძენმა ნაპოლეონმა სხვა პუნქტების მოსმენა აღარ მოისურვა: ყველაფერი გასაგებია, სხვა პუნქტების ჩამოთვლა საჭირო აღარააო... ამიტომ ფრანგების წახედულობით, მეც ერთ პუნქტს ვიტყვი, თუ რატომ უნდა გადადგეს ჩვენი პრეზიდენტი, და არა მგონია, საჭირო გახდეს, - თვით უგუნურთათვისაც კი - სხვა პუნქტების ჩამოთვლა.

**მომისმინეთ, ბატონებო!**

**არ შეიძლება, ისეთ ცივილიზებულ და კულტურულ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ასეთი სულელი პრეზიდენტი ჰყავდეს!..**

ბექა! ახლა წადი და შენს რედაქტორს ჩემი ნათქვამი მოუყევი და თუ პრეზიდენტის გადასაყენებლად, საკმარისად არ ჩათვლის ამ „ერთ პუნქტს", დანარჩენებს მერე ჩამოგითვლი!..

ესაუბრა ბექა სივსივაძე

# ეს სუბარს დღემდე არ უთქვამს!

ამბობს სახალხო დამცველი **სოზარ სუბარი**

**- ვანო მერაბიშვილის კაბინეტში მოსასმენი აპარატურა არ მაქვს დამონტაჟებული, მაგრამ მყავს მოწმეები, რომლებიც მზად არიან ჩვენების მისაცემად!!!** დაჟინებით მოვითხოვ საგამოძიებო კომისიის შექმნას, რომელსაც ხელეწიფება დამატებითი მტკიცებულების მოპოვება, ეს არის ძალზე სერიოზული მტკიცებულებები, გარდა ამისა, იგივე ადამიანი საჯაროდ მოჰყვება იმას, რაც ჩვენებაში უნდა დაეფიქსირებინა! **ეს ადამიანი უშუალოდ ესწრებოდა 2007 წლის 4 ნოემბერს ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართულ თათბირს, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება მიტინგის დარბევის თაობაზე!**

**- ერთი ადამიანის ჩვენების საფუძველზე გაგიჭირდებათ მიზნის მიღწევა.**

- ერთი ადამიანის ჩვენების საფუძველზე უამრავი ადამიანი ზის ციხეში და, მათ შორის, სამუდამო პატიმრობა მისჯილებიც! ერთ-ერთი პატიმარი, რომელიც ბრალდებული იყო შეკვეთილ მკვლელობასა და ნარკოტიკების შენახვაში, ციხიდან იქნა გაშვებული, რადგან მისი ჩვენების საფუძველზე სხვა დაიჭირეს... ასე რომ, როცა ჩვენებას მისცემს ჩინოვნიკი, ეს არგუმენტია იმისა, რომ ვენდოთ წყაროს!

**- 7 ნოემბერთან დაკავშირებით სააკაშვილთანაც გქონიათ საუბარი, როგორც გავიგე, თქვენი ცემის შესახებაც გისაუბრიათ...**

- დიახ, ვუთხარი, რომ მცემეს. პრეზიდენტმა მკითხა, რომელი სპეცრაზმი იყოო?! არ ვიცოდი... როგორ ეცვათ, აღმიწერეო?! **როცა ვუთხარი, რა და როგორ ეცვათ, ეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმიაო, მიპასუხა...** გამიკვირდა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმს რა უნდოდა მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ?! სააკაშვილმა თქვა, ძალები არ გვეყოო!..

ეს პასუხი და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმის საქმეში ჩართვა ადასტურებს, რომ პრეზიდენტი და ეს ხელისუფლება ქართველ ერს, როგორც პატიმრებს ისე გვიყურებს...

**- კარგად სცოდნია ბატონ მიხეილს სპეცრაზმის ტანსაცმლის ფერის მიხედვით გარჩევა... არ ჰკითხეთ, საიდან?**

- თქვენ ჰკითხეთ...

**- ერთი-ერთზე გისაუბრიათ, სტუმრად გყოლიათ და თავად გეკითხათ...**

- *(იცინის)* პრეზიდენტი დაინტერესდა ჩემი სურათებით და კედელზე გაკრული პირბადეებით.... ვუთხარი, რომ ეს არის ის პირბადეები, რომლითაც ვცდილობდი, თავი დამეცვა თქვენი მომწამლავი გაზისგან, თუმცა, ვერ შევძელი-მეთქი.

**- თქვენი პირველი კონფლიქტი ხელისუფლებასთან როდის მოხდა და რატომ?**

- 2004 წლის ოქტომბერში, ჩემი არჩევიდან სამ კვირაში, 300 მოქალაქე შემოვიდა საქართველოში რუსეთიდან და მათ დეპორტაციას ახდენდნენ. ხელისუფლებამ 300 ადამიანი - მოხუცი, ახალგაზრდა, ქალი, კაცი თუ ბავშვი აიძულა, თითქმის ერთი კვირა ქუჩაში გაეთენებინათ ღამე. როდესაც ეს ხალხი გადმოვიდა ავტობუსებიდან და გადაწყვიტეს, ფეხით წამოსულიყვნენ, მათ ცეცხლი გაუხსნეს!!!

**- რა ამბობთ ბატონო სოზარ?!**

- დიახ, ცეცხლი გაუხსნეს. **იქ იყო პარლამენტის წევრი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, რომელსაც ასევე გაუხსნა ცეცხლი ჩვენმა პოლიციამ და უთხრეს, ყველას მოგკლავთ, თუ კიდევ გადმოდგამთ აქეთ ნაბიჯსო!** ვასილ მაღლაფერიძემ დაურეკა პარლამენტის წევრებს და ყველა მათგანმა უთხრა, რომ მოდიოდა, თუმცა, ნახევარ საათში თანხმობა უარით შეიცვალა! მე დავურეკე შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს, დიდხანს ველაპარაკე, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. მან მითხრა, კანონზე ნუ მელაპარაკები, რადგან მივიღე გადაწყვეტილება, რომელსაც არ შევცვლიო. ამ დროს ჩემს თვალწინ კონტეინერებით შემოდიოდა კონტრაბანდა. ვცადე პრემიერ ჟვანიასთან დარეკვა, რომელმაც არ მიპასუხა. ღამე გავათენე იმ ხალხთან ერთად, ღია ცის ქვეშ, მეორე დღეს დამირეკა პრეზიდენტმა და თითქოს 15 წუთის განმავლობაში მარწმუნებდა, რომ უნდა დამეტოვებინა ტერიტორია. მე ვუხსნიდი, რომ მსგავსი რამ შეუძლებელია. ბოლოს გადავწყვიტე, რომ ამ ხალხს შევეცოდებოდი და დავუწყე ლაპარაკი არა კანონებზე, არამედ ამათ მდგომარეობაზე. ისიც ვუთხარი, რომ იცოდეთ, აქ წლინახევრის ბავშვი ათევს ღამეს-მეთქი... **პრეზიდენტმა დაიწყო ყვირილი - წლინახევრის ბავშვის გულისთვის ასი ათასი ბავშვი შიმშილით უნდა მოკვდეს?!** წლინახევრის ბავშვს ვერ გადავაყოლებ მთელ საქართველოსო და ა.შ. ვერ გავიგე, რა შუაში იყო წლინახევრის ბავშვი ასი ათასთან? **პრეზიდენტი ყვიროდა, მე კი სიტყვის ჩაკვეხებას ვერ ვახერხებდი და როცა მორჩა ყვირილს, გათიშა ტელეფონი!**

**- იმ ხალხს რა ბედი ეწია ბოლო-ბოლო?!**

- გაუშვეს.

**- სააკაშვილს არ შეურიგდით?!**

- მქონდა შეხვედრები პრემიერთან, ოქრუაშვილთან, შეხვედრა იყო სადილზე, პრეზიდენტის სახლში, სადაც შევრიგდით, მაგრამ შერიგებამ დიდხანს არ გასტანა. **იყო პერიოდი, როცა ვჩხუბობდით, ვკამათობდით, ვრიგდებოდით, ოღონდ მსგავსი შემთხვევები საჯაროდ არასდროს გამომქონდა და არც არასდროს მითქვამს.** კამათი გვქონდა **სულხან მოლაშვილთან** დაკავშირებით, კამათი მქონდა გენერალურ პროკურორთან და შს მინისტრთან, იგივე **ზურაბ ადეიშვილთან** მქონდა კამათი, როცა 48 ოსი დააკავეს და სცემეს, იგივე ლუდ „ბალტიკასთან" დაკავშირებით,

**- მაშინ ფაქტებით ვისაუბროთ, მაინტერესებს, სულხან მოლაშვილთან დაკავშირებით ვის ესაუბრეთ?**

- გენერალურ პროკურორს **ზურაბ ადეიშვილს,** რომელიც მიმტკიცებდა, რომ მოლაშვილმა ჩაიდინა თვითწამება, რომ სულხანმა თავად დაიდო ზურგზე სიგარეტი, რომ ფეხებზე სისხლჩაქცევები გაჩნდა არა დენის ზემოქმედებით, არამედ თითქოს ნარკოტიკს იკეთებდა და იმიტომ... თავადაც ვერ წარმომედგინა, რომ სულხან მოლაშვილი მართლა აწამეს. **გაურკვევლობაში ვიყავი, ვიდრე არ გავიდა დრო და პირადად არ დავრწმუნდი, რომ ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ბევრ რამეზე იყვნენ წამსვლელები!** შემდეგ იყო, რომ სულხან მოლაშვილს გაუვიდა წინასწარი პატიმრობის ვადა, რის გამოც შუაღამისას ჩაატარეს სასამართლო ციხის საავადმყოფოში. იქ მისული იყო ჩემი თანამშრომელი **ვახო კომახიძე,** რომელმაც ამ საკითხზე გააკეთა მკაცრი განცხადებები, რაზეც კომახიძეს ვუსაყვედურე, გვქონდა მკაცრი საუბარი, რადგან მან ჩემთან შეუთანხმებლად გააკეთა განცხადება. მეორე დღეს დამირეკა პრეზიდენტმა, სერიოზულად ვიკამათეთ. სააკაშვილს ჰქონდა პრეტენზია ვახტანგ კომახიძის განცხადების გამო. ასე რომ, ზოგჯერ მიშას კრიტიკას ვიღებდი.

**- გამოდის, არცთუ უკვალოდ მოღვაწეობთ და სააკაშვილისთვისაც მნიშვნელოვანი ყოფილა თქვენი შეფასებები...**

- **როცა გირგვლიანთან დაკავშირებით მე განცხადება გავაკეთე, მქონდა უმკაცრესი ტონი. ვიცოდი, სააკაშვილი დამირეკავდა, ამიტომ გავთიშე ტელეფონი, რადგან არ მინდოდა მასთან ამ თემაზე საუბარი, თუმცა, მაინც მიპოვა.** რატომ თქვი, რომ საქართველოში არიან სიკვდილის ბრიგადებიო, ამაზე ჰქონდა პრეტენზია... ვუთხარი, რომ ასეთი რაღაც ჩემს განცხადებაში არ ეწერა. **აქ ცივსისხლიანი მკვლელები წერია და ეს ხომ ერთი და იგივეაო?!** - შემომიტია... აი, ცივსისხლიანი მკვლელები ნამდვილად არიან-მეთქი... რატომ აკეთებ ასეთ განცხადებებს, ჩვენ ხომ პარაგვაი არა ვართო?!

გირგვლიანის საკითხთან დაკავშირებით რაც იყო იყო, მაგრამ ერთი ფაქტით რატომ განსაჯე ყველაფერი და დააკნინე შს სამინისტრო, რატომ თქვი, რომ იქ ცივსისხლიანი მკვლელები არიანო?! ვუთხარი, რომ ეს არ იყო ერთადერთი ფაქტი და უამრავი ასეთის გახსენება იყო შესაძლებელი... **მართალია, დამნაშავე ყოველთვის პოლიცია არაა, მაგრამ შემიძლია, ბევრი საქმე დავასახელო, რომელიც შეგნებული მკვლელობა უფროა, ვიდრე უბედური შემთხვევა,** მაგალითად მოვიყვანე პოლიციის ყოფილი პოლკოვნიკის თელიას შემთხვევა, როდესაც ის საკუთარ ბინაში იპოვეს მოკლული. ეს ადამიანი შეგნებულად იქნა მოკლული და არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომელიც ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს. **სააკაშვილის პასუხი იყო შემაძრწუნებელი: საზოგადოებისთვის უკეთესია, რომ პოლკოვნიკი თელია არის მკვდარი.** როცა ასეთი დამოკიდებულება აქვს პრეზიდენტს, კანონის უზენაესობას, სამართლიანობას ნაკლებად უნდა ველოდეთ.

**- ლუდ „ბალტიკასთან" დაკავშირებით რა მოხდა?**

- ეს იყო ერთ-ერთი გამორჩეული უკანონობა, რაც საქართველოში მოხდა. ლუდ „ბალტიკას" ჰყავდა ორი იმპორტიორი, რომელთაც ჩამოართვეს ლუდი მთლიანად, თითქოს რაღაც ჩხირები იყო ამ ლუდში. საქმე აღძრეს შემომტანების წინააღმდეგ! სინამდვილეში ერთადერთი მიზეზი იყო ის, რომ ამ ლუდის მფლობელი ვიღაც ოსი ეროვნების პიროვნება თითქოს აფინანსებდა „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტულ ხელისუფლებას. ეს ასეც რომ ყოფილიყო, საქართველოს მოქალაქეებმა, რომლებიც ამ ლუდს ყიდდნენ, რა დააშავეს? რატომ გაჭყლიტეს და ჩაუგდეს მთელი ბიზნესი? ბევრი მათგანი დაიჭირეს... **დღეს ლუდ „ბალტიკის" შემოტანა გრძელდება, ოღონდ ამას სხვა ჯგუფი ახდენს.** „ბალტიკის" ერთ-ერთმა დისტრიბუტორმა მიამბო, როგორ მისცეს შემოტანის უფლება, როგორ მივიდნენ კეზერაშვილთან და აიღეს ნებართვა (კეზერაშვილი იყო მაშინ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი), ხოლო შემდეგ, როგორ გაარემონტებინეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ისე, რომ პირველი პარტია ჯერ გაყიდულიც არ ჰქონდათ.

**- ოფიცერ როინ შავაძის მკვლელობაზეც მინდა გკითხოთ, რა ეტაპზეა გამოძიება ამჟამად?**

- შავაძის მკვლელობა არის მრავალპლანიანი. როინის დაკავება მოხდა ორჯერ, „დაკავება" ეს პირობითად. პირველად ის სახლიდან გაიყვანა კუდ-ის თანამშრომელმა **გიორგი ჩიქოვანმა,** მეტსახელად „მაიმუნამ". ჩიქოვანი, იგივე „მაიმუნა" არის ადამიანი, რომელმაც რამდენიმე თვით ადრე საკუთარ სახლში გააუპატიურა ახალგაზრდა გოგონა - გადაძვრა ფანჯარაში, ჯერ სცემა, მერე გააუპატიურა. მას არცერთი დღე არ გაუტარებია ციხეში, რადგან მინიმალური ჯარიმითა და პირობითი სასჯელით გამოვიდა გარეთ. ჩიქოვანი მონაწილეობს როინ შავაძის დაკავებასა და სავარაუდოდ მკვლელობაში, უფრო მეტიც, ის ყოველდღე დადის შავაძის ქვრივის სამსახურში და იქედნური ღიმილით კითხულობს, ხომ არ გამოჩენილა იგი სამსახურში?! **შავაძეს ნათლად ეტყობა წამების კვალი, რასაც ადასტურებენ ექსპერტებიც. მას აქვს მოხვედრილი ოცზე მეტი ტყვია.** რა უნდოდა შავაძეს ხელვაჩაურში, როცა ბათუმში დააკავეს? ამაზე აქვთ პასუხი: მოგვყავდა თბილისში, მაგრამ გორში, ხაშურსა და კასპში, ანუ მთლიან პერიმეტრზე რომ რუსის ჯარი იდგა, პოლიციას ვინ გამოატარებდა დაკავებულ ადამიანთან ერთადო?! პასუხი ამ კითხვაზე არ არის! ავტონომიის პროკურორი პირდაპირ ეუბნება შავაძის ქვრივს - **გირჩევნია, გაჩუმდე, თორემ როინს თუ ახლა მხოლოდ ნარკოტიკების ბრალდება აქვს, უცებ ის ქვეყნის მოღალატე აღმოჩნდება, თქვენ კი მოღალატის ქვრივის სტატუსს მიიღებთ!** ასევე ამ პერიოდში დააკავეს რეინჯერი დათო ცინდელიანი, რომელიც დღემდე გამქრალად ითვლება. ცინდელიანთან დაკავშირებით მაქვს ინფორმაცია, რისი გამჟღავნებაც ამ ეტაპზე არ შემიძლია!

ესაუბრა ბექა სივსივაძე

დაისია. ზამთრის სუსხთან ჭიდილში გადაღლილ მზეს სხივები ცელქი ბავშვებივით გამოქცევიან და თვითმფრინავის ილუმინატორის მინას მიკრულ მგზავრს, სახის მიმიკას წარამარა უცვლიან. მგზავრიც დრო და დრო შუბლს ისრესს და ვერ გაიგებ, რა უფრო უშლის ნერვებს, ათინათების მომაბეზრებელი „ხუმრობა" თუ ბოინგის გაუთავებელი „ღოღიალი" ნიუ-ჯერსის თავზე? აი, უკვე მერამდენედ ხაზავს წრეს ვერცხლისფერი ლაინერი ჰაერში... ძირს ისევ ხახადაღებული ოკეანე ჩანს, ჰორიზონტის ხაზით მიჰკვრია ცის კაბადონს და სილურჯეში ეჯიბრება. წყლიდან მომწვანო ფერის ქანდაკება - ამერიკული თავისუფლების სიმბოლო წამომართულა და ისე მიიწევს ზემოთ, ლამის პედესტალს მოსწყდეს და ჩირაღდანი ცაში აიტანოს.

ნათელია ჯერ, მაგრამ მანჰეტენის ცათამბჯენებიდან ნეონი უკვე უხვად იღვრება. რა ენაღვლებათ, ისინიც ენგურჰესზე არ იყვნენ დამოკიდებულნი...

ოცდათორმეტი ათას ასოცდათვრამეტი დიდი და პატარა მდინარე მიედინება საქართველოში, ამდენი მდინარე, თურმე ერთად, არცერთ დიდ სახელმწიფოში არ არის, ჩვენ კი ენერგეტიკული პრობლემა ვერ გადავიჭრია ბოლომდის. ჰმ? - უკმაყოფილოდ აქნევს თავს და საფიქრალს ახლა მისი ერთ-ერთი წიგნის გარეკანზე დაბეჭდილ სურათის ქვემოთ, რედაქტორის წარწერა უცვლის, ელიმება და ტექსტის აღდგენას ცდილობს:

„დგას სარკის წინ თემურ ჭკუასელის კონკრეტული თუ ზოგადი წინაპარი და სარკეში თავის გაევროპელებულ შთამომავალს უმზერს. რეალობაა მხოლოდ წარსული, ხოლო აწმყო, რაგინდ გაკრიალებულ-გაუთოებული, მისი ანარეკლია. სწორედ ამიტომ გაიხადა თემურ ჭკუასელმა გაზიმზიმებული სმოკინგი და თავისი წიგნის უკანა ყდაზე ჩამოკიდა".

სანამ ჩვენი მგზავრის ფიქრთა კონა, ფთილა-ფთილა ღრუბლებივით ეფინება ატლანტის ოკეანის სანაპიროს, მოდით, გიამბოთ, რა მოხდა ერთ დღეს ამერიკაში.

საავადმყოფოში მყოფ ჩემს მეგობარს, პალატის კარი თეთრხალათიანმა, შუა ხნის მამაკაცმა შემოუღო, მკურნალ ექიმად წარუდგინა თავი და ჰკითხა, ქართველი ხართო? პაციენტის გაოცებამ მისი ღიმილი გამოიწვია, დაუმატა, გვარის დაბოლოებით მივხვდი თქვენს ეროვნებასო და განაგრძო: ქართველებს, თქვენი ადამიანური ბუნება სახეზე გაწერიათ, თქვენ წითელ წიგნში შესატანი ხალხი ხართ, თქვენს გენებს მოფრთხილება სჭირდება, უნდა გამრავლდეთ და მოეფინოთ ქვეყანასო. პაციენტის ემოციას უთქმელადაც მიხვდებით, ისღა მოახერხა, თვალებაწყლიანებულს ეკითხა, ვინ გაგაცნოთ ამ დონეზე ქართველებიო?

კოლეგა გვყავდა ქართველი, არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დატოვა და დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა ჰოსპიტალშიო. მას შემდეგ ქართველის დანახვა სასიამოვნო ასოციაციებს იწვევს ჩემში და ვცდილობ ქართველებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვემსახუროო, - გაუმხილა გულისნადები.

ამერიკელი ექიმის ასოციაციის რა მოგახსენოთ, მადლობის მეტი რა მეთქმის მის მიმართ, ქართველების ასეთი შეფასების გამო და მისი ქართველი კოლეგა რომ ნამდვილად იმსახურებს პატივს, ატაროს მამულიშვილის საპატიო სახელი - ესეც უდავოა. მაგრამ ბატონ თემურიზეც იგივე რომ შეგვიძლია ვთქვათ, ამაზე მინდა გელაპარაკოთ. მისი პიროვნება „სავიზიტო ბარათი", ჩვენი ქვეყნის სახეა საზღვარგარეთ, მისი ცხოვრებისეული მრწამსიც ამაზე მეტყველებს.

მალე, ალბათ თვითმფრინავი დაეშვება აეროპორტში, წიგნის ავტორი კი გონებით რედაქტორის ნაკალმევს უტრიალებს. მაინც რა იყო ეს, იწინასწარმეტყველა პაატამ? გაევროპელებულის რა მოგახსენოთ, მაგრამ მისი პირველი შთამომავალი რომ სწორედ იმ ქვეყნის მოქალაქეა, ზესახელმწიფოდ რომ იწოდება დღეს, მისი აზრით, გლობალური პოლიტიკის შედეგია. ამ წიგნის გამოცემის დროს, ბაბუაობისთვის ჯერ მზად არ იყო, არც ბიჭები „იკლავდნენ თავს" ოჯახურ უღელში შესაბმელად, ქართველებიც კანტი-კუნტად გაედინებოდნენ სამშობლოდან საზოვარზე... და საზღვარგარეთიც ბატონ თემურს, ანსამბლის წევრებთან ერთად, ქართული ხალხური სიმღერის მადლის მოსაფენად ჰქონდა „აკლებული", თორემ რას წარმოიდგენდა, ერთ დღეს ამერიკაში თუ ვაჟიშვილის ოჯახი უმასპინძლებდა და თანაც, რაც ყველაზე მთავარია, შტატებს, ამჯერად, მაინც და მაინც გვარის გამგრძელებლის გასაცნობად და მოსაფერებლად ესტუმრებოდა?!

რა ფენომენია ადამიანი?!

ქვეშეცნობლად, წინასწარ გრძნობდა ამას თვითონაც და ის „სმოკინგიც ასე უბრალოდ მიტომ მიაკიდა ლურსმანზე და არა საგულდაგულოდ შეინახა ტანსაცმლის კარადაში?!"

„ჩემო წინაპრებო - მახარბელ! გრიგოლ! თომა! ბიქტორ! დავით! ისევ იზრდება კიდევ ერთი მეკრიმანჭულე თქვენს გვარში, მისთაც ისე იამაყებთ, როგორც ერთმანეთით, თქვენსავით დავუბარებ, რომ იყოს ჯერ ბებიისა და ბაბუის იმედი, მერე დედ-მამის, მერე ზემოუბნელების, მერე კლასელების, მერე სკოლის, მერე უმცროსი და-ძმის... მერე მეგობრების. მერე მეუღლის, მერე შვილების... ყველა ერთად აღებული კი სხვა არაფერია, თუ არა ქვეყანა შენი... გააზრებულად უნდა იცხოვრო, ეს შენი მოვალეობაა. მეც ანდერძად გადავცემ თქვენს სისხლსა და ხორცს! - ამოეჭრა უცებ გულიდან.

ამღერება მოუნდა და მეგობრები ინატრა იმ წუთს. ისე, -

„სამღერლად მომზადება არაა საჭირო, სიტუაციიდან მოდის, შენ კი არ გეკუთვნის სიმღერა, არამედ თვითონაა შენი ბატონპატრონი და სანამ არ მოისურვებს თავად, არაფერი გამოგივა. კი, პირსაც გააღებ, ხმასაც ამოუშვებ ყელიდან, შეხმატკბილებაც იყოს შეიძლება, მაგრამ არ იქნება მთავარი - სიმღერა! რადგან ოკეანის მიმოქცევას ჰგავს იგი, დრო მოვა და დაუკითხავად მოადგება სულის სანაპიროებს"...

შეხმატკბილება! (რა იყო მაინც აკაკი, რა სახელი მოარგო ბგერათა მეგობრობას?!). ზუსტად მაშინ გჭირდება მეგობრის სიახლოვე, როცა სიყვარულს გრძნობ!

რას ნიშნავს მისი გვერდში დგომა იმ დროს?!

თანაც სიმღერა ქართულ სუფრასაც როგორ უხდება...

„ისე სუფრის მონატრებაც ხომ ჩვენთვის სიმღერის სიყვარულია მხოლოდ. როცა ამ დროს სიმღერას ვიწყებთ, სუფრა სადღაც გვეკარგება, იცრიცება და თანდათან ქრება, ვერ ვტყვი, ჩვენ ვცილდებით მას თუ ის მიდის სადმე, მაგრამ რომ გვეკარგება, ეს ცხადია"...

ფიქრი სტიუარდესამ შეაწყვეტინა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ამერიკის შეერთებულ შტატებშიო, და როგორც იქნა თვითმფრინავმაც იგრძნო ბორბლებს ქვემოთ მიწა. მოსაცდელი დარბაზი აჭრელებით გაიარა, ბარგიც დროზე დაიბრუნა, მაჯისცემამ კი უმატა და ის იყო გულის ჯიბისკენ წამლისათვის წაიღო ხელი, რომ თვალი უშველებელ პლაკატზე, მშობლიურ ანბანზე საგულდაგულოდ გამოყვანილმა ასოებმა მოსტაცეს:

„გამარჯობა, მამა!"

შუშებიანი კარებების მიღმა, ათასნაირი ჯურის დამხვედრ ხალხს შორის, ვინ არ ჩანდნენ: სარშემოხვეული და უზარმაზარ ჩალმიანი ინდოელები, ნაირ-ნაირ რგოლებითა და ჯინჯილებით დახუნძლული აფრიკელები, მონღოლოიდურ ღაწვებიანი და წვრილთვალება ჩინელები, ლოკონებიანი და შავცილინდრიანი ორთოდოქსი ებრაელები... დათო და მაია კი განცალკევებით იდგნენ და ეშმაკურად იღიმებოდნენ.

„გამარჯობა, მამა!", -

აი, ამ სიტყვებით დასათაურებულმა ნოველამ გამიწია მასპინძლობა ბატონი თემურის მწერლურ შემოქმედებაში. ამ მოთხრობაში, საოცარი გრძნობით აღწერილმა ნამდვილმა ამბავმა გამიჩინა ინტერესი მისი კალმის მიმართ, თორემ მისი დამსახურება ქართული სიმღერის პროპაგანდისა და სასცენო მოღვაწეობის საქმეში, არახალია! შემდეგ უკვე ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანის ერთ-ერთი წიგნი, „წინ, წინაპრებისაკენ!" მოვიხელთე და აღმოვაჩინე, რომ თემურ ჭკუასელი მარტო სიმღერის ოსტატი კი არა, შესანიშნავი მექართულეც ყოფილა და მშობლიურ ჰანგს ყელის „სიმებით" კი არ ეფერება მხოლოდ, კალმითაც აჩუქურთმებს, თურმე...

იშვიათად, მაგრამ ხდება-ხოლმე, წიგნს ცეცხლი არ უკიდია და კითხვის დროს საოცრად გათბობს, გათბობს კი არა, მისი „ნაკვერჩხალიდან გადმოსროლილი ალი" ღადარს შენც გინთებს სულში და დადიხარ საოცრად სულანთებული... ვერავინ გამჩნევს, ფიზიკურად ხორცშესხმული ადამიანი რომ შინაგანად იწვი, იწვის შენი ყოველი უჯრედი თმის ღერიდან დაწყებული, თხემით ტერფამდე. სულს გიფორიაქებს, მიწას ვერ გრძნობ ფეხქვეშ, უცხო განზომილებაში გადაყავხარ, იქ, სადაც მხოლოდ შენ და... შენი ქვეყანა ხარ, ძარღვებში იმ სისხლის ჩქეფას გრძნობ, წინაპრებთან, წარსულთან რომ გაკავშირებს.

სიტყვა მხოლოდ ბგერათა ერთობლიობა არ არის, იგი ადამიანის სულის შინაგანი ენერგიაა, - ამბობენ. ისევე, როგორც ყოველივე არამატერიალურს, მასაც განფენილობაც ახასიათებს. იგი, ვინც სულის შინაგან ენერგიას სწორად მართავს, ენას, აზრის გამოსათქმელ იარაღსაც კარგად ფლობს. ეს კი მხოლოდ დედაენით ვლინდება, რადგან მადლი სწორედ მშობლიურს მოჰყვება, რასაც ნებისმიერ შემთხვევაში გრძნობს ეროვნულ პოზიციაზე მდგომი კაცი.

„გამარჯობა, მამა!" - ზემოთხსენებული წიგნის, მძივად-აცმული ნოველების ერთ-ერთი მარგალიტია, რვა წლის წინ რომ დაიბეჭდა გაზეთში. თემურ ჭკუასელმა მასში ანსამბლისა და ქართველი ემიგრანტის ქალიშვილის საოცრად ემოციური შეხვედრაც აღწერა კუნძულ კორსიკაზე, ფოლკლორული სიმღე-



# ბიჭი ბებიას მედალიონიდან

## „უკუღმართი" თემურ ჭკუასელის წაღმად წასული ცხოვრების შტრიხები

რების ფესტივალზე ყოფნის დროს (გაზეთ „მამულის" რედაქციამ გვერდი ვერ აუარა ამ შესანიშნავ ნოველას, რომელსაც შემდეგ გვერდზე გთავაზობთ).

გადავწყვიტე მოთხრობა მეორე დღეს, სკოლაში, ჩემი მოსწავლეებისთვის წამეკითხა. რაც იმ დღეს გაკვეთილზე მოხდა, დასაწერი ამბავია:

მამა ახალი გარდაცვლილი მყავდა და ჩემს გრძნობებს ადვილად მიხვდება მკითხველი, მაგრამ ის, რაც ბავშვების სულში დატრიალდა, რა სიტყვებით გადმოვცე?! ორმოცივე ბავშვი სლუკუნ-სლუკუნით ტიროდა და მე ხომ ვეღარ ვიკავებდი ცრემლს მათი შემყურე.

- მასწავლებელო, არასოდეს დავტოვებთ საქართველოს, - სულს ძლივს ითქვამდნენ პატარა ანგელოზები.

მე კი?

დავტოვე და წამოვედი!

ალბათ აქაც უნდა მეწვნია ჩემი ჯვრის სიმძიმე...

უცნაურები ვართ ქართველები, ლხენა გათენებამდე შეგვიძლია, ტირილი კი მთელი სიცოცხლე, ყელსაც ვიღერებთ, ძაძებსაც ვიხდენთ. აქ, ამერიკაში საბჭოთა რეჟიმს გამოქცეული და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხვედრილი თანამემამულეების ცხოვრებით დავინტერესდი, რამდენიმე მათგანს გამოველაპარაკე. „ძნელია, უსამშობლოდ ყოფნა-მეთქი?" - გავუბედე კითხვად.

- იცი, რა გითხრა, ბიძიკო, - გამანდო გულახდილად, - შიმშილი ისეთი რამეა, დროებით სამშობლოსაც დაგავიწყებს და ოჯახსაც. მაგრამ, მაშინ, როდესაც ყველაფერი თავსაყრელად გაქვს, ზუსტად მაშინ, ხმელ პურსაც დასჯერდები და ოღონდ შინ დამსვაო, იტყვი.

მეორემ, დედის სახელი დაარქვა თურმე ქალიშვილს და სახელის მაგივრად „დედას" ეძახდა;

მესამემ, ველური ვაზის ჯიში იპოვა, სახლში მიიტანა, გაახარა, ეზოში ტალავერი გააშენა და მშობლიური კუთხე რომ მოენატრებოდა, მის ჩრდილს აფარებდა თავს კონდენციონერის პატრონი;

მეოთხე, ნოსტალგიის დროს, გარდაცვლილი თანამემამულის საფლავს ესტუმრებოდა და ხმამაღლა, ქართულ ენაზე ესაუბრებოდა მეგობრის გულზე დაყრილ მიწას;

მეხუთე, სადღაც მინდორში ან ტყეში განმარტოვდებოდა და ქართულ სიმღერებს ხმის ჩახლეჩამდე მღეროდა;

მეექვსე, თვითმფრინავის ბილეთს იღებდა ყოველი იანვრის დასაწყისში, მერმე მთელი წელი ოცნებითა და ლოდინით ცხოვრობდა, დღეებს ითვლიდა, სამშობლოში წასვლამდე დარჩენილ დღეებს, თერთმეტი თვე და ოცი დღეო... ექვსი კვირაო... ოცდაოთხი საათიო... დეკემბრის ბოლოს ბილეთს უკან უბრუნებდა ავიასალაროს და მომავალი წლისთვის ისევ თავიდან იღებდა.

ყოველივე ამის გახსენებაზე, თემურ ჭკუასელის „გამარჯობა, მამა!" მახსენდებოდა და სურვილი მიჩნდებოდა, უფრო ახლოს, პირადად გავსაუბრებოდი ხელოვნებაში ცნობილი გვარის კიდევ ერთ ნიჭიერ წარმომადგენელს.

და რას წარმოვიდგენდი, თუ ამ სურვილს, სამშობლოში კი არა, მის გარეთ ავისრულებდი?!

გზა, თემურ ჭკუასელთან შესახვედრად რომ მივყავდი, არ იყო გრძელი, რომ მომესწრო და მასთან ინტერვიუს ასაღებლად განვწყობილიყავი. ვღელავდი კიდეც, რადგან ვგრძნობდი, რომ ბატონი თემური არ იყო ის რესპოდენტი, მისი პორტრეტი უბრალოდ შვიდი-რვა, თუნდაც თხუთმეტი კითხვით რომ „მომეხატა". მისი სულის ხვეულების „მოსავარაყებლად უფრო მეტად ძვირფასი მეტალი" მჭირდებოდა, ვიდრე მქონდა. გზად იმხელა ფანტელები ცვიოდა ციდან და ისე საოცრად ბარდნიდა იმ წუთებში, გული დამწყდა - მხატვარი რომ ვყოფილიყავი, ხომ გადავიტანდი ტილოზე ზამთრის ამ ულამაზეს პეიზაჟს?

ირგვლივ გამეფებული სითეთრის თვალიერებამ შინაგანი ნერვიულობისაგან სულ გამათავისუფლა და ჩემი რესპონდენტის ბიოგრაფიული მომენტების აღდგენას შევუდექი, თემურ ჭკუასელზე მისი წიგნებიდან და ახლობლებიდან ცოტა როდი ვიცოდი?!

ფერისცვალების თვეს მოევლინა ქვეყანას. მისმა ბავშვობამ ზღვის ნაპირთან გაირბინა. სკოლა 1961 დაამთავრა. ის წელი კიდევ იმით იყო გამორჩეული მისთვის, რომ გალაქტიკა პირველმა კოსმონავტმა გაარღვია და კარგა მანძილით გასცდა დედამიწას. განათლებით ქართული სიტყვის ქომაგია, რამდენიმე წიგნის ავტორი. ჰობი პროფესიად ექცა შემდეგში, ქართულ ხალხურ სიმღერას გაუხდა მსახურად. არის საქვეყნოდ ცნობილი ანსამბლის „ქართული ხმების" დამფუძნებელი, წევრიცა და დირექტორიც, შესანიშნავი მეოჯახე, კარგი მეუღლე, მზრუნველი მამა, ერთგული მეგობარი... შვილიშვილიც ჩაიხუტა გულში...

ახალი წელი ნაზეიმევიც იყო უკვე და გადავლილიც, მაგრამ მასპინძელი (და, ისიც ქართველი) მაინც მომზადებული შემხვდა თოვლის ბაბუასავით დათოვლილ სტუმარს და „იმერული ხაჭაპურის სურნელება, მოგაგება ცხრა მთას იქით წასულს". სადარბაზოში შესვლისთანავე მივხვდი, სიცხისაგან „შეწუხებული" ყველი რომ „გარბოდა" ღუმელში...

ბატონი თემური, ისეთივე უშუალო მოსაუბრე აღმოჩნდა, როგორიც ისინი გულისნადების გადატანა ფურცელზე. თითოეულ ჩემს კითხვას, ალბათ უკვე სხვისგან ცხრაჯერ დასმულს, ისეთი ყურადღებით უსმენდა და მპასუხობდა, ძაძაბულებაც მომიხსნა, ძალიან თბილი და ახლობელი გახდა ჩემთვის. ასე იციან დიდმა და უბრალო ადამიანებმა.

დედით და მამით, ბებია-ბაბუით, აქედან და იქიდან, თაობებით და წინაპართა გადმოცემით იქიდანაა, „სული წინ, წინ გეიპარაო", რომ მღერიან იმ კუთხისკენ გზად მიმავალნი, მაგრამ „გაშპი-გავარდი" გურულს არ ჰგავს ხასიათით. პირიქით, საკმაოდ მშვიდი და ნაკლებად ექსპრესიული ბუნების უნდა იყოს.

სევდიანი ღიმილით მოიგონა სკოლისაკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები, ბებიამ რომ დაულოცა იმ დილით. შუა ეზოში რომ გამოიყვანა, სამჯერ წაღმა დაატრიალა და უთხრა: „კაცი ხარ უკვე, ბებია, არ გამოგყვები, შარაზე მარჯვენა ფეხით გადი, დატეე ჭიშკარი ღია და იყოს ასე შენს მობრუნებამდეო", და მერე, როცა ონავარმა პირიქით „გაიგო" მოხუცის დარიგება და სიყვარულითა და სიამაყით სავსე თვალებში ნაღვლიანი ცრემლი ჩაუყენა, - „უკუღმართი ხარ, ბებია და ასე უკუღმართად ივლი მიდღემჩიო" - ესეც მისწვდა ყურში, საოცრად შეეცოდა გაზრდილი. ამ ამბავს ხშირად იხსენებს, განსაკუთრებით მტკივნეულად შინ მოიგონა, გარდაცვლილი ბებიას შვილიშვილის სურათი რომ უპოვეს მედალიონში.

ინანა მარცხენა ფეხით გასვლა „ჭკვიანმა ბიჭმა" და უკან მარჯვენით კი შემობრუნდა, მაგრამ... გვიანი იყო: „მელიტოს კამეჩივით ტალახში ამოგანგულ" ფალავანს, თავდახრილსა და მხრებაწურულს მოუწია, წინ ღამით, შვილიშვილის შარვალპერანგის კერვაში თვალდაწითლებული ბებიასათვის ჭიდაობის იმ ილეთებზე „საუბარი", ქვემოუბნელ სეხნიასთან რომ გამოიყენა, სკოლის ეზოში, სახელდახელოდ გამართულ მოედანზე. ისე, საქციელს კი განიცდიდა თურმე დარცხვენილი, მაგრამ დაუმარცხებლობით გამოწვეული ღიმილი მაინც გაურბოდა ტუჩის კუთხისკენ.

მამა მეცნიერი ჰყავდა, სტალინური პრემიის ლაურეატი. სიმღერისგან შორს იდგა და შვილებისთვისაც ნაკლებად იცლიდა - სერიოზული მიღწევები ჰქონდა ატომურ ფიზიკაში, ვაჟის ტექნიკური მეცნიერებისაკენ სწრაფვა მისი დამსახურება ყოფილა. საერთოდ, ყველა საგნის შესწავლას, ერთნაირი სერიოზულობით თუ უდგები სკოლაში, აბიტურიენტს სანერვიულო არ უნდა გქონდეს. ასე იყო ბატონი თემურის შემთხვევაშიც. ფიზიკოსობა ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე გადააფიქრებინეს გამომცდელებმა, მის მიერ დაწერილი თავისუფალი თემა - „ჩემი საყვარელი გმირი" რომ წაიკითხეს.

იმდროინდელი მენტალიტეტით ისეთი გმირი უნდა გყვარებოდა - ოლეგ კოშევოი, ზოია კოსმოდემიანსკაია, ზოია რუხაძე... რომ იყვნენ, მან კი იმდენი რამ იცოდა სისონა დარჩიაზე, ბებიამისის გადმოცემით (ენათესავებოდა), ისე კარგად დაახასიათა და გაალამაზა ფოლკლორული ტაეპებით მისი გმირის ცხოვრება, რომ ლიტერატორებმა საცოდაობად ჩათვალეს, ჰუმანიტარული ნიჭი ფორმულებში გაენელოდა და უნივერსიტეტა მომავალმა მწერალმა უკვე მარჯვენა ფეხით „დაფასა" - მაღალმხატვრულად შესრულებული საგამოცდო ნამუშევრის ავტორის (იმ დროისათვის გაბედულად ნათქვამიც იყო), ადგილი აუდიტორიაში ფილოლოგებმა, სიამოვნებით მიუჩინეს.

უნივერსიტეტის კედლებშივე ჩამოყალიბდა მომღერლად. სიმღერის ნიჭს დედას, ჩიბათელი ჭყონიების წარმომადგენელს უმადლის. არაჩვეულებრივად მღეროდნენ დედის ძმებიც... მთელი მათი სანათესაო.

ბედის მინახვეე დედაქალაქმა აპოვნინა თემურ ჭკუასელს. თუ ადრე, მისი ბინის ეზოში, თამაშში გართული ბავშვების ჟრიამული აწუხებდა და ყურს უხშობდა წიგნებში თავჩარგულ სტუდენტს, ერთ დღეს ის ხმაური ჩიტების ჟღურტულად ექცა, მეზობლის, შვიდი წლით მასზე უმცროსმა „გოგომ რომ ტანი აიყარა და მოულოდნელად შეიკრიჭა თმა". მერე აღმოაჩინა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის ბაღშიც გალობდნენ ფრინველები და ის გოგოც უკვე „ვეღარ გაიმეტა, ვიღაც ბიჭსაც აღარ გაატანა და თვითონ მიითვისა მთლად"...

ნანამ ორი ვაჟკაცით გაზარდა ოჯახი, დათო უცხო ენას დაეუფლა, კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტიც დაამთავრა, მამუკა ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესდა. ორივე ძმები „უნივერსიტეტის ბიჭებს" უდგნენ გვერდით სცენაზე და ქართულ სიმღერას „ოდას" უმღეროდნენ.

ანსამბლი „ჟურნალისტი" ტელევიზიაში დაფუძნა კოლეგებთან ერთად, ხალხური შემოქმედების განყოფილების რედაქტორად მუშაობისას. ამით ხალხური სიმღერებისადმი სიყვარული და თაყვანისცემა გამოხატეს და ქართული მუსიკალური ფოლკლორის იშვიათი ნიმუშების შესრულებით, არაერთი ქვეყნის საკონცერტო დარბაზში წარსდგნენ მსმენელის წინაშე. შემდეგ მოხდა გულსატკენი რამ - ანსამბლის სრული შემადგენლობა, ისტორიასა და ვიდეოარქივს შემორჩა მხოლოდ, ორი არაჩვეულებრივი მომღერლის ხმა აღარ ისმის მათ ნამღერში...

1992 წელს ნუგზარ ფოფხაძის რჩევით უკვე ახალი სახელწოდებით („ქართული ხმები") წარსდგნენ ბატონი თემურის და მისი მეგობრები. ეს ქართული ხელოვნების პროპაგანდის მხრივ, მეტის მთქმელი იყო სამშობლოს გარეთ საასპარეზოდ. თუმცა, ისიც აღმოჩნდა, რომ მსოფლიო ვოკალურ ხელოვნებაში არსებობდნენ „ბულგარული ხმები", „შავი (აფრიკული) ხმები"...

1990 წლის ისტორიულ „ქარიშხალში" ტელევიზიაც მოჰყვა და იქ გაჩერებას აზრი აღარ ჰქონდა... ხალხური შემოქმედების რედაქციამ მათ გარეშე გააგრძელა მუშაობა. საქართველოს ტელევიზიის შენობა კი დათმეს „ჟურნალისტებმა", მაგრამ ქართული სიმღერა და ერთმანეთი ვერა და ოთხი წელი საკუთარ ოჯახებში აგრძელდებდნენ რეპეტიციებს. ნიკო ლეკიშვილი შეეხიდა მათ „საგანძურის პატრონობაში" და მამა-პაპათა გონებითა და გულით ნამღერმა ახლა თბილისის მერიის შენობაში განაგრძო ხმოვანება.

მას შემდეგ ასე ერთად მოდიან ყოფილი „ჟურნალისტები" და სად აღარ ისმის მათი „ქართული ხმები", სამშობლოში თუ მის გარეთ. მოგზაურობა და ხალხთან ურთიერთობა, როგორც ყველა ხელოვანს, მასაც ჰყვარებია, მხოლოდ ორ კვირაზე მეტ ხანს ვერ ძლებს სახლიდან შორს. ამაყობს ფართო სამეგობრო წრით და თვლის, რომ მდიდარი კაცია, რადგან საქართველოს ყოველ კუთხეში ამხანაგი ჰყავს, ყველგან „სახლი" უდგას. ამასთან დაკავშირებით ერთი იგავი გაიხსენა: ხელმწიფემ, ტახტის ღირსეული მემკვიდრის შერჩევის მიზნით, უფლისწულებს რომ გვარიანი თანხა გადასცა და უთხრა, წადით, ქვეყანა მოიარეთ და სიმდიდრეს სიმდიდრე მოუმატეთო. დაბრუნებული ვაჟებიდან პირველმა ორმა მამა-მეფეს მონაგები სიამაყით წარუდგინა, მესამემ კი კრძალვით გაუმხილა, თანხა მეგობრების შეძენას მოვახმარე, აწ ყველგან სახლი მეგულება და ხელმწიფის გულიც მოიგოო.

უნდა ვისწავლოთ უცხოელებს ჩვენი ფოლკლორული სიმღერები? მავანი ლოტბარი, ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებს, ჩვენ რაღა უნდა ვიმღეროთო, - ვკითხე.

უნდა იმღერონო, - მითხრა, - იაპონელებმა ძიუდოსა და კარატეს შემსწავლელი წრეები დაარსეს მსოფლიოში და ამით მათი ქვეყნის პროპაგანდა შედგა. არა მარტო ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია ხდება, ქვეყნის სახელიც გადისო.

იმაზე რაღას იტყვით, უცხოური სიმღერები რომ აღარ უთმობენ ადგილს, ჩვენს ქართულ პროგრამებს საესტრადო სცენაზე, თუნდაც წლევანდელი საახალწლო პროგრამა, დატვირთული რომ იყო ინგლისური საშობაო სიმღერებით, ხომ არ დგას საშიშროება, რომ ახალგაზრდა თაობამ ზურგი აქცია ეროვნულს-მეთქი, - არ ვაცალე სულის მოთქმა.

- პროგრამების შერჩევა რეჟისორის გემოვნებაზეა დამოკიდებული, - მითხრა, მამულიშვილობაზე თუ თავს დებო, კომპოზიტორები უკვე წერენ ქართულ საშობაო საესტრადო სიმღერებს, ადრე კი ამის ტრადიციაც არ იყოო, მაგრამ „ალილოს" ხალხური ვარიანტებიც მრავალად მოგვეპოვება და არც ეს უნდა დავივიწყოთო.

შემოდგომაზე, ავისტოს მოვლენებით დაზარალებულ ერთერთ დანგრეულ სოფელში, უცხოელ დამკვირვებელთა ჯგუფს ახლდა მეგზურად ბატონი თემური და მას არ გაჰკვირვებია, მაგრამ მოხუცებულმა, თავზე შავარშიაფაკრულმა ქალმა, სტუმრებს სახელდახელოდ შეკრული ხუხულიდან ჯამით თხილი და არაყი რომ გამოუტანა, რამდენიმე მათგანს გული აუჩუყა და აატირა თურმე.

იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში ღამის გასათევად დარჩენილი კაცი, ახლაც შეიგრძნობს სტუმრისათვის, ხელუხლებლად გადანახული ზეწრისა და ბალიშისპირის სიძველის სუნს, ისეთისას, თვითონ, ოჯახის წევრები რომ არ ხმარობენ და საგანგებო შემთხვევისთვის ინახავენ.

მცირერიცხოვან ხალხს ახასიათებთ, მათ მეზობელი ან მტერი იპყრობს,თავს ახვევენ თავიანთ კულტურასა და ტრადიციებს, მაგრამ მტერიც ხომ ღებს გაკვეთილებს დაპყრობილი ქვეყნისგან. რამდენი მტერი გვყავდა, რა არ სცადეს და ქართული სიმღერა მაინც გადარჩაო. ენაც ვითარდებოდა მტრის გარემოცვის დროს, სრულდებოდა თარგმანები და რაიდენ სრულყოფილი და დახვეწილი უნდა ყოფილიყო ჩვენი ენა და დამწერლობა, რომ საუკუნეებისთვის გაეძლო და დროს ვერაფერი დაეკლო მისთვისო.

„მზისა და ვარდების მხარე" რითი განსხვავდება დანარჩენი ქალაქებისაგან-მეთქი, დავინტერესდი. ჩაფიქრდა, გაეღიმა და თქვა:

- თბილისში თავს იყრის ყველა კუთხის წარმომადგენელი, ზოგს შემოაქვს თავისი კუთხის წეს-ჩვეულება, ზოგს დედაქალაქის ტრადიცია მიაქვს თავისკენ, მაგრამ თბილისი მაინც რჩება ისეთი, როგორიც იყო და ხდება ის, რაც შეიძლება მხოლოდ თბილისში მოხდეს.

ამას წინათ ქუჩაში მგზავრი გამომელაპარაკა, მე ვიცი ვინც ხარ, შენც შეიძლება ხშირად დაგინახივარ გზაშიო, რატომ უნდა ველოდოთ, როდის წარგვადგენენ ერთმანეთის წინაშე, მინდა შენი გაცნობა, მოფერება, როგორც გემრიელი ქართველი კაცისო, ნუ დავკარგავთ დროს და გავიცნოთ ერთმანეთიო.

თუ შენი ხალხი არ გიყვარს და მამულიშვილობას ჩემულობ, ცდები, შენ შენი ქვეყანა კი არა, ლამაზი მთები, მდინარეები და ტყეები გიყვარს მხოლოდ, შენი ხალხის უზნეობამ ტკივილი უნდა გასტუმროს და არა სიძულვილი! - ასე თვლის თემურ ჭკუასელი.

საქართველოდან რომ ხალხი გაედინება და ბევრი დაბრუნებასაც არ ფიქრობს, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა და სოციალური პრობლემების გამო, ეს საქართველოს მომავლისათვის წამგებიანი არ არის-მეთქი?!

დროის გამოძახილია ესო, შობადობა უნდა გაგრძელდეს, კვლავწარმოება მაინც მოხდება ერშიო. კუნძულ კორსიკაზე ორასორმოცდაათი ათასი მცხოვრებია სულ, ორი მილიონამდე დიასპორა ჰყავთ თურმე უცხოეთში. არ უნდა იყოს ეს მაინც და მაინც დამღუპველი და თითოეულის გადასაწყვეტია, დარჩება თუ წავაო, - სთქვა და ერთი პატარა ამბავი გაიხსენა:

- საფრანგეთში თანამემამულეებთან ერთად სუფრაზე მოვხვდი და მათ შორის პირველი ემიგრანტის ვაჟი, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი იმყოფებოდა, რომელსაც ქართველობისა უკვე აღარაფერი ეცხო. ჩვენს სიმღერებს რომ უსმენდა, პირდაპირ, სუფრაზევე მოხდა მისი გარდაქმნაო. გენმა იცის თუ ქართულმა სიმღერის მადლმა, საკმარისია ვიღაცამ ამოუშვას ჰანგი ყელიდან, იმ წუთშივე გამოუჩნდება შემახმატკბილებელიო. ასე შემოგვაშველა ხმა ანდრონიკაშვილმაც და ლეონიდე ბაგრატიონმა, ჟისკარ დესტენის თარჯიმანმა, გარუსებულმა, ოთხი შვილის მამამ, კონცერტის შემდეგ, ინტერვიუს ასაღებად შემოსული ცრემლებს რომ ვერ იკავებდაო. ასე რომ, ეროვნულობა მიძინებული მომენტიაო.

ალბათ ბევრ რამეზე ვილაპარაკებდით გაშლილ სუფრასთან კიდევ, ჩემი წასვლის დრო რომ არ დამდგარიყო. პატარა ბიჭუკელამაც აღარ მოასვენა ბაბუ და ასე დასრულდა ჩემი აუდიენცია ახალგაზრდა ჭკუასელის ოჯახში. ბატონმა თემურმა მისი წიგნი მისახსოვრა და სადარბაზომდე გამომაცილა. ქუჩაში გასულმა წიგნი გადავშალე, რათა ავტორის მიერ სამახსოვროდ გაკეთებული წარწერა წამეკითხა და უნებურად იმ გვერდზე გადამეშალა, შვილებს დაუწერელი ანდერძის „საიდუმლოს" რომ უმხელდა თემურ ჭკუასელი:

„კიდევ დროშას გიტოვებთ, ბიჭებო!, დროშას, რომელიც მამაჩემისგან მერგო მემკვიდრეობით, იმას თავისი მამისგან და ასე შემდეგ. ამ დროშას თავის დროზე სამი სიტყვა დავაწერე და მერე ვცდილობდი, ისე მეცხოვრა... თქვენ, როცა დროშას ნახავთ, ის სიტყვები წაშლილი იქნება. რატომ? იმიტომ, რომ თქვენ თქვენი სიტყვები დააწეროთ...

და თუ მოხდა და თქვენც იგივე სიტყვებით დაამშვენეთ იგი, იმ ქვეყნად გავიხარებ, იცოდეთ!"

**გიული წერეთელი**

P.S. შინისაკენ წამოსულს, გზად თემურ ჭკუასელის ნოველების პერსონაჟები ისევ თვალწინ მედგნენ, წიგნში უხვად ჩაყრილი სხარტი აზრები კი გვერდით მომყვებოდნენ და უკან დასაბრუნებელ, თოვლით დაფარულ ბილიკს ჩემთან ერთად ტკეპნიდნენ. ვწუხდი, სათქმელი ბოლომდე რომ ვერ ვუთხარი ამ შესანიშნავ ქართველს, ისე „ორი ბატონის ერთგულ მსახურს" რომ ეკადრება.



# გამარჯობა მამა!



ჩვენ ჩოხები ჯერ არ გვეცვა და ათივენი პატარა კაფეს წინ ტერასაზე ვიდექით. ემატება და ემატება ხალხი მოედანს. დაღამებას აღარაფერი უკლია, მაგრამ ვარსკვლავები ჯერ არ ჩანან ჩამუქებულ ცაზე. თვალი ძალაუნებურად ხალხისკენ გაგირბის და კიდევ იმ ყურესაკენ, ქვემოთ, ათასი დიდ-პატარა იახტის ილუმინაციით რომ ციმციმებს უკვე და ცოტა ხანში, ვარსკვლავები ცაზეც რომ აინთება, უეჭველად ზეცის ანარეკლს რომ დაემსგავსება.

ირგვლივ ყველაფერი სასიამოვნო მოლოდინითაა გაჟღენთილი. ჰაერი ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე წარმოთქმული ფრაზებითაა პირთამდე სავსე, მაგრამ, ყველამ იცის, რომ მეტყველების პოლიფონიას მალე სიმღერების პოლიფონია შეცვლის. დღეს აქ, ამ მოედანზე მთავრდება პოლიფონიური სიმღერის ფესტივალი - კორსიკის ლამაზი დღესასწაული.

ჩვენ ქართულად ვსაუბრობთ. ისე, ჩვენამდე არ აღწევს, თორემ მოედნის გარშემო სახლების აივანთა უკან შეყუჟულ პატარ-პატარა ოთახებშიც თავ-თავიანთ ენებზე საუბრობენ და ჩვენსავით სასიმღეროდ ემზადებიან ბულგარელები, სამხრეთაფრიკელები, სარდები, ტუველები, მაროკოელები, ლიგურიელები, ბერბერები, ბოშები, ალბანელები, იტალიელები, ბასკები და რაღა თქმა უნდა კორსიკელებიც. ტერასადან მათ ჯერ ვერ ვხედავთ, რადგან ისინი ოთახებში არიან „ჩასაფრებულები", დროს ელიან, რათა სიმღერით გამოიჭრან მერე აივანზე და მოედანზე შეკრებილ ხალხს სული აუფორიაქონ. მოკლედ, კარგად ვიცით ჩვენ მათი ზრახვები და იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რამხელა ომი გვაქვს მათთან სიმღერით გადასახდელი.

ვიცით ეს ყველაფერი ჩვენ და რაც უფრო გვიახლოვდება ამ უსისხლო ომის დაწყების ჟამი, მით უფრო ძლიერდება ჩვენს ძარღვებში წინაპართა სისხლის წილი. ძლიერდება და ჩვენც გადამწყვეტი შეტევისთვის ვემზადებით.

- როდის დაიწყება? - სიმშვიდით მეკითხება გურამი.

- თერთმეტზე, - საათს დავხედე, - თერთმეტზე აქაურობა ჩაბნელდება, მერე, გახედე რამდენია, ყველა აივნის გაყოლებაზე სანთლები აინთება და ესაა დაწყების ნიშანი. რომელი ტერასაც ან აივანი პირველად გამონათდება პროჟექტორით, სიმღერასაც ისინი იწყებენ. ასე გაგრძელდება. მთავარი სცენა კორსიკელებისაა, მასპინძლები არიან. ჩვენ გვიან გვიწევს სიმღერა, მაროკოელების შემდეგ და...

- მომისმინე, - მაწყვეტინებს გურამი, - მრავალფეროვნების უპირატესობას ვკარგავთ ჩვენ. ყველა ორ სიმღერას მღერის ხომ? ჰოდა, თლად შტერი უნდა იყოს ხალხი ორი თავი ნორმალური სიმღერა არ ქონდეს, მაყურებელმა რა იცის, რომ იმ ორის იქით აფერი არაა, სიაბდლეა, ამიტომ ჩვენ იმფერი სიმღერები უნდა შევარჩიოთ, მგელივით რომ დაეტაკება და გადარევს ხალხს. სოლისტობის და ქარგვის დროი აღარაა, ორად გევიყოთ, ერთი გურული ვთქვათ ორპირად, ორპირი კრიმანჭულით, ერთიც სვანური ფერხული დავცხოთ, ომახად. ვაკივლოთ აგინი... ნაცადი სარდალივით მიზიარებს გურამი მოახლოებული ბრძოლის ტაქტიკას - შენ, გოგიამ და რობერტიმ დაიწყეთ, მოტრიალებაზე ყველა აგერ ვართ, წამოგყობით...

უეცრად გურამი დადუმდა. წამის წინ ბრძოლის ჟინით დამუხტული მზერა ჩემს მიღმა გაექცა და თვალები ერთბაშად გაუფართოვდა. ძალაუნებურად მეც უკან მივიხედე. ღირდა მიხედვათ.

მოედნიდან ჩვენი ტერასისკენ ასე ოცდაორი-ოცდაოთხი წლის ასული მოდიოდა, მაღალი, თმებგაშლილი, თვალს ვერ მოაცილებდი და მოაცილებდა კიდეც მოედანზე თავმოყრილი ამდენი თვალი. მისი მოქნეული ტანისთვის აშკარად სრული და წელზე ერთი შეხედვით დაუდევრად დაგრეხილი ფერადი მანდილით შემოსალტული შავი კაბა კი არ მალავდა, კიდევ უფრო ამძაფრებდა მისი სხეულის სილამაზეს. აშკარად გამოირჩეოდა ამ მილეთის ხალხში - ჯიშითაც და ხაზგასმული მიუკარებლობითაც.

მოკლედ, მთელი მისი გარეგნობა ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ იმ იშვიათობისა, კაცს ცოდვისკენ კი არა, ღმერთისკენ რომ გაგახედებს.

გვერდზე ჩაგვიარა, არც შემოუხედავს ისე შეაღო კაფეს კარი და ის იყო მინის კარს მიღმა უნდა გაცრეცილიყო, რომ...

რომ, ერთ-ერთ ჩვენიანს ეტყობა ნერვებმა უმტყუნა და უფრო თავისთვის, ვიდრე მის გასაგონად, ლოცვასავით აღმოხდა - გამარჯობა, შენ შემოგევლეო...

გამოღებულ კარებშივე გაშეშდა უცხო ფერია, მოგვიტრიალდა, ჯერ ღიმილით მოგვჭრა თვალები, შემდეგ კი სიტუაციის ბუნდოვანებით ისედაც დაბნეულებს გამართული ქართულით გვითხრა თუ გვიპასუხა - გამარჯობა, მამა!

კიდევ უფრო დავიბენით და რაღაცის ახსნის იმედით, ჯერ ერთმანეთს უიმედოდ გადავხედეთ, მერე კი გურამის მიერ დაგეგმილი „იერიში" ნაადრევად დავიწყეთ და კაფეს შესასვლელი მოვიქციეთ ალყაში.

თანდათან დალაგდა ყველაფერი. გოგონას სალომე ერქვა და წუთის წინ ასე გაუგებარი და ამფორიაქებელი „გამარჯობა მამა" ერთადერთი აღმოჩნდა, რაც მას ქართულად შეეძლო ეთქვა. ამიტომ სასაუბროდ ინგლისური შეირჩა და სულ მალე ჩვენი ცნობისმოყვარეობაც დანაყრდა. მამის მხრიდან მისი ბებია ყოფილა ქართველი, იმერეთიდან. სალომეს დაბადებამდე გარდაცვლილა და საქართველოში ყოფილა დაკრძალული. სად, არ იცის. თვითონ მარსელში ცხოვრობს, სტუდენტია. სამი წლის წინ მამაც გარდაცვლილა. მამას უწინ ქართული კარგად სცოდნია, მერე და მერე ვეღარ ლაპარაკობდა და ამას ძალიან განიცდიდა თურმე. სიკვდილამდე ორი საათით ადრე კი მოულოდნელად ქართულად ალაპარაკებულა.

- მე მხოლოდ ეს ერთი სიტყვა - „გამარჯობა" - ვიცოდი. როცა მწოლიარე მამა ქართულად ალაპარაკდა, არაფერი მესმოდა და ავტირდი. დიდხანს მიხსნიდა რაღაცას. მერე უეცრად გაჩერდა, ცოტა ხნით თვალებში ჩამაცქერდა და ფრანგულად მითხრა - სალომე, შვილო, გამარჯობა მითხარი, ქართულად მითხარი...

- გამარჯობა, მამა! შევეცადე გამეღიმა. ის კი, უკვე ჩურჩულით - კიდევ, კიდევ მითხარი... სალომე... მე თან ვტირი, თან გაუთავებლად ვიმეორებ - გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! არ მახსოვს ზუსტად, მგონი ორმოცდაათჯერ მაინც ვთქვი ეს სიტყვები...

მერე მამა გარდაიცვალა, აღარაფერი ესმოდა. მე კი დაჟინებით, გამარჯობა მამა, ვიმეორებ და ვიმეორებ, სანამ ექიმებმა არ წამომაყენეს. წეღან, თქვენგან რომ იგივე სიტყვა გავიგონე, გავშეშდი უეცრად. მამა გამახსენდა. რას არ დავთმობდი, ოღონდ ის ვიცოდე, რას მეუბნებოდა მაშინ, სიკვდილის წინ. სამი წელი გავიდა, მე კი გამუდმებით ამაზე ვფიქრობ. საკმარისია მარტო დავრჩე, მაშინვე მისი ხმა ჩამესმის ყურში, მისი ქართული, გაგებით კი არაფერი მესმის. ისევ ტირილს ვიწყებ და ისევ ვჩურჩულებ - გამარჯობა, მამა!

საუბრის დროს სულ გაღიმებას ცდილობდა სალომე და მღელვარების შესანიღბავად ხშირ-ხშირად თმებს ისწორებდა ხელით. ჩვენც ცრემლებით აგვევსო თვალები.

გოგიმ პაუზა შეავსო, ნუ გეშინია სალომე, აქ არა ვართ, აწი ათი მამა გყავს და გამარჯობის გარდა კიდევ ბევრ რამეს გასწავლითო.

ისევ სევდიანად გაიღიმა სალომემ, ჩამოგვიარა მერე და ათივეს მართლა შვილიშვილივით ჩაგვეხუტა.

აქამდე ვერ გიხედავდით, მერიდებოდა, გვიან შევიტყვე, კორსიკაზე ქართველები არიან ჩამოსულებიო, გავიგე თუ არა, აფორიაქდი, ყველაფერი მივატოვე და აქ გამოვიქეცი. კონცერტის მერე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, თუმცა შეიძლება ვერც გამებედა. მინდოდა მენახა... მამაჩემის ხალხი მინდოდა მენახა... ისე, შორიდან შემოგხედავდით და... მამას გავიხსენებდი...

ამან სულ მოგვითავა ხელი. ქართული, თუნდაც ფრანგული ტრადიციებით, იგი ხომ ფრანგი იყო, მამაც ფრანგი ჰყავდა და დედაც. მხოლოდ მამამისის დედა იყო ქართველი. აკი ასეთ შემთხვევაში ვამბობთ კიდევაც - ფრანგია, მაგრამ დედა ქართველი ჰყავს, ან პირიქით, ქართველია, მაგრამ დედა ჰყავს ფრანგიო... და, თუ მაინცდამაინც სისხლის ხსენება გვინდა, მაშინ ხომ ასე ვამბობთ, ამ გოგონას მეოთხედი სისხლი ქართული აქვსო... ხომ ასეა? ხომ მეთანხმებით? ჩვენ კი იქ, კორსიკაზე, ამ ჭეშმარიტების გაგონებაც აღარ გვსურდა. სალომე ქართველი იყო ჩვენთვის და აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თავად რას ფიქრობდა ამაზე.

ეტყობა სისხლი მათემატიკის კანონებს არ ემორჩილება. ერთი და იმავე რაოდენობის შესაკრებებმა შესაძლოა ჯამში სულ სხვადასხვა შედეგი მოგვცეს. რადგან ჯამი სისხლთა რაოდენობაზე კი არა, ალბათ სისხლის სიძლიერეზეა დამოკიდებული.

მოკლედ, ასეა თუ ისე, საჭირო იყო დროზე გავცლოდით იმ სევდიან ტერასას, თორემ, ცოტაც და ერთი საათის შემდეგ სამღერი იმ ორი აუცილებელი სიმღერის მღერა, სალომესთან შეხვედრამდე გადასახდელ ომად რომ გვეჩვენებოდა, ნაღდად გაგვიჭირდებოდა.

ბოდიში ვთხოვეთ სალომეს, წავალთ ახლა ჩვენ, ტანზე უნდა გამოვიცვალოთ, დღეს შენთვის ორი სიმღერა გვაქვს სამღერი, მერე კი, როცა კონცერტი დამთავრდება, ერთად ვივახშმებთ და დანარჩენს იქ გიმღერებთ-თქო.

ჩოხებს რომ ვიცვამდით, დათომ გამოხუნებული რვეული გამომიწოდა და გადახედეო, მითხრა. რა არის მეთქი, ვეკითხები. ვილიამის ნაწერია, სახლში მაგიდაზე ეყარა, შემთხვევით კითხვა დავიწყე, დამაინტერესა, მერე ნებართვა ვთხოვე და ვთარგმნეო. ორი დღეა მაგაზე ვცოდვილობო...

ვილიამ კიისერი ტიპიური ინგლისელია. მეუღლესთან ერთად ჯერ სამხრეთ აფრიკაში წასულა ლონდონიდან, მერე კარგა ხანს შავ კონტინენტზე უბოდიალიათ, ბოლოს კორსიკაზე მოხვედრილან, აქ სახლი უყიდიათ და როგორც თავად ამბობენ, აქედან არსად წასვლას აღარ აპირებენ, აქაურობა და აქაურები მოსწონთ ძალიან.

ჩვენ რომ მეორედ ჩავედით, მასპინძლებისთვის უთქვამთ, რადგან ქართველებს სასტუმროში არ უშვებთ და სახლებში მიგყავთ, ჩვენც მოგვეცით ამის უფლება და ორი კაცი დაგვითმეთო. ასე მოხვდნენ დათო და გია ვილიამ კიისერის ლამაზ ოჯახში. აი, ამ კაცის ჩანაწერების თარგმანი მომაწოდა დათომ.

მე უძიროებს ლეკვერთხები გადავუჭირე, ჩოხის ქილებზე ხელისგულები გადავატარე, ხანჯალ-ასხმული ქამარი წელზე ლვედივით შემოვიჭირე, წამით სარკეშიაც შევავლე საკუთარ თავს თვალი და მერე გადავშალე რვეული.

„ქართველები თბილისიდან მოვიდნენ კორსიკაზე და პოლიფონიის ფესტივალზე იმღერეს. ადვილად შეგძლოთ დაგესკვნათ, როგორი ძალით შეეხო კორსიკულ გრძნობებს ეს ათი კაცი, რომ მასპინძელთა უმრავლესობა იძულებული გახდა ატლასი გადაეშინჯა შავი ზღვის საპოვნელად.

ქართველებმა დატოვეს სამოქალაქო ომის პირზე მიმდგარი თავისი ქვეყანა და მოვიდნენ იქ, სადაც ბევრს იარაღი საწოლის ქვეშ უდევს.

თქვენ მოგწონთ, რომ შემსრულებლები ერთ მტკიცე მუშტად არიან შეკრულნი. სულიერად მტკიცე, უდიდეს ქართველებს შეუძლიათ სულაც ათის წილი იმღერონ, მაგრამ ასევე შეუძლიათ უეცრად ბავშვებად გარდაიქმნან, თქვენ კი თვალებს ხუჭავთ და ისე უსმენთ აკვნის სიმღერას.

უსმენთ და ხედავთ გურამი, გია, გივი, თემური, ზურაბი როგორ სთავაზობენ თავიანთ ხმებს რობერტის, გოგის, ზაურის, დავითის და დავითის - როგორც სიყვარულში გახვეულ ძვირფას საჩუქარს.

არსებობს ერთი ასეთი ქართული თქმულება - მრავალთაგან ერთ-ერთ დამპყრობელს, რომელმაც მოსპო და გაანადგურა პატარა მთიანი ქვეყანა, უკანა გზაზე ერთ-ერთ სოფელში, სადაც ეგონა, რომ ხალხი მოლიანად ამოწყვიტა, ორი მომღერლის სიმღერა გაუგონია. ამ სიმღერამ დაარწმუნა იგი - ასეთი ხალხის დაპყრობა შეუძლებელიაო. უცნაური კი ისაა, რომ კორსიკელებიც იგივეს ყვებიან თავისი ისტორიიდან.

და ქართველები დღესაც სვამენ წყალს, როგორც ღვინოს და ღვინოს, როგორც წყალს. ფეხზე მდგარნი წარმოთქვამენ მაგიდასთან სადღეგრძელოებს. ქვეყანასა და ოჯახს ადღეგრძელებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათ ძალას მატებთ, რომ იმღერონ, სიმღერა კი ძალას მატებთ, რომ იცხოვრონ მღელვარე დროებაში და შეინარჩუნონ სიცოცხლის სიხარული.

ისინი შავ სამოსს ატარებენ, წელზე შემორტყმული გრავირებული იარაღით, მაღალყელიანი წაღებით და მკერდზე პატრონტაჟით ჭეშმარიტად პატრიოტებად გამოიყურებიან და ნამდვილად ასეთები არიან, თუმცა ყოველთვის ნიღბავენ თავიანთ ძლიერ პიროვნულ ინდივიდუალობას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება თვალსაჩინო, როცა სულიერების სფეროში იძირებიან და განუმეორებელი შინაგანი იმპულსებით თხზავენ თავიანთ წარმოუდგენელ მუსიკალურ პარტიებს. გრძნობ, რომ სამღერლად გადახვეულ მათ სხეულებში საქართველოსთვის იწყება სულთა განწმენდა.

მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ ადვილად და უკონფლიქტოდ გაგრძნობინონ ერთდროულად ორი რამ - მოწყენილობა მხიარულებად მიგაჩნდეთ და საშიშროება უკიდურეს ბედნიერებად. და ისინი მღერიან ეპიკურ, შრომის, სამოგზაურო თუ სუფრის სიმღერებს, ფერხულებსა და იავნანებს, საგალობლებსა და ბალადებს. მღერიან სამლოცველოებში, ეკლესიებში, მაგიდასთან, ბაღში, მანქანაში, სახლებში და ალბათ შხაპის ქვეშაც. მღერიან გულის კარნახით და უძლიერესი ემოციით, რომელიც მათი სულის სიღრმიდან ამოდის. იქ კი სიმღერაა ყოველი და ყველა ასაკისათვის.

შემთხვევით მაყურებელს შეეძლო დაკვირვებოდა ჯგუფის თითოეული წევრის ქცევას და წარმოედგინა ისინი მოარშიყეებად, ან სასიყვარულო ქმედებისთვის მზადმყოფებად, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ დამოკიდებულების უშუალობას აფიქსირებენ, რადგან, მეორე წამს, მათი გასაოცარი ფიქრიანი გამოხედვა, მოულოდნელი ხელის ჩამორთმევა, ან სულაც მხარზე ხელის გადასმა მიგახვედრებდა, რას წარმოადგენს მათთვის მთელი კორსიკა. ისინი, არასოდეს, სულ ოდნავაც კი არ გასცილებიან ზნეობის ჩარჩოებს და მათი ჯიშით თანდაყოლილი უზადო ქცევები ნებისმიერ ლონდონელ ჯენტლმენსაც კი შეშურდებოდა.

ერთ-ერთ მათგანს ლონდონიდან ჩემი სტუმრები გავაცანი, შუახნის ცოლ-ქმარი. თითქოს ზრდილობიანად ეკითხებიან ათას რამეს, ძირითადათ ქართველებსა და საქართველოზე, მაგრამ, ყველა კითხვა, მოპასუხის მიმართ თავისთავად ნაგულისხმევი უპირატესობითაა გამსჭვალული, ინგლისელებს ყველგან, ყოველთვის და ყველას მიმართ რომ სჩვევიათ და სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ. იმ ქართველმა ეს მაშინვე იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია. ისეთი გამაოგნებელი იუმორით და ერუდიციით პასუხობდა მისთვის ალბათ საკმაოდ გულუბრყვილო კითხვებს, რომ ჩემი სტუმრები მთლად ბავშვებად გადააქცია. გვიან მიხვდა ჩემი სტუმარი ქალბატონი ამას და აშკარად გაბრაზებულმა, მაგრამ ღიმილის გრიმასით ჯერ მადლობა გადაუხადა, მერე კი მოულოდნელად, ვითომ კეთილგანწყობისა და მოწონების ნიშნად, ყოჩაღ, გამოცდა კარგად ჩააბარეო, სინამდვილეში კი თავისი თვალდახელშუა დაკარგული უპირატესობის დასაბრუნებლად, მოწაფესავით თავზე ხელი გადაუსვა თმეზშეთხელებულ კი არა, გვარიანად გამელოტებულ მოპასუხეს. ქართველს წამიერად ისე შეეცვალა სახე, მივხვდი, აღარავის დაინდობდა. შევწუხდი, ვეღარ ვასწრებდი სიტუაციის განმუხტვას, მაგრამ წამის შემდეგ მან დიდსულოვნად გაიღიმა და სავსებით მოულოდნელად ასეთი რამ თქვა - ბოდიშს გიხდით ქალბატონო, რომ თავზე ქოჩორი ვერ დაგახვედრეთო...

ქართველთა ხმებმა და ქცევამ თითოეული ჩვენთაგანი გაჟღინთა. ჩვენ ვუყურებთ მათ სხეულებს მოწყვეტილ მხიარულებას და ჩვენც მოწყენილები ვხვდებით. ჩვენც გვშია ღარიბული ცნობები მათი სახლებიდან და იმ ომებიდან, რომლებიც იქ მძვინვარებენ. ჩვენ კი ვერ ვახერხებთ მივცეთ მათ სულ მცირედი დამამშვიდებელი ინფორმაციაც კი. არავითარი ნუგეში არ არის, თითქოს, ისინი კი სიმღერას განაგრძობენ, ოღონდ მათი ნამღერი კიდევ უფრო ძლიერი და ყველაფრის წამლეკი ხდება.

ვინ ვის ებრძვის და რისთვის? ვისი მიწა ვისია და როდიდან? ჩვენ ცოტა ვიბნევით - რუსები, აფხაზები, გურულები, მეგრელები... ავარ-დავირიეთ, ვისი ხელისუფლებაა კანონიერი და ვისი არა. ვამჩნევთ განსხვავებას რუსულ და ქართულ ანბანს შორის, მაგრამ არც ერთის წაკითხვა არ შეგვიძლია. ვეღარაფერს ვხვდებით - სად მთავრდება ევროპა და სად იწყება აზია. ვერ ვხვდებით, ვინ ვის მხარესაა და ვის სწყალობს ღმერთი, მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს - მთავარი ისაა, რომ ისინი ახლა აქ არიან, ისინი უკვე ჩვენში არიან. ამიტომ, ის, რაც ნამდვილად გვსურს ვიცოდეთ, ისაა, როგორ მოვახერხოთ, რომ ისინი მაშინაც ჩვენთან იყვნენ, როცა წავლენ.

მათი მთავარი კონცერტი ახლოვდება. ოსტატი მათ ბოლო დარიგებებს აძლევს. პატარა ოთახში არიან. ეს სათავსო მათ თავიანთი ეროვნული ტანსაცმლის ჩასაცმელად სჭირდებათ. „რატომ კიდია აქ წმინდა გიორგის დროშა?", კითხულობს ერთი; „სადაა ჩემი უძიროები" - აინტერესებს მეორეს; „ნელა, ფეხზე ნუ მაბიჯებ", ამბობს მესამე. მე ეს ფრაზები ჩემით მოვისაზრე, რადგან არ მესმის მათი ენა.

კონცერტი კი ათის ნახევარზე დაიწყო. საათნახევრის შემდეგ კი კათედრალში საოცარი სიჩუმე სუფევს. მეტისმეტი აღტაცებისგან ხალხი ვეღარ ხმაურობს, ჩუმდება. ეტყობა ერთი სურვილი გაუჩნდა ყველას, შევიდნენ სადმე და ბრენდით ამოივსონ მუცლები ამ უცნაური დღესასწაულის შემდეგ.

ქართველებმა იმღერეს! ვუსმენდი მათ და ხან ბუხარში მოთუხთუხე ქოთანი მელანდებოდა, ხან ზეცისკენ ისარივით გაჭრილი ტოროლა, ხან ოკეანის ძლიერი სუნთქვა და ხან გავარვარებული ფოლადი. ისინი ერთდროულად იყვნენ მამონტებიც და მლოცველებიც, თანდათან კათედრალის თაღებქვეშ აალებული კელაპტრებივით ილვენთებოდნენ და ნაღვენთის ეს მდუღარე ლავა, როგორც ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი, დასავლის კარიდან უწყვეტად გამოდიოდა და ციტადელის გრანიტის საფეხურებით ზღვამდე ჩაღწეული, იქ, ქვიშიან ნაპირზე გრილდებოდა.

ახლა ისინი მშვიდად დგანან. გამოდის ჟან-კლოდი, დიდი მომღერალი, ქართველების მოწაფედ რომ თვლის თავს. მას ხმის ამოღებაც არ სჭირდება. ჩვენ ვიცით რაც უნდა მოხდეს. შვიდი კორსიკელი თეთრ პერანგებში, გულგაღეღილები, შავი შარვლებით, სახესავსე ღიმილით ცრემლებივით ჩაერივნენ ქართველებს. სიმღერა ენად იქცა და კორსიკელთა მღლოდიებმა ადვილად იპოვნეს გზა ძმების გულებში. ათი ხარი და შვიდი ფრთოსანი.

ქართველები, აშკარად დამშვიდებული ხმებით, კორსიკელებმაც მიაგნეს თავისას. სოლისტები ამოცურდნენ და ნაირფერივით გაქრნენ. დგება მომენტი, როცა ვეღარავინ არკვევს, ვინ რას მღერის და ეს ყველაფერი მაინც საოცარ ჰარმონიაშია, რადგან აქ არის ვებერთელა ძალა, ვებერთელა ძალაუფლება, აქ არის უდიდესი წინათგრძნობა, რომელიც ერთ სხეულად აქცევს ყველას და ეს სხეული ბრწყინვალედ გრძნობს, რა უნდა გააკეთოს.

ქართველები კორსიკას არ დატოვებენ. კორსიკელები არასოდეს მიატოვებენ ქართველთა სიმღერის ბრძოლას. თუ სამყაროს მშვიდობა სურს, აი, ამას ძალუძს იგი".

რვეული დავხურე. ერთი წავუსტვინე და ბიჭებმაც მომაძახეს, წავედით, ვაგვიანებთო...

მოედნისკენ მივიკვლევდით გზას ხალხის ნაკადში. მთელი მოედანი ხალხით იყო გადაჭედილი. პირდაპირ ქვაფენილზე ისხდნენ. დავგინახეს თუ არა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ქართველები მოდიანო, მერე იმ რიგმა, რომელსაც წინ ჩავუარეთ, გაუბედავი ტაში დაგვიკრა, თანდათან ის ტაში წინა და უკანა რიგებსაც გადაედო, ზემოთაც აგორდა და სანამ მთელი მოედანი არ გადავჭერით ცერად და სანამ ისევ „მშობლიურ" ტერასას არ შევაფარეთ თავი, აღარც გაჩერებულან.

საათს დავხედე. თერთმეტს აღარაფერი უკლდა. მიკროფონებს მოვერგეთ. ვიკითხე, რა გადავწყვიტეთ, რას ვიმღერით-მეთქი. იყოს გურული და სვანური, ჯერ „ორირა" ვთქვათ, მერე ფერხული, ჯოკიას ვარიანტი, აზუსტებს რობერტი. ისე არცა აქვს დიდი მნიშვნელობა დღევანდელ ნამღერს. ჩვენ ჩვენი უკვე ვთქვით, ეს ტაშიც იმის გამოძახილი იყო. ასე, ღია ცის ქვეშ, ამდენ ხალხს, ორი სიმღერით, ჩვენ რომ გვინდა, ისე, ქართული სიმღერის მადლს მაინც ვერ გავაგებინებთ...

მე აღარაფერი მითქვამს, ვილიამის ჩანაწერებით ვიყავი გაბრუებული და რობერტს მხოლოდ გონებაში დავეთანხმე.

ამ დროს კაფედან ჩვენმა სალომემ გამოანათა. ორივე ხელით ლანგარი მოჰქონდა, რომელზედაც გალილიცებული პატარა სირჩები ეწყო, გაფაციცებული დაჰყურებდა და ფრთხილი ნაბიჯით მოიწევდა ჩვენსკენ. შევეგებეთ.

- აქაური არაყია, კორსიკული, ღვინის წყალს ეძახიან. მამა ამბობდა, ქართველებსაც აქვთო ასეთი არაყი. რაღაც უცნაურ სახელს ამბობდა. თქვენთვის შევუკვეთე... თუ არ შეიძლება, უკანვე წავიღებ და... მერე, კონცერტის შემდეგ...

მუდარას უფრო გავდა სალომეს სიტყვები. ვიგრძენით, ბედნიერი რომ იყო ამ წუთებით და აბა ამ ბედნიერებას როგორ წავართმევდით. ჩამოვირიგეთ სირჩები, შენ და შენს ბებიას გაუმარჯოსო, ვუთხარით და გადავკარით. გახარებულმა ცარიელი ჭიქები კაფეში შეაბრუნა, მალევე გამობრუნდა და ზუსტად ჩვენს ქვემოთ, ტერასას ქვედა კიდესთან ჩაიდა, აქედან უკეთ მოვისმენთო...

ამ დროს მთელ მოედანზე და ახლო-მახლო ქუჩებში სინათლე გამორთეს და ყველა სახლის აივნებზე თუ ფანჯრის რაფების გაყოლებაზე უკვე ანთებული სანთლები ერთბაშად მთელი თავისი დიდებული იდუმალებით გამოიკვეთა.

ეტყობა ნიავმაც შეაფასა სიტუაციის მუხტი და ზღვიდან ციტადელისკენ ცელქად მომავალმა სადღაც გზაშივე არჩია გარინდება. შეუცნობელის მოლოდინით დამძიმდა გარემო. მოედანიც ისეთ სიჩუმეში ჩაიძირა, კაცი იფიქრებდა ეს სამი ათასი კაცი ერთმანეთს ერთდროულად გაებუტაო.

და აი, ამ საყოველთაო მდუმარებაში მთელ ციტადელს რაღაც იდუმალი ფერადი ნისლივით ჩამოეფინა მამაკაცის ულამაზესი ტემბრის ხმა -

წამით დაასწრო სისხლმა გონებას, უმალ მან იგრძნო მშობლიური, იგრძნო და უეცარი ბიძგით ყველა კუნთი დაგვიჭიმა. მერე კი გონებამაც დააფიქსირა, რომ ფესტივალის დამამთავრებელი ზეიმის დაწყება ჰამლეტ გონაშვილისეულმა „ოროველამ" გვაუწყა. ბაგეები დაგვეწურა და ხორხები დაგვებერა. სიმღერა თითქოს ძალიან შორიდან, იქნებ სულაც საქართველოდან მოჰყვებოდა ზეციურ გუთანს და როცა მან თავისი ულამაზესი კვალი ციტადელზეც გაიტანა, ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ სამი ათასი კაცის ტაშის ხმა ექოსავით ნაღდად უკანვე, საქართველომდე ჩააღწევდა.

ასეთი მოულოდნელი ემოციურობით დაიწყო ჩვენთვის კორსიკული შემოდგომის მშვიდი საღამო.

გვიან, როცა ყველაფერი დამთავრდა, ვახშამზე ვართ და სალომეც, რაღა თქმა უნდა, ჩვენთანაა. ამოვირჩიეთ ერთი მოზრდილი თეთრი მაგიდა ტერასას ცენტრში, შემოვუსხედით, სასმისებიც შევივსეთ წითელი ღვინით და ყველანი ვგრძნობთ, თავდავიწყებაც მალე გვესტუმრება.

ტერასის სხვადასხვა კუთხიდან კი უკვე ისმის სიმღერები, ზედიზედ იმღერეს ბულგარელებმა, შემდეგ ამერიკელებმა, ალბანელებმა, კორსიკელებმა... გინდა არ გინდა აქაც შეფარული პაექრობაა და ღვინით გალაღებული ხმები ეფინება ხმელთაშუა ზღვის ქაფმორეულ ნაპირებს.

სალომე კი ცმუკავს. თქმით არაფერს ამბობს, მაგრამ ერთი სული აქვს ჩვენც როდის გავანთავისუფლებთ ყელში გამომწყვდეულ დუღილდაწყებულ ხმებს. ჩვენ კი განგებ ვაჭიანურებთ, გამოცდილებით ვიცით, სალომეს გარდა მთელი ტერასაც ქართველების ამღერებას ელოდება და ამ მოლოდინს კიდევ უფრო ვამძაფრებთ. თანაც ბიჭებიც მიმოიფანტნენ, ზოგი სარდებს ჩაუგდიათ ხელში და ღვინოს აძალებენ, ზოგი აფრიკელებს და ზოგიც ჟურნალისტებს. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რომ დაუძახო რომელიმეს, იქნებ ვერც გააგონო, მაგრამ საკმარისია ვინმემ სიმღერა წამოიწყოს, მაშინვე ყველა გამოიქცევა და თუ მოსვლა ვერ მოასწრო, ხმას გზიდანვე შემოგაშველებს.

როცა სალომემ კიდევ ერთხელ შემოგვხედა მუდარით სავსე თვალებით, გოგის აღარ მოუთმინა გულმა, ჯერ, როგორც სჩვეოდა, ღიმილი გადაეფინა სახეზე და მერე მრავალჟამიერი დაიწყო.

მაშინვე მოჭრით მოწყდა ტერასაზე ხმაური, თითქმის უხმო, გამხნევებისა თუ მადლიერების ტაშმა ნიავივით გადაიქროლა და მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა ტერასაზე კი არა, მთელს ციტადელზე მშვენივრად ისმოდა, უმრავლესობამ მაინც მიატოვა მაგიდები და ჩვენსკენ გადმოინაცვლა. მეორე მუხლი ჯერ მოტრიალებულიც არ გვქონდა, ზანგი გამოვიდა წინ, გვერდიგვერდ მსხდომ გიას და რობერტს დაუდგა უკან, დაიხარა, სახე მათ სახეებს ჩაუდგა და ბანი „შემოგვაშველა". ჩავამთავრეთ სიმღერა თუ არა, ჩვენი ხასიათი ხომ მოგეხსენებათ, იმ ზანგს მოვეფერეთ, ისე შევაქეთ და გავამხნევეთ, თითქოს სასწაული ექნას. არადა, მრავალჟამიერის გაბმული ბანი, თუ კაცს ყური ძალიან არ გღალატობს, არაა ძნელი სათქმელი, მით უმეტეს აქეთიქიდან ოსტატები თუ ყურში გიმღერიან. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, იმ ზანგს თავგამოდება არ დავუფასოთ, უბრალოდ, რაც ჩვენი წაქეზების მერე მოხდა, იმან გაგვაღიზიანა. ჩვენმა ქებამ გაათამამა თუ მის გარეშეც ასეთი თავდაჯერებული იყო, ეს არ ვიცით, მაგრამ მოგვიტრიალდა და გვეუბნება, ეგ რაა, მე მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ხალხური სიმღერის ერთ ფრაზას რომ მოვისმენ, მეორედან ნებისმიერ ხმას ავყვებიო...

იმდენად აბსურდად გვეჩვენებოდა მისი ნათქვამი, რომ, თავიდან ვიფიქრეთ, ეტყობა მისი ინგლისური კარგად არ გვესმისო და გოგიმ ბარემ სამჯერ გაამეორებინა ერთხელ ნათქვამი. როცა საბოლოოდ დავრწმუნდით, რა სისულელეს როშავდა, გოგია მოგვიტრიალდა და ჩვენ გვითხრა - მგონი გააფრინა ამ საწყალმაო... მერე ისევ ზანგს მიუტრიალდა და საკმაოდ დიდხანს უმტკიცებდა, წარმოუდგენელ რამეს იბრალებ, სხვაგან ეგება კიდეც მოახერხო, მაგრამ ქართულ სიმღერასთან ეგ უბრალოდ შეუძლებელიაო. არ გაჭრა მისმა შეგონებამ. პირიქით, იმ ზანგ მომღერალს, მეგობრებიც წამოეშველნენ, დანარჩენი ამერიკელი მომღერლები და იმათაც დაადასტურეს - ნებისმიერი ხალხური სიმღერის ნებისმიერ ხმას იმღერებს ერთი მუხლის მოსმენის შემდეგო. ეტყობა, მართლაც იმდენჯერ ჰქონდა ეს უკვე გაკეთებული, რომ არცერთი არ დაეჭვებულა მეგობრის შესაძლებლობებში. მოკლედ, დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მთელ ტერასას ჩვენს გარშემო მოეყარა თავი. მხოლოდ სალომე იჯდა ჩუმად და თავისი ფიქრიანი თვალებით ხან გოგის შესცქეროდა, ხან ზანგს, იმისდა მიხედვით, იმ მომენტისთვის რომელი აქტიურობდა.

გოგიმ უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია, აგერ შენ და აგერ ჩვენ, მოდი და ვცადოთო. არც ზანგს დაუხევია უკან. პირიქით, რახან ასეა, მოდი დავნიძლავდეთო და გაშლილი მარჯვენა წინ წამოსწია. გოგიც მაშინვე დაეთანხმა. ათასგან წამიკითხავს, ამერიკელებს ნიძლავი ძალიან უყვართო, წაკითხულის მაგა-

დასას. მე-9 გვერდზე >>



# ქალბატონო ფირთიკოზა!

ალბათ, ხშირად მოგისმენიათ ერთ-ერთი რადიოწამყვანის მიმართვა, - ჩემო ლამაზებო, ჩემო მახინჯებო, მოგესალმებითო... ხმაც ომახიანი და ძველთბილისელი, ქეიფის მოყვარული კაცისა ისმის. ეს კორკოტაა, გიორგი კორკოტაშვილი - ლაზათიანი სუფრა რომ გაუშლია და თბილისელ კოლორიტებთან გემრიელი ქეიფი გაუმართავს.

- ახლა მამაკაცებიც ფართებსა და ფურშეტებზე დადიანო. დავიჯეროთ, ყანწი ქოლგიან ჭიქაზე გაიცვალა?

- დღეს ყანწი თითქოს მეორეხარისხოვანი გახდა. მთლად ლიტრიანებით დალევაც არ შეიძლება, მაგრამ ჩოხაში გამოწყობილი კაცი ქოლგიანი ჭიქით ხომ არ შესვამს სამშობლოსა და მისთვის თავდადებულთა სადღეგრძელოს?! ჩოხის შიგნით სამშობლოსთვის უნდა ფეთქავდეს გული და ძარღვი, სხვა ყველაფერი თვალთმაქცობაა.

- გული გწყდებათ და ა-ლა-ფურშეტიდან რესტორანში მიდიხართ ხოლმე?

- აუცილებელი არ არის რესტორანი, როცა სამეგობროში საკუთარი ხელით დაწურული ღვინო გვაქვს. ფურშეტზე ჩიტის საკენკი რომ დაგხვდება, მერე სუფრაზე უნდა წახვიდე, აბა, რა უნდა ქნა?

- ახლა „მოდაში შემოვიდა" თქვენი „ქალბატონო ფირთიკოზა". ამ სიმღერას რაც ეხება?

- თბილისში ევროპამ რომ შემოანათა 20-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ გახსნილა „ფირთიკოზას მოდის" მაღაზიები. ეს სიმღერა ოთხი კაცისგან მოვისმინე სხვადასხვა დროს. მერე მე, გოგა ჩიქოვანმა და ვახტანგ მესხმა ვიმღერეთ ჩვენებურად. „ქალბატონო ფირთიკოზა, გააკეთე ერთი პოზა, რას, დვა, ტრი... ფიგურუ პაკაჟი..." და ა.შ.

- თანამედროვე ფირთიკოზას ქმარი რომ მოგივარდეთ, რას მღერიო, რას ეტყვით?

- ფირთიკოზა თუ ჰყავს ცოლად, ასეთებზე არც უნდა გაბრაზდეს.

- თქვენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

- ერთგულების სადღეგრძელო მიყვარს. ყველა იმ ადამიანს გაუმარჯოს, ერთი გულით რომ ცხოვრობს! ერთგული ძაღლიც შეიძლება იყოს, მაგრამ კაცი სულ სხვაა. ერთგულებით ფასდება მეგობრობა. ხომ გაგიგონია, - ამხანაგის მოღალატეს დამმარხველი არა ჰყავდესო.

- ტრადიციებიდან დღევანდელობაში რისი გადმოღება შეიძლება?

- თუ თბილისს მივტირი, მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ადამიანთა გაწირვა, ჩაშვება, იშვიათობა იყო. უფროსის, ქალისადმი მეტი პატივისცემა იყო და ჩხუბსაც სხვა წესები ჰქონდა. მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ამბობდნენ მაშინ, დღეს კი ამბობენ, - მე ვარ და ჩემი ნაგანიო!

- გადაცემა „ნაცნობში" მაყურებელს ყოველთვის სხვადასხვა ეპითეტით ესალმებით...

- ჩემო ლამაზებო, ჩემო მაღლებო, ჩემო დაბლებო, მდაბლებო, მსუქნებო, მახინჯებო (იცინის)... ასე იმიტომ გორია. მინდა მთელმა საქართველომ გაიგოს და მიიღოს ჩემი მიმართვა.

- თქვენც ასე მოგმართავენ, ჩემო მსუქანაო?

- განა მე არ ვიცი, მსუქანი რომ ვარ? აბა, ჩემო ტანწერწეტაო, რომ მითხრან, ხომ მოვკვდი სიცილით!

# კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ არ უყვარს, ესტუმრა კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა!

გურამ დოჩანაშვილს 70 წელი შეუსრულდა... ამ იუბილეზე მას მიხეილ სააკაშვილი ესტუმრა!

**დიახ! კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ესტუმრა კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ არ უყვარდა!**

**არ უყვარს კი არა, მისის დღისით ეზარება!**

ეზარება-მეთქი, ვამბობ და განვლილ ხუთწლეულს ვიხსენებ, ძვირფასო მკითხველო...

**დიახ! სწორედ მისი უშუალო მითითებით და თანხმობით გამოყარეს ლიტერატურისა და ქართული სიტყვის მოამაგენი მწერალთა სასახლიდან!**

**დიახ! სწორედ მიხეილ სააკაშვილის პირადი მითითებით წაართვეს მწერალთა სასახლე ჭაბუა ამირეჯიბს, ანა კალანდაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, ტიციანს, პაოლოს, გალაკტიონს...** სწორედ სააკაშვილის პირადი მითითებით წაართვეს მწერალთა სასახლე კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა!

**ამ კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა - გურამ დოჩანაშვილი ჰქვია... ხოლო იმ კაცს, რომელსაც არც ლიტერატურა, არც გურამ დოჩანაშვილი, არც შოთა ნიშნიანიძე, არც პაოლო და არც ტიციანი არ უყვარს - მიხეილ სააკაშვილი!**

იქნებ ვცდები და ვინმემ შემისწოროს: **ვინ იყო ის, ვინც ქართველი მწერლები გამოჰყარა მწერალთა სასახლიდან?**

**ვინ იყო ის, ვინც ქართველი ჟურნალისტები გამოჰყარა გამომცემლობა „სამშობლოდან"?**

**ვინ იყო ის, ვინც ქართველ კომპოზიტორებს კომპოზიტორთა სახლი წაართვა?**

დიახ! სააკაშვილი იმ ბედნიერი დღით ეწვია ბოლო ხუთწლეულში, დონ დიეგოს რომ „წესი აქვს"!

დიახ! სააკაშვილი იმ **მარშალ ბეტანკურის** პირად ჯალათებად რომ აქცია „ნაცმოძრაობის" ...

**•**

დილაში **„ლიტერატურული პალიტრის"** ერთ-ერთი უკანასკნელი გამოცემა ამოკითხა **კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ არ უყვარდა** და ციტატები ...

წაკითხვა არის და წაკითხვაც, ძვირფასო მკითხველო...

**სინამდვილეში, ესტუმრო კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს მაშინ, როდესაც მისი პრეზიდენტობის ვადაში ყველაფერს აკეთებ, რათა ლიტერატურა არაფრის უყვარდეს!**

სირცხვილია, საკუთარი თავის წარმოსაჩენად, თითქოსდა ლიტერატურა ძლიერ გიყვარს, ლიტერატურული ჟურნალის იდილიში ამოიჩინო სპეციალურად ... ციტირება!

**მით უფრო ამაზრზენია - ესტუმრო კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა და მისი ბოლოდროინდელი წიგნიდან წაუკითხო ორად ორი ციტატა და თან არ შეგრცხვეს!**

**•**

**„თქვენი არ ვიცი, მე კი, დროდადრო,** ეს კანუდოსი ისე ძალიან მომინატრება ხოლმე... გამორჩეული ქალაქი ჩემი, გაშენების ჟამს მაინც... წამოდით, მამუკა... რა ჰქვია ან რა მიწაა - იყავი, იდგე, რამდენიც გინდა, ვინ დაგამძლებს", - კანუდოსზე წერდა **„სამოსელი პირველის"** ფურცელზე **კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა...**

**კაცმა, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა**, ღვთიეყურთხეულ ქალაქში, ალბათ, ის საქართველო იგულისხმა, ახლა, 9 აპრილის მოლოდინში რომ არის და **ბეტანკურის** მსგავსი **კამორელები - სააკაშვილისა და მისი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" წევრების** ისევე გაშვებას ცდილობს, როგორც დიდმა კანუდოსელმა, **მოხუცმა სანტოსმა კამორელი მასიმო** გაუშვა შინ!



**ძვირფასო მკითხველო! დიდ ქართველ მწერალს 70 წელი შეუსრულდა...**

**ზემორეკია, ზანჩელი კოსტა, ჟოაო აბადო, მოხუცი სანტოსი** დიდი **კანუდოსელები** იყვნენ... მაგრამ **იმდენად დიდი კანუდოსელი გურამ დოჩანაშვილი, რომ მან კამორელი სააკაშვილიც კი ღიმილით შეიპატიჟა შინ...** არადა, სიტუაციის, **იმ კამორელს, იმ კაცს, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ არ უყვარდა**, ... **რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა - არ შერცხვა!**

**„ჩემთვის ვიდექი"...**

**გიორგი მამაცაშვილი**

ოთახის კარს იქით მოქცეულმა ძაღლმა ისეთი ყეფა ატეხა, ვიფიქრე, კარსაც ჩამოაქცევს და მეც დამგლეჯს-მეთქი. გუგული მგელაძემ გამიღიმა: - ნუ გეშინიათ, ძალიან ჭკვიანი ძაღლია, ადამიანს არ ერჩის. თანაც გვერდით ოთახში ჩავკეტე...

კაბინეტში, ძველ წიგნებსა და ფოტოებს შორის, სასაუბროდ მოვემზადეთ. პავლე ინგოროყვას ნაქონ ძველ ხის საწერ მაგიდაზე ბატონმა გუგულიმ რამდენიმე ხელნაწერი დადო - ძირითადად ლექსები, რომლებსაც ბოლო დროს, როგორც თვითონ ამბობს, კინოს გადაღების აუხდენელი ოცნების ფონზე წერს. რაკი ცხოვრებაზე უნდა ვილაპარაკოთ, ცხოვრებაზე დაწერილი ლექსის კითხვით დავიწყეთ:

„მივყვები აღმართს,<br>ვითვლი ნაბიჯებს,<br>მუხლი მღალატობს,<br>ალბათ ვბერდები"...

ძაღლი არ ცხრება, ლამისაა მართლა გამოანგრიოს კარი და მასპინძელიც იძულებულია, გამოუშვას. მრისხანეს ველოდები და შემოდის დინჯი, ჭკვიანი, შავი ლაბრადორი. ხმის ამოუღებლად ჯდება და გვისმენს.

- ეტყობა, ძაღლები გიყვართ...

- პატარა ვიყავი, ეზოში, ტუალეტში შევედი. მოვიდა დიდი ძაღლი და დადგა კართან. ორი საათი ვიყავი „დაპატიმრებული". როგორ შეიძლებოდა მყვარებოდა ძაღლები... მაგრამ ახლა მიყვარს, რომ არა ჩემი ძაღლი, გამოვიწვებოდით. ხანძარი გაჩნდა. ჩემი ვაჟი, გიო გვერდით ოთახში იწვა. ჩვენმა ძაღლმა ატეხა ყეფა, შევარდა, მოქაჩა, ძალით შემოიყვანა და აჩვენა ცეცხლი. ასე რომ, ეს მარტო ძაღლი კი არა, ჩვენი გადამრჩენია...

„გადამრჩენი" თავს ხრის და მადლობის ნიშნად კუდს აქიცინებს - წარდგენით კმაყოფილია... ახლა კი მთავარს ვუბრუნდებით და ჩვენ ორნი - მე და ლაბრადორი დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს გუგული მგელაძის ცხოვრების ეპიზოდებს.

## ჩემი გარიჟრაჟი

ყველაფერი იწყება მამის დაპატიმრებით... მახსოვს, სკოლიდან მოვედი. მეზობლები რაღაც სხვანაირად მიყურებდნენ. შევედი შინ, არეულია ყველაფერი. რომ მივდიოდი, მამა ლოგინში დავტოვე - ავად იყო. მისულფერებულ კაცს თავს დასდგომოდნენ ჩეკისტები და რაღაცას ეკითხებოდნენ. ის პასუხობდა. საწყალი დეიდაჩემი - ხეიბარი ქალი იყო, კუთხეში იდგა და ცრემლი ჩამოსდიოდა. ერთი ჩეკისტი ბუხართან იჯდა და რაღაცას ჩხრეკდა... არ ვიცი, რას ეძებდა. მერე წაყვანა დაუპირეს. დეიდამ უთხრა, - გიორგი, ლოგინს შეგიკრავ, წაიღეო. „ნეტ ნუჟდი!" - რუსულად უთხრა შავგვრემანმა. ვიდექით ჩემი დები და მე... მალე დავბრუნდებიო, - გვითხრა და გაჰყვა... ორ თვეში დახვრიტეს. მიზეზზე ვფიქრობდი სულ. ალბათ, ბელგიაში რომ ჰქონდა განათლება მიღებული, ამანაც განაპირობა მისდამი საბჭოთა რეჟიმის უნდობლობა. ზაჰესის საინჟინრო საქმე მამას ებარა და ბრწყინვალედ შეასრულა. ესეც უბედურებად უქციეს. რა დამავიწყებს, როგორ წვალობდა დედა, ორ სამსახურში დადიოდა, მოვიდოდა, დაგვაპურებდა, ისევ წავიდოდა...

ბევრი რამ ხდება შემთხვევით ამ ცხოვრებაში. ერთ დღეს ქუჩაში ქალი შემხვდა. გაჩერდა, დიდხანს მიყურა, თან მიღიმოდა. მეც შევჩერდი.

- რამდენი წლის ხარ? - მკითხა უცნობმა.

- რამდენისაც საჭიროა! - ვუპასუხე უხეშად, ვიუკადრისე, უცნობმა ქალმა ასაკი რომ მკითხა. თითი დამიქნია, ასე უზრდელად ნუ მელაპარაკებიო და მკითხა:

- კინოში გადაღება გინდა?

- როგორ არა! - ვუპასუხე.

- ხვალ მოდი სტუდიაში.

მივედი მეორე დღეს. დამხვდა ის ქალბატონი, მერე გავიგე, ალიანდრა ერქვა. თურმე „გიორგი სააკაძის" სინჯები მიმდინარეობს. შევედი. ვხედავ ვიღაც თავმოტვლეპილი კაცი ბუტერბროდს ჭამს. პირველად მოვხვდი ასეთ გარემოში, დავინახე, როგორ მუშაობდნენ გამნათებლები, კიბესთან ვიღაც ახოვანი კაცი იდგა - თურმე აკაკი ხორავა. ქალბატონმა ალიანდრამ ვიღაცას მიმართა:

- მიხეილ ედიშეროვიჩ, ეს ბიჭი გამოდგება გიორგი სააკაძის უფროს შვილად? - მაშინღა გავიგე, მიხეილ ჭიაურელს მიმართავდა.

- ხვალვე ჩააცვით, დაახურეთ პარიკი, ჯამაგირი დაუნიშნეთ და გადაღებებზე მოიყვანეთ! - უპასუხა.

გამოვედი გაკვირვებული. ვეკითხები ალიანდრას, - რაო, რა თქვა, ვინ უნდა ვითამაშო-მეთქი. ვერ გაიგე, გიორგი სააკაძის უფროსი შვილიო.

- მერე ჯამაგირსაც დამინიშნავთ? - ვკითხე უნდობლად.

- აბა რა!

- ფულს მომცემთ?

მაშინ მეგონა, როგორც ფოტოგრაფთან შენ უნდა გადაგეხადა ფული, სურათი რომ გადაგეღო, კინოშიც ასე იყო. ფრიად გაკვირვებული დავრჩი. ერთი საოცარი რამ დამრჩა გადაღებების დროიდან. პირველ სცენას ვიღებდით, გიორგი სააკაძეს თავადაზნაურობა რომ დაესხმება თავს. არ განვიცდიდი არაფერს. ვერიკო ანჯაფარიძეს ერთი ხელი ჩემზე ჰქონდა ჩაკიდებული, მეორე - მერაბ კოკოჩაშვილზე. ენთო ჩირაღდანი და ჩვენ დავრბოდით. ჭიაურელმა მითხრა, - ყოჩაღ, რა კარგად განიცდი და როგორ ზუსტად თამაშობო. მერე, როცა გიორგი სააკაძე განიდევნა, ვსხედვართ მთელი ოჯახი ქვებზე, წინ უდაბნოა, გიორგი ცოლს ეუბნება, - რუსუდან, არ გაშინებს ეს გზაო? ისე განვიცადე, თითქოს მართლა მივდიოდი და ვტოვებდი აქაურობას. ვკანკალებდი კიდეც. უცებ მიხეილ ჭიაურელმა მითხრა, - შენ არ გეხება, რაც ხდება? რატომ არ განიცდიო! მაშინ მივხვდი, მარტო განცდა კი არა, გამოხატვა იყო მთავარი.

პირველი ჯამაგირი 750 მანეთი ავიღე და მაშინვე დედას ვუყიდე კაბა. ახლაც თვალწინ მიდგას - შავ-თეთრად იყო მოჩითული. დედამ 8 თუ 10 წელი ატარა...

## ჩემი დილა

15-16 წლისა ვიყავი და გაფუჭება დავიწყე, ვთამაშობდი ფულს... ეს რა არის? ფულის ნომერი უნდა გამოგეცნო და ის ფული შენი იყო. სამ ნომერში რაღაც მაინც უნდა გეთქვა მიახლოებული. ყომარს ანუ ზარსაც კი ვთამაშობდი. მერე პოკერზე გადავედი, მაგრამ უკვე ხანშიშესული, ეგ, ცხადია, ველარ გამაფუჭებდა.

ძველბიჭობა მომწონდა ძალიან. მაგრამ დღევანდელი გაგებით კი არა! ოღონდ ავტორიტეტი მქონოდა, ჩემზე ეთქვათ, ძველი ბიჭიაო და ქურდობასაც კი დავიბრალებდი. ერთხელ რუსთაველზე ვიდექი და ერთმა თქვა: ეს კარგი კაციაო, - ჩემზე. ქურდიაო? - ჰკითხა მეორემ. რა ქურდი, რის ქურდი! ომის წლები იყო, უპატრონოდ ვიყავით, ნახევრად მშიერი დავდიოდი.

ისე წავხდი, წაგებული ფულის გადასახდელად პურის წიგნაკიც გამიყიდია... მაგრამ სისხლში არ მქონდა ბოროტება და გადავრჩი...

რამ გადამარჩინა? გრიბოედოვის ქუჩაზე, №1-ში ჩემი მეგობარი - თენგიზ ალავერდაშვილი ცხოვრობდა.

„ჩემი ბინის ოთახები ვეღარ იტევს სხვადასხვა ფერის, ზომისა თუ სისქის რვეულებს, უბის წიგნაკებს, ბარათებსა თუ ფარატინა ფურცლებს. დატენილსა და დაბერილ საქაღალდეებს ყელში სჩრიათ აცაბაცა, ბატიფეხურით ნაწერი ლექსები, თქმულება-ლეგენდები, შელოცვები, ანდაზები თუ ნაკვესები... ეს ყველაფერი ყოველდღიურად იზრდება, მრავლდება, ხვავდება და ბოლო აღარ უჩანს, ლამის ქვეშ დაგვიტანოს მთელი ოჯახი.

გზავნიან ფოსტით, მოაქვთ პირადად, ხელიდან ხელში, ან ატანენ ვინმეს, ელიან პასუხს. მოხუცნი თუ ახალგაზრდანი, თვით ავტორნი თუ მათი მემკვიდრენი, გათვითცნობიერებული ჩამწერ-შემკრებნი თუ შემთხვევითი პირები, რომელთაც სადღაც, ოდესღაც, როგორღაც ვიღაცისგან სმენიათ, მოუკრავთ ყური, ჩაუწერიათ და არ უნდათ, რომ დაიკარგოს... იქნება რამეში გამოგადგეთო, - იტყვიან მორიდებით და გიტოვებენ ძველი სკივრებიდან ამოლაგებულ პაპებისა და მამა-ბიძების მიერ ჩაწერილ მასალებს, რომელთაგან ზოგჯერ მართლაც საოცარი სხივი გამოკრთება ხოლმე, ჩაუმქრალი სხივი ალალად ნათქვამი სიტყვის მადლისა.

წერილები... ზოგ კონვერტს აწერია ჩემი ბინის მისამართი, ზოგს უნივერსიტეტისა ან ტელევიზიისა, ზოგსაც მთარგმნელთა კოლეგიისა თუ ასოციაციის, ხოლო ზოგიერთს კი პირდაპირ: თბილისი. ვახუშტი კოტეტიშვილს. ყოველგვარი მისამართის გარეშე. და მაინც მოდის, გზას მოიკვლევს, არ იკარგება..."

* * *

ნელ-ნელა მისი სახლი ზნეს იცვლის, მარტო სახლი კი არა, ადგილი, სადაც შეიძლებოდა მთელი საქართველოდან მოსულიყვნენ, თავისი ეთქვათ და მასპინძლისა მოესმინათ. ამ შემთხვევაში არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ აქ პროფესორი ცხოვრობდა, არც იმას, რომ ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი დიდი დამფასებელი და მცოდნე... მთავარი ის იყო, რომ აქ ვახუშტი დაგხვდებოდათ - მთელი საქართველოსთვის შინაური.

ხომ არსებობს გენეტიკური კოდი, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ადამიანის მთელ ცხოვრებას წარმართავს? მასშიც ძალიან ძლიერი იყო მემკვიდრეობით მიღებული გენეტიკური კოდი, რომელიც ძირითად გამოხატულებას ეროვნულის, ფესვების სიყვარულში პოულობდა. საბედნიეროდ, მოასწრო და დაწერა მემუარული წიგნი წინაპრებსა და თავის ოჯახზე... წაკითხვის შემდეგ მიხვდები, რომ ვახუშტი იმ დიდ სამყაროს ეკუთვნოდა, რომელიც უმძიმეს წლებში იყო ქართული სულის გადარჩენის მტვირთველი და ღირსეულად აკეთებდა ამ საქმეს.

იქნებ ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ვახუშტის ზრდიდა დიდედა - არაჩვეულებრივი ქალბატონი ეკატერინე ბიძინაშვილი. ის იყო ქართული ხალხური სიტყვიერების ცოცხალი საგანძური. იცოდა უამრავი ლექსი, ანდაზა, ზღაპარი... აღზრდის საქმეში რომ უზადო იყო, ამისი დასტური მისი ვაჟი, ქართული მეცნიერული ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი, დიდი მეცნიერი ვახტანგ კოტეტიშვილი და თავად ვახუშტი გახლდათ. ორივე მისი გაზრდილი იყო, ორივეს უამბობდა ძილის წინ ქართულ ზღაპრებსა და ლექსებს... ორივეს ყური მიეჩვია ქართულ სიტყვას, ორივეს გულმა ქართული ფესვიდან გაახარა ყლორტები.

მამა-შვილს საერთო სული ჰქონდა, რომელიც ჩარჩოს არასოდეს იგუებდა და ეროვნულს ვერასოდეს უგულებელყოფდა.

„ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნება საქართველოს მთასა თუ ბარში, კლდესა თუ ღრეში ხეტიალი იყო. ავიკიდებდი ზურგჩანთებს, კარვებს და მივდიოდი. ფეხით მაქვს შემოვლილი მთელი საქართველო-მეთქი, - ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან ბევრ კუთხეში ვყოფილვარ. შევხვედრივარ არაჩვეულებრივ ხალხურ მთქმელებს, მელექსეებს, ვაგროვებდი ძველ ნივთებს - ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. ამას უბრალოდ, როგორც მოყვარული, ისე ვაკეთებდი."

ირანისტი იყო, ორი დისერტაცია დაიცვა ირანისტიკაში, უზადოდ თარგმნა სპარსული პოეზია, მაგრამ მაინც... მთელი არსებით ვერ გადაერთო მხოლოდ ირანისტიკაში, უკვე პროფესორი იყო, გულმა რომ ფოლკლორისტიკაში გაუწია... გაუწია და გაჰყვა, თვითონაც ღიმილით ამბობდა, - კვიცი გვარზე ხტისო...

„საოცარია საქართველო, სულ ერთი მუჭაა, მაგრამ უაღრესად მრავალფეროვანი... სვანეთში გგონია, დეკორაციას უყურებ, თან ახლავს რაღაც სიცივე და ამავე დროს, ამაღლებულია. ხევსურეთი პირქუშია, ხევი - შიშველი კლდეები, თუშეთში ყველაფერი თბილი და ტკბილია. იქ თუშური გარმონი სხვანაირად ჟღერს, ვიდრე ბარში. რამდენ ქართველს ვიცნობ, რომ არ იციან, ხევი საქართველოს კუთხე რომ არის. ხეობა ჰგონიათ. რომ გიყვარდეს, უნდა იცნობდე. არ იცნობენ".



იმერეთში იმერელი იყო, გურიაში - გურული, ქართლში - ქართლელი...

ფშავში კოპალობაზე ავიდა. ცივა, ცივა, ძვალსა და რბილში ატანს სიცივე. ფშაველებმა ნაბადი მოახურეს, ბოხოხი დაახურეს. წავიდა კაფიაობა. ჩაერთო ვახუშტიც. ამ დროს დაგვიანებული მლოცველები ამოვიდნენ რუსთავიდან. ერთი ვერ შეიცნეს და იკითხეს, ეს რომელი ფშაველიაო. ეგ თბილისელი დოცენტიაო... დოცენტი არა ისა, ვერა ვხედავთ, ფშაველი მწყემსიაო! მაშინ ძალიან ბედნიერი-იყო...

თელავში სუფრა გაუშალეს. კახური ლხინი დაიწყო. მორიდებით იჯდა ერთი კახელი, ეტყობა, ფიქრობდა, ქალაქელმა მეცნიერმა არაფერში დამძრახოსო... უყურა, უყურა და რომ მიხვდა, ვახუშტი კახელზე უფრო კახელი იყო კახელებთან, გახალისებულმა ხმა აიმაღლა: - ბატონო ვახოჯან, მე იმ წლების დედა ვატირე, ჩვენ რომ ერთმანეთს არ ვიცნობდითო.

ყველაზე მეტად ახარებდა, ქართველი გლეხი თავისად რომ მიიღებდა... ამით თითქოს პირდაპირ საქართველოს გულის ფიცარზე ამბორს ახერხებდა.

ამიტომაც არ სჭირდებოდა მისამართისა და გვარის დაზუსტება. მთელი საქართველოსთვის ერთადერთი იყო - მისკენ მიმავალს გზა არ გაუმრუდდებოდა.

როცა ვიხსენებ, პირველად ფოლკლორულ საღამოზე ვხედავ, მერე თავის სამუშაო მაგიდასთან... მერე მზეოსთან ერთად სამზარეულოში, ჭიქა ჩაიზე საუბრობს... მერე ფანჯრიდან გადაყოფილი თავით ვხედავ, როგორი დაწაფებით აბოლებს აკრძალულ სიგარეტს და ტატოს აჩრდილს უყურებს თვალებში...

სნეულება კარგა ხანია უმძიმებს დღეებს, ასაკიც მოდის და სამოცდაათს მიტანებული მაინც ახალგაზრდული იუმორით, თავისი გაბზარული ხმით: „როგორც უბრალო ქვიშის საათი, ზემოთ ვიცლები, ქვემოთ ვბევრდებიო", - შემოგვცინის.

მერე თვალს დავხუჭავ და ელვარე სითეთრეში წარმოვიდგენ, ოღონდ ახლა მართლა არარეალურს - მთამსვლელის სამოსში გამოწყობილს, ღიმილით რომ გაჰყურებს ხელისგულივით გადაშლილ საქართველოს... მთამსვლელებთან ერთად თურმე არასოდეს ყოფილა, ლეილას - უფროს დას, მის გამზრდელს ეშინოდა და ვერ ანერვიულა... ისე კი, ცხადია, უნდოდა... ჰოდა, განგებამ ინება: „ერთხელ სტუდენტები მიმყავდა ჯუთიდან არხოტში. ისეთი ნისლი იყო, არაფერი ჩანდა. გზა აგვებნა. ვიბოდიალეთ და მწვერვალზე არ აღმოვჩნდით? ხალხი იქ კედებით ავიყვანე, ყოველგვარი ძალაყინების გარეშე. მოვხსენით ალპინისტების მიერ დატოვებული წერილი: იქ ყოფილან დონის როსტოვის საზოგადოება „სპარტაკის" წარმომადგენლები... დავტოვეთ ჩვენი მონაცემები, ის კი წამოვიღეთ"...

...და მაინც აჩვენა - მწვერვალზეც აიყვანა.

**ლელა ჯიყაშვილი**



# „ფესვები" 20 წლისაა და ცოცხალია!

მასთან ვიკრიბებოდით მე, კოტე მახარაძე, თენგიზ გოდერძიშვილი, ნოდარ ჯანბერიძე. კოტე მაიაკოვსკის კითხულობდა, თენგიზ გოდერძიშვილი ფორტეპიანოზე უკრავდა. მაშინ მასწავლა დაკვრა და დღემდე მახსოვს ის პიესები. ვმღეროდით.

დეიდა ანგელინა - თენგიზის დედა, ქვრივი იყო, ლუკმას გვიყოფდა, ღვინის ავკარგიანობასაც მათთან ვეზიარე. ამ მეგობრობაზე მერე ფილმი გადავიღე: „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ!" დეიდა ანგელინას სესილია თაყაიშვილი თამაშობდა...

დედას უნდოდა, ექიმი გავმხდარიყავი, წაიღო ჩემი საბუთები და შეიტანა სამედიცინო ინსტიტუტში. ხელში არ ავიღე წიგნი. მახსოვს, ბიოლოგიის სახელმძღვანელოს ქვეშ ყაზბეგი მედო და იმას ვკითხულობდი. გავედი და პირველსავე გამოცდაზე ჩავიჭერი. დავბრუნდი გახარებული. ჩემმა დამ - რა ქენიო. ჩავიჭერი-მეთქი. მერე რა გიხარია, შე სულელოო! ის მიხაროდა, რომ მოსკოვში წავედი და ვგიკ-ში, კინოს ინსტიტუტში ჩავაბარე გამოცდები. არც იქ მიღებდნენ. სომეხმა გამომცდელმა მითხრა, - ქართული აქცენტი გაქვთ და ვერ მიგიღებთო. ვკითხე: - სტალინს სომხური აქცენტი ჰქონდა-მეთქი?! შეეშინდა და ველარაფერი მითხრა. მიმიღეს. პირველი სემესტრის მერე გამომაგდეს. შემრცხვა დაბრუნება. 6 თვე სადგურში და ფოსტაში ვათენებდი, მშიერ-მწყურვალი... ჩემთან ერთად გამოაგდეს ვიქტორ ორლოვი. ისიც ჩემთან ერთად დაყიალობდა.

მეორედ გავედი გამოცდაზე და ისეთი რამ წავიკითხე, ვერაფერი მითხრეს. ან უნდა მივეღე, ან დავეჭირე. რა წავიკითხე ასეთი? - ლერმონტოვის „პოეტის სიკვდილი".

გამიმართლა, ისეთ ხალხთან ერთად ვსწავლობდი - გრიგორი ჩუხრაი, ოლეგ ბასოვი, სერგეი ბონდარჩუკი, თენგიზ აბულაძე... მერე თენგიზი გამოაგდეს... „სხვისი შვილების" ჩვენებაზე ჩემ გვერდით იჯდა მისი გამგდები. ცრემლი წამოუვიდა, ხელი ჩამომართვა, თენგიზთან ვერ გაბედა მისვლა,გაიპარა.

ბევრი ნიჭიერი კაცი შემხვედრია. ზოგი სმამ დაღუპა... ზოგი - პოპულარობამ. ზოგმა გაუძლო. სულ მახსენდება ვიაჩესლავ ტიხონოვი. ძალიან ჭკვიანი იყო, სასმელს არ ეტანებოდა.

## ჩემი შუადღე

ხან მზეა, ხან ავდარია... ჩემი შუადღე უფრო მზიანი იყო, არაჩვეულებრივ ხალხთან მიხდებოდა მუშაობა. იმიტომაც არის ქართული კინო ძლიერი.

ყველაზე რთულად რომელი ფილმის გადაღებებმა ჩაიარა? ერთს გეტყვით... ერთხელ, კომპოზიტორი ფელიქს ღლონტი შემხვდა და მითხრა, - მეგობარმა შემომჩივლა, - ორი წელია ვიტანჯები, სიმფონიას ვწერო. თუ იტანჯები, რატომღა წერო, - უკითხავს ფელიქსს. ტანჯვით არც დაწერილი გამოვა, არც გადაღებული. მე ყველა ფილმს სიხარულით ვიღებდი. თუ შევატყობდი, რამე არ გამოდიოდა, თავს ვანებებდი... პირველი ფილმი, „ბურთი და მოედანი", სერიოზულად არც მიიღეს... ხომ გაძლო ნახევარი საუკუნე? ერთ თვეში გადავიღე სულ

## სუფრასთან ჯდომაც
# სპექტაკლს წააგავს!



...ჩვენი სათქმელი სხვის ნათქვამზე კარგი ან ცუდი კი არა, განსხვავებული უნდა იყოს და მაშინ არის საინტერესო, - ასეთია მისი ფილოსოფია... მკაცრი გარეგნობის უკან იმალება კაცი, რომელსაც „გამორჩეული სხვანაირობით“ შეუძლია კალმის მოსმაც, სცენაზე დგომაც, მოლხენაც... ათასჯერ წაკითხულ ლექსს ხომ ისე მოიტანს შენამდე, თხემით ტერფამდე შეგძრავს... მურმან ჯინორია სიამოვნებას ხატვისას იღებს, საკუთარ თავს კი ანგარიშს ყოველწლიურად, დაბადების დღეზე აბარებს...

*- ბატონო მურმან, რა არის თქვენთვის ბავშვობის ყველაზე ნათელი მოგონება?*

- არ მეგულება ადამიანი, ბავშვობა ლამაზად არ ახსენდებოდეს... მეოთხე კლასში ვიქნებოდი, იმ პროფესიაზე ფიქრი რომ დავიწყე, რასაც მთელი ცხოვრება ვემსახურები. მსახიობები პატარაობიდანვე მიყვარდა, იმიტომაც მეხერხებოდა არტისტობა. მოგვიანებით პიონერთა სასახლეში დავიწყე სიარული. მახსოვს, „ქაჯანა“ დადგეს და ჭიაკოკონობის ეპიზოდისთვის ბავშვები გვათამაშეს მასობრივ სცენაში. წითელი ნათურით განათებულ, დეკორატიულ ცეცხლზე რომ ვხტებოდი, სულ სხვა განზომილებაში აღმოვჩნდი, საოცარი გრძნობა დამეუფლა...

*- ვინ გყავდათ სამაგალითოდ, ვის ჰბაძავდით ხოლმე?*

- იმ თაობის ყველა ფეხბურთელს. სიომა ბარქაიაზე, მიშა მესხზე, სლავა მეტრეველზე ხომ მზე და მთვარე ამოგვდიოდა... ჩვენი ოჯახი ჯერ დიდუბეში ცხოვრობდა, მოგვიანებით დიღმის მასივში გადავედით და სკოლის შემდეგ ყოველთვის „დინამოს“ ბაზაზე მივდიოდით, სათაყვანებელი ფეხბურთელებისთვის თვალი რომ შეგვევლო. რუსთაველის პროსპექტზე ან მარჯანიშვილის თეატრთან სერგო ზაქარიაძეს ან გიორგი შავგულიძეს თუ დავინახავდით, ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, ზეადამიანებად მიგვაჩნდა, მათ მაგალითზე ვიზრდებოდით...

*- ახლაც, გურამ საღარაძესთან, ზინა კვერენჩხილაძესთან ერთად დგახართ სცენაზე. ამის მიუხედავად, ძნელი წარმოსადგენია მათდამი ის მოწიწება დაგეკარგათ, კარიერის დასაწყისიდან რომ მოგდევთ...*

- მსახიობმა ეს თუ დაკარგა, კაპიკია მისი ფასი... დიდი მსახიობი ბრმად კი არ უნდა გიყვარდეს, შენს სულიერ სამყაროში უნდა გადახარშო და მისი მეშვეობით ინდივიდუალურობა გამოავლინო. თუ გადმოცემის შენეული ფორმა ვერ მონახე, მაყურებლისთვის საინტერესო არ იქნები... ბატონი გურამ საღარაძე ჩემი პედაგოგი იყო. რაც პროფესიონალი მსახიობი გავხდი, გვერდიგვერდ არაერთხელ გვითამაშია, თუმცა, დღემდე ისეთივე მოწიწებასა და პატივისცემას განვიცდი მის მიმართ, როგორც სტუდენტობისას. [illegible]

*- ბრძანეთ, რომ ფეხბურთი ბავშვობიდან გიყვართ. კიდევ რა გატაცებები აქვს მურმან ჯინორიას?*

- მხატვრობა მიყვარს ძალიან. [illegible]

*- აზარტული ჩანხართ...*

- ჩვენი პროფესიაა ასეთი - თუ აზარტული არა ხარ, არაფერი ხარ... შეჯიბრება არ მიყვარს. ვიღაცას კი არ უნდა შეეჯიბრო, ის უნდა გამოხატო, რაც შენს სულში ძევს და მაყურებლამდე მიიტანო. ასეთ მისწრაფებას ვუწოდებ აზარტს.

*- თქვენისთანა პოეტური სულის ადამიანისთვის სუფრასთან ჯდომაც თვითგამოხატვის საშუალება იქნება.*

- ჩემი და ჩემი მეგობრების გაგებით, სუფრასთან ჯდომაც სპექტაკლს წააგავს, ოღონდ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ვთამაშობთ და არაგულწრფელები ვართ. პირიქით, ასეთი შეხვედრებისას ისეთ მუხტს ვიღებ ხოლმე, დიდი ხნის განმავლობაში რომ მასაზრდოებს...

*- თამადობა ხშირად გიხდებათ?*

- არცთუ იშვიათად. თამადობა ბევრი ღვინის დალევას კი არ ნიშნავს, სუფრის ხელმძღვანელმა ის უნდა შეძლოს, თანამესუფრეთა უმეტესობა კმაყოფილი დარჩეს. მქონია ბედნიერება, ისეთი დიდებული თამადებისთვის მომესმინა, როგორებიც კოტე მახარაძე, ეროსი მანჯგალაძე, თემურ ჩირგაძე იყვნენ. დაუვიწყარი დღეები იყო... ზოგი ბევრს დალევს, ზოგი - ცოტას, ზეიმის მოწყობა კი ყველას ნამდვილად არ შეუძლია...

*- არსებობს როლი, რომელსაც ვერ ითამაშებდით?*

- ჩვენს პროფესიაში ხშირად ხდება ხოლმე, - სწორედ ის როლი გერგება, რომელზეც არ ოცნებობ. თუმცა, მთავარი ის არის, როგორ შეიყვარებ, მოარჯულებ, მოირგებ როლს. უნდა იცოდე, რა გინდა, რისთვის თამაშობ ამ პერსონაჟს... არცთუ იშვიათად ხდება, რომ მთავარზე მეტად მეორეხარისხოვანი როლი გამოიწვევს აჟიოტაჟს. გაიხსენეთ, როგორ ცეკვავს ქალბატონი სოფიკო „ხანუმაში“ კინტაურს - მთელი მისი სიდიადე იმ ორწუთიან ეპიზოდში ჩანს...

*- მანდილოსანს რა ადგილი უჭირავს თქვენს ცხოვრებაში?*

- ნებისმიერი მამაკაცისთვის ქალი შემოქმედების საწინდარია, მიზნის, სტიმულის მიმცემი. გალაქტიონს აქვს გენიალური სტრიქონი: „მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“ ამ მოკლე ფრაზით ყველაფერია ნათქვამი და ამას მხოლოდ გალაქტიონი თუ შეძლებდა... [illegible]

---

ხალის-ხალისით.

„ფეხებმა“, იცით, რამდენი წლისაა? - 20 წლის! ისე უყურებენ!

„სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ 30 წლისაა და ისიც ცოცხალია. [illegible]

**ჩემი სალამო**

როცა ოჯახში დიდი უბედურება შეგვემთხვა [illegible]

ლელა ჯიყაშვილი

---

## „გამარჯობა, მამა!“

მე-7 გვერდიდან

ლითს კი მაშინ პირველად გადავეყარე. ისე გაუხარდათ, რომ მაშინვე ჯიბეებზე გაიკრეს ხელი, ათას ფრანკს მოუყარეს თავი, მაგიდაზე დაგვიდეს და ზემოდან კოკა-კოლას ბოთლი დაადეს.

სურვილიც რომ გვქონოდა, სიტუაციას ვეღარ დავუსხლტებოდით ხელიდან. მისი ტყვეები ვიყავით უკვე. ჩვენ და ისინი კი არა, მთელი ტერასა აზარტით იყო დანაღმული და წუთი-წუთზე აფეთქდებოდა.

გოგიმაც ამოიღო ჯიბიდან ფული, ათასი ფრანკი ადვილად გადათვალა, რადგან თითქმის აღარაფერი შერჩა ხელში და კოკა-კოლას ისტორიული ბოთლი კიდევ უფრო გაამდიდრა. მერე მოგვიტრიალდა და მე და რობერტს გვკითხა - რა ვთქვათ, „ჩვენ მშვიდობაო“?!

- კი ბატონო, იყოს ეგ, დაეთანხმა რობერტი. მე კი უეცრად ვეკითხები, - მისმინე, მართლა რომ აგვყვეს ეგ შობელძაღლი, რა ვქნათ მერე? გოგიმ ისე შემომხედა, მივხვდი, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღო.

- არ ვხუმრობ, ვთქვათ აგყვა, მერე? გოგის თვალები გაუფართოვდა.

- რა დაგემართა, შენც ხომ არ გააფრინე?!

- არა, ეჭვიც არ მეპარება, რომ ვერ იმღერებს, მაგრამ მაინც... ცოტაა ამ ქვეყანაზე შერეკილი? - ჩემსას არ ვიშლი.

- შერეკილების მეტი რაა, მაგრამ ეტყობა ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი, სამი თვე ვსწავლობდი მაგ სიმღერას და ამან ახლავე უნდა იმღეროს? მოიცა ერთი თუ ძმა ხარ, ეგეთი რამე არ ხდება...

მერე მე თავი გამანება და იმ ზანგს ეკითხება, - დავიწყო?!

- ო, კეი! ო, კეი-ო!

გოგიმაც თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მილულა, ტრადი-ციული ღიმილიც არ დაივიწყა და ღიღინით დაიწყო. დაიწყო, ავყევით და აღარც ზანგი გვახსოვდა უკვე, აღარც ტერასა და აღარც ის ნიძლავი, სიმღერის დემონმა მოგვიტაცა სამივე.

როცა სიმღერა ჩავათავეთ, როცა ალყაშემორტყმული განწირული მეციხოვნეებივით ვიდექით ამდენი სეირის მოყვარე ადამიანის წინ და მათ აღფრთოვანებულ ყიჟინას ვისმენდით დაბნეულები, როცა გახარებული სალომე კიდევ ერთხელ ჩაგვეხვია სამივეს, მერეღა ვკითხეთ ბიჭებს, რას შვებოდა ჩვენი ზანგი, სცადა მაინც რამე თუ არაო. ბიჭებს გაეცინათ, სცადა კი არა, შეხედეთ, რა სახე აქვსო... სიმღერა რომ დაიწყეთ, ჯერ თვითდაჯერებული ღიმილით გისმენდათ, მერე თანდათან ღიმილი გაუქრა, თვალები გაუფართოვდა და მგონი ახლაც გაოგნებულიაო.

მართლაც ასე იყო, წესით და კანონით ჩვენი იყო ნიძლავი, მაგრამ თურმე სადა ხარ, ამერიკელები არ აპირებდნენ ასე ადვილად დანებებას. აგვიხირდნენ, ჩვენ ფოლკლორზე დავნიძლავდით, რითი ამტკიცებთ, რომ ეს სიმღერა ხალხურია და არა ვინმე ვირტუოზის მიერ საცირკოდ შექმნილი ნომერიო. წარმოუდგენელია ასეთი რამ ხალხს ემღეროსო. აგერ, ამდენი მომღერალია, ამათაც ვკითხოთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყველა ამავე აზრისააო.

წამოვენთეთ, მაგრამ, მართლა როგორ გინდა დაამტკიცო? ლექციას ხომ არ ჩავატარებდით ქართული სიმღერის ტრადიციებზე?

ჩვენ ხომ საქმის ამგვარ შემოტრიალებაზე არც გვიფიქრია. ურთიერთნდობას თავისთავად ვგულისხმობდით და როცა ეს ნდობა გაქრა და როცა ჩვენთვის ყველაზე ძვირადღირებულ პატიოსნებაში ეჭვი შეიტანეს, ბუნებრივია, გავღიზიანდით და არგუმენტებიც ბრინჯივით დაგვებნა. ვინ იცის, სადამდე შეტოპავდა ჩვენი კამათი, უეცრად ვილიამ კიისერი რომ არ ჩარეულიყო საქმეში.

- მომისმინეთ, გეთაყვა, - წინ გამოვიდა ვილიამი - მე ინგლისელი ვარ, თავიდანვე ვიცოდი, რომ განწირული იყავით. მომავლისთვის დაიმახსოვრეთ, ქართველებთან ნიძლავის დადება არ შეიძლება, ისინი ყოველთვის მოიგებენ, მართლები არიან და იმიტომ. ისინი შეიძლება დაჩაგრო, თუ კი შეძლებ, მაგრამ ნიძლავს კი ვერ მოუგებ. მე პირადად მათთან სანაძლეოს დადებას ვერასოდეს გავრისკავ. მე ისიც ვიცი, რომ მათთან სოფლებში მომღერლები გასაოცრად მღერიან, უფრო გასაოცრად, ვიდრე ესენი, მაგრამ ეს ხალხი მათ კი არ ენიძლავება, მოწიწებით ექცევა და სიმღერებს სწავლობს მათგან. უნდა ხვდებოდეთ, რომ როცა თქვენ მათი არ გჯერათ, ისინი შეურაცხყოფილნი არიან. ვიცი, თქვენთვის ძნელია ამის გაგება, მაგრამ ასეა. სამი ათასი წელია ისინი ასეთ სიმღერებს მღერიან და სამი ათასი წელია არ ცრუობენ. სამი ათასი წელი რომ სიმღერა იქმნება, მკრეხელობაა ათ წუთში მისი მღერა მოინდომო. მე ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ჯერ ინგლისური უკეთესად უნდა ისწავლოთ, შემდეგ ხალხის პატივისცემა და მხოლოდ მერე იფიქროთ სიმღერაზე. დამიჯერეთ, თქვენ ეს თავხედური ნიძლავი პირწმინდათ წააგეთ. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ რადგან ამას ვერ იჯერებთ და დამარცხებას ვერ ეგუებით, მე ვთხოვ ქართველებს კიდევ იმღერონ რამე, საბოლოოდ რომ დაგარწმუნონ თქვენი თავდაჯერებულობის აბსურდულობაში. ისინი სიმღერის მეფეები არიან და ვიცი ამას გააკეთებენ. მეფეებს ხომ მიმტევებლობა და დიდსულოვნება სჩვევიათ. და, თუ ამ სიმღერასაც ვერ აჰყევით, მინდა დავიჯერო, რომ, ქართველებს, გამარჯვებას პირველნი თქვენვე მიულოცავთ, ო, კეი?! ჯერ იმათ გაუღიმა ვილიამმა, მერე კი ჩვენც გადმოგვხედა ეშმაკურად და თან თვალიც ჩაგვიკრა.

ამერიკელებმა კი, ყურადღებით რომ უსმენდნენ ვილიამს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს რაღაც-რაღაცეები, მერე ისევ ზანგი გამოწინაურდა და ყველას გასაგონად, უფრო კი ვილიამის საპასუხოდ თქვა - ქართველებს შეუძლიათ აღარ იმღერონ, ჩვენ წავაგეთ, ძალიან ვწუხვართ, რომ ეს თავიდანვე არ ვაღიარეთო...

აბა ჩვენს ჭანჭიკებმოშვებულ გრძნობებს კიდევ ეს უნდოდა? ეჰ! ეტყობა იმდენად ვართ ბოდიშის მოსმენას გადაჩვეულნი, რომ აშკარად ავღელდით და წუთის წინ მოსაკლავად თუ არა, გასალახად აშკარად გამეტებულ ამერიკელს, იქით დავუწყეთ დამშვიდება, არ გეწყინოთ, ბიჭებო, მოდი ძმებად დავრჩეთ, ყველაფერი ხდება, წაგებაც და მოგებაც ხომ ძმებიაო. ვილიამის თხოვნას კი მაინც შევასრულებთ, იმიტომ კი არა, რამე დაგიმტკიცოთ, უბრალოდ ჩვენი მეგობარიაო... და ალი-ფაშა დავიწყეთ!

„ოიდა ალი-ფაშამ გვიღალატა...“ ხმელთაშუა ზღვას გადაეკიდა მშვილდის საბელიდან ასხლეტილი ქართული სიმღერა.

- როცა შურისძიება კიდევ ერთხელ შედგა, როცა მოღალატე ალი-ფაშა კიდევ ერთხელ ბაწრით ჩაითრიეს გემში, როცა მისმა განწირულმა კივილმა სუფსის გაღმა ბაილეთელი გურულები კი არა, ხმელთაშუა ზღვის გაღმა პირქუში სიცილიელები შეძრა, როცა ტერასაზე ხალხის ხელახალი ყიჟინაც დაცხრა, უეცრად სალომე, ჩვენი პატარა ქალბატონი წამოდგა, კოკა-კოლას ბოთლის ქვემოდან ყველასგან დავიწყებული ფული გამოაძრო, ათასი ფრანკი ნერვიულად გადათვალა, მიუტრიალდა იმ ჯერ კიდევ საგონებელში ჩავარდნილ ზანგს, ფუ-ლი პერანგის ჯიბეში ჩაუჩურთა, მერე ისე, რომ ხელი უკან აღარც წამოუღია, თითი მიაბჯინა მკერდზე და უცნაური სიამაყით უთხრა: - კარგად მოისმინე და სამუდამოდ დაიმახსოვრე, შენ რომ ასე იმღერო ჩემნაირი სისხლი უნდა გედგას ძარღვებშიო...

მოტრიალდა მერე, სათითაოდ შეგვათვალიერა, უეცრად მკლავი მიიფარა თვალებზე და ისტერიულად ატირდა.

მაშინვე ვეცით, ვეფერებით, გულში ვიხუტებთ, ვამშვიდებთ, ვაწყნარებთ, აბა ინგლისური ვიღას ახსოვდა, ქართულად, ქართულად ვემუდარებით - სალომე, აბა შემოგვხედე, ჩვენო მშვენიერო, ჩვენო საყვარელო, ჩვენო პატარა ქალბატონო, კარგი ახლა, დაწყნარდი, ჩვენა ვართ, შენი მამიკოები, შემოგვხედე და დაწყნარდი, ხომ დედა ვუტირეთ ყველას? ხომ გაგიხარდა? ჰოდა აღარ გინდა, ნუ ტირი, დამშვიდდი, გაიღიმე, ოღონდ გაიღიმე, ოღონდ ღიმილი დაგვანახე და მთელი ღამე შენთვის ვიმღერებთ. აბა ზევით აიხედე, რამდენი ვარსკვლავია, თუ არ გინდა, ნუ შეხედავ, ოღონდ დამშვიდდი. გინდა წამო ზღვას გადავხედოთ, აქაურობას საერთოდ მოვცილდეთ. მერე საქართველოშიაც წაგიყვანთ...

ვერც ერთი ვეღარ ვაფიქსირებდით, რომ სალომეს ისევე არ ესმოდა ჩვენი, როგორც ღვიძლი მამის სიკვდილისწინა ქართული. კინაღამ გულიც ამოაყოლა ცრემლებს, თან აშკარად რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ბაგეებს მომდგარ სიტყვებს ზღვად მომსკდარი ცრემლები ახრჩობდა. კარგა ხანს იწვალა, სანამ მოახერხა და სლუკუნს ამოაყოლა:

გამარჯობა მამა! გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა!

* * *

იცით, მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, ჩემი თვალით ვხედავდი და იმიტომ:

- სალომეს ძარღვებში მეოთხედი სისხლი ერია ქართული, მაგრამ როცა ტიროდა, მეოთხედი ცრემლით ნაღდათ არ უტირია.

**თემურ ჭკუასელი**

---

# მე საგზლად წისქვილის სითბო და სიყვარული მომქონდა!

„რაც ვილაპარაკე, ესეც ზედმეტია. გულახდილობა ხანდახან უზრდელობაა, რაც იყო, იყო, გაზიარება რა საჭიროა, ჯობია, ყველაფერი ჩემთან დარჩეს“, - მითხრა თენგიზ არჩვაძემ და რუხად ჩამოწოლილ დღეს შუბლშეჭმუხნილმა გახედა... ინტერვიუ დასრულდა... მანამდე კი პარკში ცოტა ხალხი იყო, უმრავლესობა სპორტულ სამოსში გამოწყობილი დარბოდა, ან ჩქარი ნაბიჯით დადიოდა - ჯანმრთელობას იკაჟებდნენ. ჩვენ კი ვსაუბრობდით... არც მიფიქრია, რომ მისი ცხოვრება, როგორც ერთი დღე, თვალწინ გადამეშალა - ბევრი რამ დარჩა ამ საუბრის მიღმა... მაგრამ მაინც, რაც ითქვა, ყველაფერმა გულზე გაიარა, ამიტომაც დიდი თავშეკავების მიუხედავად, მაინც არ გამომპარვია, რომ ღელავდა. წარსულზე ფიქრები აეშალა და გუნებაც დაუმძიმდა...



**ჩემი გარიჟრაჟი**

განცდა ასუფთავებს შინაგან სამყაროს, ან დადებითად მოქმედებს, ან - უარყოფითად, სულ დაღუპავს კაცს. მნიშვნელობა აქვს, როგორ ხვდება ის ცხოვრებას, როგორ არის მომზადებული, საგზლად რა ჩაუდეს, ხმიადი გამოატანეს, თუ მოხარშული დედალი, ან შემწვარი გოჭი... შემწვარ-მოხრაკული ცუდად მოქმედებს, ჯობია ხმიადი გქონდეს საგზლად - ეს ხმელი პურია. გინახავთ? მთაში აცხობენ...

პირველად რაჭაში რომ ჩამიყვანეს, 8 თუ 9 წლის ვიყავი. ბებია-ბაბუა მყავდა იქ, დედულების მხრიდან. იქ მომისწრო ომის გამოცხადებამ. ბებიას პატარა წისქვილი ჰქონდა. დავყავდი ღამით, საფქვავს რომ წაიღებდა. მეორე ბებიასაც ჰქონდა წისქვილი. წისქვილთან, როგორც სულიერ არსებებთან, ისე მივდიოდი ხოლმე.

მე საგზლად წისქვილის სითბო და სიყვარული მომქონდა. რატომ წისქვილის? ყველაფრის ახსნა რა საჭიროა. მთელი სამყარო უნდა ამოვატრიალო, ამისი ახსნა რომ დავიწყო. ჩემთვის წისქვილი პატარა სამყაროა თავისი სარეკელათი... „და სარეკელას მადლიან ენით წისქვილი ჰყვება მოსავლის ამბავს“, - გახსოვთ ლადო ასათიანის ეს სიტყვები? წისქვილი ათას რამესა ჰყვება. ფქვავს... სარეკელა კაკუნებს.

ჩემი პირველი მოგონებებიც წისქვილიდან იწყება. მართალია, თბილისში ყოფნის დროიდანაც მახსოვს რაღაცები, მაგალითად, მამას რომ დავყავდი კოჯორში, წაღვერში, მაგრამ ასეთი მძაფრი მოგონებები არ დამრჩა.

მამა რევოლუციამდე ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა, ჭიათურაში გაზეთშიც თანამშრომლობდა, ქვრივიშვილის ფსევდონიმით იბეჭდებოდა. დედამისი ქვრივად დარჩა და მაშინ მოდაში იყო ასეთი ტიპის ფსევდონიმები - მამაშვილი, მუშიშვილი... მერე ბოლშევიკებმა დააშინეს და მიანება ყველაფერს თავი.

მამა მკაცრი თუ იყო? არა... არც არაფერს ვაშავებდი და მკაცრი რატომ უნდა ყოფილიყო? „ამირანდარეჯანიანს“, „როსტომიანს“ მიკითხავდა... უმეტესობა ზეპირად ვიცოდი.

დედა დიასახლისი იყო, ბაქოში, ქართველების კოლონია რომ იყო, იქ ცხოვრობდა. მამა შუატანის კაცი იყო, ძალიან მომხიბვლელი. მე დედას უფრო ვგავდი... სამი წლისას მისწავლია წერა-კითხვა. მამასთან ძალიან ახლოს ვიყავი. ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. თავდავიწყებით მიყვარდა ლიტერატურა. ჯავახიშვილი და რობაქიძე რომ აკრძალული იყო, ჩვენ შინ გვქონდა 1914, 1916-17 წლებში გამოცემული წიგნები, გალაკტიონის „არტისტული ყვავილები“... მამა მარიგებდა, ამაზე კრინტი არ დაძრაო და მეც გარეთ სიტყვა არ მითქვამს... კარგად ვხატავდი და სკოლის გაზეთებს მაფორმებინებდნენ.

IX კლასში რომ ვიყავი, გადავწყვიტეთ, გამოგვეცა არალეგალური გაზეთი. მასალები დაწერილიც კი გვქონდა. ერთ-ერთი მეგობრის დედის ძმამ, კვასხვაძე იყო გვარად, გადაგვარჩინა, - ეგ არ გაბედოთ, თავს დაიღუპავთო... კიდევ კარგი, თორემ ომის შემდგომ წლებში ამას რა მოჰყვებოდა, ხომ იცით...

ვორონცოვზე დავიბადე და გავიზარდე, ჩვენ გვერდით გერმანელი ებრაელის - მიხეილ როიტენბერგის ოჯახი ცხოვრობდა. ბრწყინვალე ხალხი იყო. მათი წყალობით რუსულიც ადრე ვისწავლე. ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ, ომში წაიყვანეს. აღარ დაბრუნებულა. რომ წამოვიზარდე, თავისი სითბო და ყურადღება ჩემზე გადმოიტანეს.

საერთო დიდი აივანი გვქონდა და საერთო სამზარეულო. იქ გვედგა ნავთქურები და ერთად მზადდებოდა სადილი. მაშინ თბილისში თითო-ოროლა მანქანა დადიოდა. მიხეილს შავი „ემ ადინი“ ჰყავდა. მოაყენებდა ამ მანქანას, ჩაგვსვამდა ბავშვებს და გვასეირნებდა, მუშთაიდში წაგვიყვანდა, ფუნიკულორზე აგვიყვანდა... კანფეტებს გვიყიდდა. მერე სურამში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ ცხოვრობდნენ პატარა სახლში, ჩავდიოდი ხოლმე მათთან. თუ გასვლითი სპექტაკლი იყო და აფიშებზე ჩემს გვარს ნახავდნენ, დიდი სიხარულით მეგებებოდნენ. ამ ურთიერთობას სიტყვები აღარც სჭირდებოდა.

**ჩემი შუადღე**

ბავშვობა კარგია, მაგრამ ის პერიოდი მირჩევნია, როცა ცნობიერება უკვე ჩამომიყალიბდა, წიგნის ფასი გავიგე. ჯერ ყმაწვილობაა, მერე მოდის ჭაბუკობა, ჭაბუკობა მირჩევნია ყველა დროს.

მამას არ უნდოდა ჩემი მსახიობობა, მერე შეეგუა - რა უნდა ექნა... სპექტაკლებზე მოდიოდა, ერთ ბილეთს აიღებდა და დაჯდებოდა, მიყურებდა. რატომ არ ვეპატიჟებოდი? როგორ დავპატიჟებდი ჩემს სპექტაკლზე, მოდი და მიყურე-მეთქი, ვერავის ვეტყოდი. საერთოდ, არც დაბადების დღეზე, არც საღამოზე არ დამიპატიჟებია არავინ. ვინც მოვიდოდა, ყველას სიხარულით ვიღებდი, სახლის კარიც ღია მქონდა და გულისკარიც. ჩემს სოფელშიც კლიტე კი არ მაქვს, პატარა ჩხირს ვუყრი ურდულში და ისე ვტოვებ.

ინსტიტუტში ცოტანი ვიყავით, კურსზე ათი კაცი. სარეჟისოროზე სულაც 5 კაცი სწავლობდა. თბილისიც პატარა იყო. ახლა გახდა უშველებელი ქალაქი.

მამა რომ 51 წლისა შესრულდა, ძალიან მეშინოდა, რამე არ დამართოდა. ამას როგორ ვიტყოდი ახლობლებში... ბაბუაჩემი მოკლეს 51 წლისა და შიში ამეკვიატა, მამასაც იგივე ხომ არ მოელის-მეთქი. მას მერე კიდევ 40 წელი იცოცხლა მამამ.

ჩრდილოეთში ვიყავი და იქიდან დავბრუნდი. თან შამპანური მოვიტანე. მამა უკვე მოხუცი იყო, რად გინდოდა, რომ მოიტანე, ხომ იცი, შინ კახური ღვინო გვაქვსო. ველისციხიდან უგზავნიდნენ მეგობრების შვილები. თითო ბოთლი ღვინო მივირთვით ვახშამზე... მამამ - მე მოვისვენებო. წავიდა თავის ოთახში. ცოტა ხანში დედას ვთხოვე, არ გაცივდეს, გადააფარე რამე-მეთქი. მამამაც გვერდზე იცოდა წოლა და არ დაიფარებდა ხოლმე, მეც ასე ვიცი. შემობრუნდა დედაჩემი და დაიწყო სუფრიდან ხორცის ალაგება. მივხვდი, ცუდად იყო საქმე, აღესრულა-მეთქი? თავი დამიქნია... აი, ასე წავიდა მამა..

ხელმოკლედ ვცხოვრობდით, რანაირად გაგვქონდა თავი, არ ვიცი. ქართველიშვილის 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ აბრეშუმის ყდითა და ზიჩის ილუსტრაციებით ერთ „ბუხანკა“ პურში გაყიდა მამამ, სხვა რომ აღარაფერი გვქონდა გასაყიდი. მაშინ კარგად გამოვკითხე მამას, ვის მიჰყიდა წიგნი. ჩავიწერე, რომ არ დამვიწყებოდა. უკვე ფეხზე კარგად რომ დავდექი და შემოსავალი გამიჩნდა, მოვძებნე ის კაცი. სოლიდური თანხა მთხოვა, მანქანის ფული იყო მაშინ. გადავუხადე უსიტყვოდ... მამაჩემის ფაქსიმილეთი იყო ის წიგნი... საოცარი კალიგრაფია ჰქონდა.

მიყვარდა კარგი ტანსაცმელი, ვხატავდი და იმის მიხედვით ვაკერინებდი მკერავს. ქსოვილს მამა ყიდულობდა ჩემთვის...

25 წლისა მამა გავხდი... მაგრამ, რაც უნდა გაგიკვირდეთ, განსაკუთრებით უფროსის კი არა, უმცროსი ქალიშვილის - ნათიას დაბადება მახსოვს. კამოზე, დათიკო ბიბილეიშვილთან მივიყვანეთ ჩემი მეუღლე. გარეთ მე და მისი ძმა - 14 წლის ყმაწვილი ველოდებით. დიდი დერეფანი იყო, იქით შესვლა არ შეიძლებოდა. მოდის დერეფანში დათიკო და მეძახის:
- მომილოცავს, თენგიზ-ბატონო, გოგოა, გოგოო! ისე მილოცავ, დავით-ბატონო, თითქოს პირველი გიორგი საააკაძე მყავდეს-მეთქი. ჩემი ცოლისძმა მოვიდა, რა ხდებაო... გოგოა-მეთქი და თურმე ისე მომიჭნევია ხელი, ყბა ამოუვარდა... მეგონა, ხელი მოვუთათუნე და თურმე რა მიქნია, ნათიას დაბადების სიხარულმა შეგრძნება დამიკარგა.

დავადგებოდი გზას და სამ საათში გადავდიოდი კოჯორში, 12 კილომეტრს გავივლიდი, მუხლს არ ჩავიხრიდი. დავჯდებოდი, მზის ამოსვლას ვუყურებდი. თუ დრო მქონდა, მივიდოდი რაჭველ ხაბაზებთან და ძველ ამბებს ვაყოლებდი. პური იმათ ჰქონდათ, ღვინო მე ამქონდა. იმათაც უხაროდათ, მეც.

ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად კოჯორში ვქეიფობდი. თამადა ვიყავი. ზამთარი იყო. გამაბრაზეს, არ დაწყნარდნენ. გაჩერდით, თორემ წავალმეთქი... სად წახვალო, - არ გაჩერდნენ. გამოვედი ღამით და წამოვედი. გამოვიარე უძო. კიდევ კარგი, მთვარიანი ღამე იყო... დავადექი გზას და ჩამოვედი ბაგების სასაფლაოზე. ჩემი მეგობრის სპარტაკ ჯეჯელავას ვაჟი იყო დასაფლავებული ბაგებში. გავედი მის საფლავზე, დავკრიფე ყვავილები, აქა-იქ თოვლში რომ ამოეყოთ თავი და დავაწყვე საფლავზე. მერე ფეხით წამოვედი ვარაზისხევში, ჩავედი სპარტაკის სახლამდე. ხომ მშვიდობააო, - გაგიჟდა სპარტაკი. ვუამბე, კოჯრიდან მოვდივარ-მეთქი. გიჟი ხარო... საქციელი კი არის გიჟური, მაგრამ ასე იყო-მეთქი.

ბევრს ვუყვარდი? რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცი... წერილები კი მომდიოდა, მაგრამ არ ვხსნიდი, მეუღლე კითხულობდა, მე არ ვიცი, რა ეწერა იმ წერილებში...

**ჩემი სალამო**

იყო დრო, მარჯანიშვილის ქუჩაზეც კი არ დავდიოდი, არ შემეძლო. ახლა ასე აღარაა... თეატრის დღეზეც კი ვიყავი. პატივი მოგვაგეს რამდენიმე პიროვნებას და მარჯანიშვილის სახელობის პრემია მოგვცეს. ჯიუტი ვიყავი, ახლაც ჯიუტი ვარ. შინაგან მრწამსს არ ვღალატობდი და არც არაფერს ვთმობდი. ახლაც „რა გინდ რომ ავი მომკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“... თუ თავისუფალი არ ვარ, რასაც ვაკეთებ იმ საქმეში, დაუმორჩილებელი ვხდები, განზე გადგომა ვიცი.

ისეთ უბანში ვცხოვრობდი, ნათესავებივით ვიყავით ყველანი. დიდი გაჭირვება იყო, მაგრამ ადამიანური სითბო მეტი გვქონდა. არ ვიცი, ახლა მე განვკერძოვდი და მარტო დავიტოვე ჩემი თავი, თუ აღარ მესმის ამ ქვეყნისა... ერთ ოჯახს რომ სტუმარი ეყოლებოდა, მთელი ეზოს სტუმარი ხდებოდა ის. ახლა სურვილიც აღარ არის, გავიგო, ვინ ცხოვრობს ჩემს სადარბაზოში... რისი ბრალია ეს? მე კი ვხვდები, რისი ბრალიცაა. სასტიკი გაუცხოება დამკვიდრდა, ამას ხელი შეუწყო ჩაკეტილმა სადარბაზოებმა, რკინის კარებმა, საჭვრიტინოებმა.

უმეტესად უგუნებოდ ვარ. აგვისტოს ომმა სულ გამანადგურა. სოფლად ვიყავი, რომ გავიგე, რაღაც ამბავიაო, იმ დღეს გამოვისტუმრე შვილები. რომ მითხრეს, იგოეთიდან აქეთ მოდიან რუსის ტანკებიო, მანქანით წამოვედი. ღამით არ დავდივარ ხოლმე, განათება არ უვარგა მანქანას... ცხადია, აღარ დაგიდევდით არაფერს. წამოვედი. ჩაშავებული იყო ყველაფერი, ჩვენი ტანკების კოლონა მოდიოდა უკან. დაველაპარაკე... ხმა არ გამცა არც ერთმა, ახრჩობდათ ბოღმა. უხმოდ მოდიოდნენ... ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი მწუხარება, შავი დღე, ხერხემლის გადალეწვის ტოლფასი...

**გზავნილები**

ყმაწვილობა, ჭაბუკობა - ახლა აღარ ხმარობთ ამ სიტყვებს, თინეიჯერობას ეძახით. რატომ? ან რეგიონს რატომ ამბობთ? რა არის რეგიონი... თქვით რა: საჩხერე, იმერეთი... ან „მხარე“, ან „კუთხე“ იხმარეთ... რომ მესმის რეგიონი, სულ აღარ მინდა არსაით გახედვა. კიდევ სხვა სიტყვებიც მიშლის ნერვებს, რომლებიც დააკანონეს. რატომ აკანონებთ ამ უცხო სიტყვებს? ქართული ენა ღარიბია და არ ჰყოფნის სიტყვები, გამოხატოს სათქმელი? ნიკო მარი ხომ გახსოვთ, რომ ამბობდა, ქართულ ენაზე მდიდარი ენა მსოფლიოში არ ვიციო...

**ლელა ჯიყაშვილი**

იგი ალიონის გამოღვიძებულ მშვიდ სუნთქვად გარდაიქცა და წვიმის გამოლეული გამონაწრეტი გადმოაფრქვია მთვარის ფერმკრთალ გამოსახულებაზე, რათა დილის ნამი ეპკურა გარემოსთვის. სურნელი ქარის იკრებდა ყველაფერიდან ყველაფრით შემოსილ საყნოსებელს და მოდიოდა გათენება ქარის ხერხემალში ნაგრძნობი გამონათებით. მედეამ თანდათან შეამჩნია, რომ იგი ტყის პირას იყო დაბინავებული, მის წინ კი გადაშლილიყო თვალუწვდენი მინდორი, სადაც ბალახი დილის ნამით შეცვარულიყო და მაღლა ასულიყო ნისლეული ფიქრები მთელი ღამის მონაქროლისა.

ეტყობა ღამეც დაღლილიყო თავისი სიღამით და მთვარეც თავისი პირველქმნილი სინორჩით ღამისმთეველივით გამოიღვიძა ღამის მიწურულს, რადგან ჩაეძინა სუსხში და დამალა გამოდარებამდე გრძნობიერი ნათი თავისი თვალების. მინდვრის სუნი გამთენიის სიგრილით განმტკიცდა, შემცივნებით რომ გამოიჩინა თავი, რითაც ცხოვრებას ამზადებდა ახალ დღესთან შესახვედრად. არ ჰქონდა მნიშვნელობა როგორი დღე იქნებოდა იგი, მთავარია ღირსებოდა თვით ცხოვრებას გათენება, როგორც ასეთი. რეალობის შეგრძნება წაშალა დღე-ღამის გასაყარმა და თვალი მოსჭრა მრავალფეროვნების სიუხვისაგან ღამით დანასვენებ გონების მესამე თვალს დღის-წულის ჭრელთვალა მზერამ, რომელიც მგლის-ფერიდან იფერებოდა მრავალ-ფეროვნებით, მგლის-ფერში იმალებოდა ღამის სიბინდე, და მიტომ. გონებაც დაჰყვა ბუნების დღიურ სინედლეს.

რაღაც წამებში არ არსებობდნენ მკვდრები და ცოცხლები, სიხარული და მწუხარება, იყო მხოლოდ სრული განფენილობა გათენებისა... და ტკბებოდა მარადნატრულივით ქალი, და არა დედა, დამდგარი გათენებით, ჯერ რომ ისევ და ისევ ღამე ებღაუჭებოდა სივრცეს, რათა არ წასულიყო თვალსაწიერიდან. ელვის ნატეხივით გაიკვესა დალის თვალებმა და მისმა ბრწყინვალებამ შუქი დაუკარგა ქვას,- და ქვა მოკვდა დალის გაცისკროვნებაში. მისი ოქროვანი ნაწნავები გადაევლო ძალას დაბადებისას და მშობიარობის ტკივილით მოდიოდა ახალი დღე, რათა ტკივილი დაბრუნებოდა დედას და არა ქალს, კლდე-ჭაბუკი რომ ეშვა საკუთარ თავში და ბოლოს დამსხვრეულიყო ერთბაშად სხეულში გამოტარებული ღამის გათენება. ვაზის ვაჟი ანუგეშებდა მწუხარებაში. მაინც სიცივემ აიტანა ქალი, გამოდიოდა ბურანიდან და ტყიურობის იდუმალება გულს ჩარჩენოდა და ხედავდა მარადი ბნელით მოსილ ტყეს. ასეთი ტყე იყო მთელი სამყარო, დალს რომ არ გამოენათებინა. სუსხის სურნელი ტანში გაჯდა და ყნოსავდა ლეგა ღრუბლებში ფერებშეჭრილ სამყაროის მრავალსახოვანების სურნელს და მან იმ წუთებში იცოდა, რომ თავი დააღწია წყვდიადს და ყველაზე ლამაზად თენდებოდა მის ცხოვრებაში.

არ უყივლია მამალს; იგი ან შეშინებული იყო მთელი იმ ღამის კოშმარის გამო, ან არადა არ ეყივლებოდა უბრალოდ. მდუმარებაში იწყებდა მზე ამოსვლას, მაგრამ არც იგი ჩქარობდა მაინცა და მაინც გამონათებას. დანატრულიყო მედეა დილას, სულ ერთი იყო მისთვის ხმაურიანად გათენდებოდა, თუ სიჩუმეში, გარინდებაში, თუ დუმილში - და ეს მაშინ, როცა სიჩუმეს თავისი წარმტაცი ხიბლი გააჩნია, რითაც ადამიანი სიზმარეული ჩვენებიდან გამოყოლილს თავის ხალისს ნელი-ნელ მოიმარჯვებს, გარინდებაში უჩვეულო წამიერება გამოჰკრთის, სადაც ერთბაშად ახმაურდება სიცოცხლე; დუმილით კი ყველაზე მძიმე სატკივარს ეგებები, სადაც ყვირილი უძლურია და მხოლოს სულის შემძვრელი დუმილია დამძლევი დილისეული ცხადების.

სიცივის სურნელი სულ ერთბაშად შეიგრძნო სხეულმა და უკანასკნელმა თრთოლამ შეიპყრო, სადაც სიცივეც აღარ იყო არასფერ შუაში ამ თრთოლასთან. ხმის ამოღება უნდოდა, რათა დაერღვია დუმილის მრისხანება, ან ემღერა დალისთვის, მზე-მთვარის ღვთაებათათვის. სული არ უშვებდა ხმის ამოსაღებად, რადგან იგი ჯერ კიდევ ის გაუტეხელი მედეა იყო, რომელმაც თავისი ქვიური ალერსით გააპო ღამე. სიცივის სუსხმა სიმჟავის სურნელი გამოყო სადღაც რომელიღაც სივრციდან აღებული საყნოსებლიდან. ეს სიმჟავე აქა-იქ სიმლაშის გემოს ტოვებდა ფილტვებში და მედეა მიხვდა, რომ სადღაც ახლომახლო ზღვა იყო და ზღვამ ფრთოსანი აფრებით გაიტაცა მეხსიერება ზღვის გაღმა ნაპირებთან და იქ მშობლიურ სავანეში ჩაძირა მისი ტკბილსახსოვარი, სინამდვილეზე უნამდვილესი რომ იყო შეგრძნებანი სამშობლოსი. იმ სიტკბოების გემომ ერთბაშად გადაწვა ფიქროვანი აფრები ქალის და სინამდვილეში გახიდული დატოვა უმწეოდ და მიუსაფრად.

იარა მან ფასკუნჯოვანი სიძლიერით, ქვენა-ქვეყნიდან ზედაპირზე რომ ამოსულიყო. ყველა ტვირთი იმ ქვენა-ქვეყანაში დაეტოვებინა და ზე-გარდმო განთავისუფლებულიყო გრძნობებისაგან, რათა ემზირა მხოლოდ და მხოლოდ გათენებისათვის. იგი ამისი ღირსი იყო, დაიმსახურა ყველაზე დიდი ღამის საფასურად ეს განტვირთვა, და მიტომ. ამ განთიადის პირს ერთმანეთს შეენარცხა სითბო და სიცივე, ანუ სიტკბო და სიმწარე. ისინი ჰაერში ტრიალებდნენ ერთმანეთის მონაცვლეობით, რათა რომელიღაც მათგანი საბოლოოდ დამკვიდრებულიყო სულში. მედეამ გულით შეისუნთქა სითბოცა და სიცივეც. მან იცოდა, ძალიან კარგად იცოდა, რომ გულში ჩაბუდებული სუნთქვა, და სწორედ ეს - ამწუთიერი სუნთქვა გაუიოლებდა ცხოვრებას, რადგან შვილების უკანასკნელ ამონასუნთქს ჩაისუნთქავდა და ჩაიკრავდა სამარადჟამოდ თავის სხეულში მარადი ტკივილად და მარადი სიტკბოდ, ვიდრემდე ექნებოდა საშუალება ესარგებლა თავისი სხეულით და იმის იქითაც არ განშორებოდა მკვდარი ბავშვების სუნთქვას.

უკვე ცას ჰქონდა შეთვისებული მგლის-ფერი, ხოლო ქვეყნიერებაზე ლაგდებოდა თავ-თავიანთ ადგილას ყველა ფერები ყველაფერში და იმზირებოდა ნათი დღისა. ღამეში ნამძინარევი მთვარე დღის-წულის გაცისკროვნების თვალისმომჭრელ გაღვიძებაში იკარგებოდა, როგორც უდღეური ბავშვების არდაცლილი სიცოცხლე. გათენების სიხარულმა გულით ნასუნთქი მთელი ღამის ჭვარტლი ერთბაშად დაცალა გულიდან და ალიონმა გულისძგერა დაამშვიდა. კეთილსურნელება ტრიალებდა გარემოში, რომელიც შევსილიყო ენით უთქმელ არაფერთან შედარებული თუ შეფარდებული ყველაფრის სურნელთა ერთობლიობით. ერთის სიტყვით, აქამომდე ჯერარგანცდილი კეთილსურნელება დატრიალდა ქვეყნიერებაზე, ყველაზე მომხიბლავი განთიადი დგებოდა სამყაროში, და მიტომ. ეს არ იყო სიკვდილის საყნოსებელი, ან ქარის სურნელება, რომელიც ერთბაშად შეიძლებოდა მთელი ქარი ქალით შთანთქმულიყო. ამ სურნელებაში უთუოდ ღმერთის მოახლოვება იგრძნობოდა. იგრძნობოდა ისიც, თუ როგორ მიიმალა ზესკნელში წამიერებასავით ღამის პირზე გამოჩენილი ვარსკვლავები მთვარის თაოსნობით, სულ მალე რომ მიიხურა მან ასტრალეთის კარი და დაიმალა ისევე, როგორც იმ დიად ღამეში. იგრძნობოდა მგლისფერის დაკარგვა ცაში და სილაჟვარდის გადაბრწყინებამ მოასწავა მზის გამოჩენა.

ტყის პირზე ნისლი მაღალ ხეებს ზემოდან დაჰყურებდა და მიიპარებოდა სულ მაღლა და მაღლა და ღრუბლის გუნდებად დაცურავდა ცაში. ეს გუნდები ათასნაირ გამოსახულებას ედარებოდა - მიწიერებაზე განცდანანახსა, თუ ჰაეროვან სივრცეებში გატარებულ ნაგრძნობალებს.

ზოგან ეს ღრუბლები ოქროსფრად ელავდნენ მზის სხივთაგან ალ-აკრულები,

ზოგან მუქდებოდნენ მიწიერი წყლის სიმძიმილით დატვირთულები,

ზოგან წითლდებოდნენ სინათლის სხივების ირიბი დაცემით,

ზოგან კი მწვანდებოდნენ ცის სრულ სილურჯესთან შერწყმის ადგილას.

ჩრდილებმა ფერადოვნების ვიბრაცია წარმოშვა, რადგან თვით ჩრდილებით მეტყველებდა ნათი ფერადოვნებათა ტონალობაში გადასული. ამით სივრცის განფენილობაც მკვეთრდებოდა, მკვეთრდებოდა სიშორე-სიახლოვის წარმოსახვითი წარმოდგენები. მზემ აღარ დატოვა ფიქრსა და აზროვნებაში ეჭვები და შავი ლაქები, და მაინც იმ კოშმარული ღამისა. რაღაც-რაღაცას ეფარებოდა, მაგრამ დღის სინათლე ყველგან აღწევდა, მართალია, ზოგან მოგვიანებით, ზოგან ადრიანად, მაგრამ დილის ცხოველმყოფელობა ყველასთვის თანაბრად სანუკვარი იყო. განათება პირველად მზის გულზე გადაშლილ გარემოს, იქედან არეკლილი სხივები კი მზისგან თვალმოფარებულ ადგილებსაც ანათებდა... ასე ანარეკლებით მოედო განთიადი ქვეყნიერებას. ხმაური არ იყო, როგორიც დილის ჟრიამულია, არა, მზე თავისი მშვენიერებით სრულად წარმოჩენილიყო ცისიერზე, არა, ხმა ქვეყნიერებისა კი არ ისმოდა. ალბათ ეს მხოლოდ და მხოლოდ მედეას არ ესმოდა, რადგან მისთვის ყველაზე ბნელი დღე გათენდა.

## მეხუთე სათქმელი: შიშის გააფთრებული უხმო ყვირილი

საოცარი სანახავი იყო ბავშვებთან ერთად გათენების ხილვა, ბავშვები - საღ-სალამათნი გათენებასთან ერთად ეთერიული სხეულებით მოსილნი. ამ ცისკართან ერთად დაინახა დედამ შვილების სულები. მსგავსი იყო ერთი მეორესი, აღარ ტკიოდათ არაფერი სისპეტაკესავით იყვნენ გადაქათქათებულნი, ერთი ლაქაც რომ არ ეცხოთ იმ გამონაღამი ჭუჭყისა და სიბილწისაგან. დედა კი მიყრდნობოდა ზურგით ხეს, ხელში მკვდარი ბავშვის გაციებული სხეული ეჭირა, კალთაში კი მეორე შვილის ასევე მკვდარი თავი ედო და უმზერდა შვილების სულებს. გათენებამ მედეას წაართვა უდრეკელობა და იგი უნუგეშო დედად აქცია, ძალა გამოუწრიტა ღამემ და იგი უყურებდა ღამის შემოქმედებას - შვილების სულებს, მსგავსისა ერთმანეთისა. მედეა არ იყო მსგავსი შვილებისა. მსგავსმა მსგავსს მოუწოდა დედის სანუგეშოდ. მსგავსმა მსგავსს უპასუხა გარემოსთვის შეეხედნა დედას და დედამ შეხედა გარემოს -

და ვინ არ იხილა ამ დიდებულ გათენებაში - პატარა მფრთხალი ბაჭიები, თუ საშიში აფთრები. ერთ ჯალაბად შეკრებილიყვნენ მგელი და შველი - მშველი მანუგეშებელი. ფრთოსან ფრინველებსაც მხეცების რქებზე



დაედოთ ბინა, ბუდეები გაეკეთებინათ ირმის რქებზე. ლომების ღრიალს გაბმულ ჭიკჭიკა გალობას აყოლებდნენ ბულბულები და მერცხლები. არწივები, ქორები, ძერები და მიმინოები დაფრინავდნენ დილის მშვენიერების დარაჯად. ახლოს მდგარ ჭყონიდიდს დიდებულად გაებორჯა ცადაზიდული ტოტები და გაოქროსფერებული ბრჭყვიალა ფოთლებით შემოსილი ირგვლივ თვალისმომჭრელ ნათებას ჰფენდა. ზედ ათასნაირი ქვეწარმავალი დასრიალებდა და ჭყონიდიდი ნატვრის ხედ ქცეულიყო. მინდვრად ნარნარა ყვავილებს მწვანე ხასხასა ბალახებში ამოეყო ფერად-ფერადი თავები და პირმოცინარი ბავშვებივით შეჰყურებდნენ დიად განთიადს. მათი სურნელი თავბრუდამხვევ ბურუსში ხვევდა მიდამოს. თრობით გაბრუებული ფუტკრები თითოეულ ყვავილზე დაფრენილიყვნენ და ისრუტავდნენ დილის სურნელებას, სიცოცხლედ რომ ეფრქვეოდა სამყაროს. ბიჭებს ათასნაირად აჭრელებული პეპლების მთელი ამალა ეხვია, თავებს ისე უმშვენებდნენ, როგორც დიდებულ მეფეებს სამეფო გვირგვინი. ცაზე თავი მოეყარათ გაზღაპრებულ ციურ სხეულებს, მარადი მზე კი მგზნებარედ აცხუნებდა ნანატრ ნეტარებას. იქვე მუხის ქვეშ თავად იჯდა მარადი ბავშვების უიღბლო დედა.

იგი გაცხოველებული სიყვარულით შესციცინებდა შვილებს. თვალებში უკანასკნელი იმედის სხივი ქრებოდა. ლამობდა მედეა გახანგრძლივებულიყო ამ გათენების სიხარული და შვილების მზერით მოეძლო გული, რადგან იცოდა, რომ დათვლილი იყო წუთები ამ ხილვის სითბოსი. თითებს იკვნეტდა სიხარულისგან და ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. უღიმოდა დედა მკვდარ შვილებს და რაღაცას ელაპარაკებოდა და თვითონაც არ იცოდა რას. თვალებით შეუმჩნევლად ჩაეჭიდა შვილების სულებს და არ უნდოდა ჩამქრალიყო მზით მოსილი თვალის ჩინი მათთვის. მზე კი ამოდიოდა ვეება ტაატით და ჭრიდა თვალს, ასევე სახეზე ცრემლმდინარებას უშრობდა და ალაგალაგ გამოღამებისაგან მიშხეფებულ ტალახებს ახმობდა ლოყებზე, ნიკაპზე და შუბლზე. შესცინა მზესაც, იქნებ შემიბრალოსო და დამიბრუნოს მზემ შვილებიო. სასწაულები არ ხდებოდა ამ გათენებისას და ეს მაშინ, როცა ზღაპრები სინამდვილესავით ითხზვებოდა და ითქმებოდა.

მედეას სჯეროდა, რომ რაღაც უცნაურობამდე აღმასული მისი სიძლიერე გაიმარჯვებდა. ყველაფრით ეცადა დაეძლია ღამე და გადაერჩინა შვილები. ვერ კი მოახერხა, უძლური აღმოჩნდა სიკვდილის წინაშე. არადა, ბავშვობიდანვე ჩაგონებული ჰქონდა, რომ იგი მზის შთამომავალი და ღმერთების ნაწილი იყო. ვერ მოახერხა ამ „ღმერთების ნაწილმა“ ღმერთობა. რაც იყო მედეა ამ გათენებისას, სრულად გამოავლინა - იგი მიუსაფარი მკვდარი ბავშვების დედა იყო თავისი სიძლიერითა და სისუსტით. ბოლოს და ბოლოს მაინც მიხვდა, რომ უძლური იყო ბედისწერასთან და შესთხოვა შველა თავის შეგნებაში წამომართულ ღვთაებებს. მხურვალედ ლოცულობდა მედეა, რათა შვილების სულები განხორციელებულიყვნენ ისევ. აკი მრავლად უსმენია ქურუმთაგან ნათხრობი ღვთაებათა უძლეველობის შესახებ და მას სჯეროდა, რომ კოლხური ღმერთები იხსნიდნენ მას, ან ელადელთა ქვადქცეული სამლოცველოები შეიბრალებდნენ მის დედურ გრძნობას. არსაიდან არ მოიძებნა ხსნა. ღმერთებისგან გაწბილებული მედეა ახლა უკვე საბოლოოდ დარწმუნდა თავის გამოუვალ მდგომარეობაში და ერთბაშად გაისიგრძეგანა მთელი ტკივილი ამ მწუხარე განთიადისა.

უყურებდა შვილებს, როგორ მიდიოდნენ სიშორეთში და აცილებდა განუწყვეტელი მზერა და უსიტყვო თხოვნა თვალებისა „ნუ წახვალთო...“ თხოვნა, რამეთუ სხვა აღარა დარჩენოდა რა, რადგან ამოიწურა მისი ყველანაირი შესაძლებლობა შვილების დაბრუნებისა. მზე იწვოდა მედეას გულში, იგი კი შესაბრალისად უღიმოდა თავის შვილებს და აცილებდა მათ მარადისობაში. სასოწარკვეთით შესცინოდა და შეჰხაროდა დედა შვილების ყოველ გამოხედვას და უფრო მეტად მისი თვალებიდან განგაში იკითხებოდა. სრული დუმილი სუფევდა ირგვლივ, და ეს მაშინ, როცა დილის მადლით საზრდოობდა ფლორაც და ფაუნაც. ქარი აღარ ჰქროდა, მხოლოდ ნიავი შრიალებდა ფოთლებში,- და ესეც არ ესმოდა მედეას. მას შვილების ესმოდა მხოლოდ. ისინიც ეთხოვებოდნენ დედას და ანუგეშებდნენ, არ მიგატოვებთო, შენს გვერდით ვიქნებით, ყოველ განსაცდელში ვარსკვლავებად მოგევლინებითო და საცხოვრებელ ჟამს გაგინათებთო. მედეამ ცრემლები გუნდებად გადაყლაპა და ყელში ებჯინებოდა ბოღმა. როგორ დაბრძენებულან ჩემი შვილები ამ ერთ წყეულ ღამეშიო. შვილებმაც მიუგეს თავიანთი კეთილი ფოსფორული მზერით

- ნუ დაიტოვებ გულში ნურავის მიმართ ბოღმასო, ჩვენ ტკივილები შენი სიყვარულით დავძლიეთო.

- როგორი გულმოწყალენი ყოფილხართო,- უთხრა მედეას დაღვრემილმა და შვილების მოალერსე თვალებმა სულებს, უმეტესწილად რომ თვალებში არათუ მხიარულება, არამედ გამოთხოვებისმიერი ჟამით ნაკარნახევი მწუხარე ღიმილი და განუსაზღვრელი დანაკარგის მიმართ გლოვა იკითხებოდა...

და მედეა ტიროდა, ეს ძლიერი ქალი, შეუპოვარი დედა-მხედარი.

- არ იტირო, დედა,- თხოვა ბავშვების თვალებმა მწუხარებაში ჩაძირულს,- ჩვენ არაფერი გვტკივაო, მხოლოდ ამ გათენებაში შენი ტირილი გვტკივა და ნუ დაგვიმძიმებ გზასო.

- კარგი, შვილებოო,- დაპირდა დედის თვალები.

- სად დაიკარგაო შენი სიმხნეო,- შეაგულიანეს ბავშვებმა დედა.

- ამ ღამეში თქვენ გამოგაყოლეთო, სამშვიდობოს რომ გასულიყავითო.

- ჰოდა ჩვენ სამშვიდობოს გავედითო და დაიბრუნე შენი ძლიერებაო.

- თან წაიღეთო, მე თქვენი ვარსკვლავებიც გამახარებსო.

- ჩვენ ღვთაებრივი კრავი მოგვაკითხავს და იგი ჩაიბარებს ჩვენს სულებს და მარადი ზეიმში გვამყოფებსო.

- მე როგორ მოგაგნოთო, როცა თქვენსკენ წამოვალო,- ერთბაშად დაშინდა მედეას თვალები.

- ჩვენ უდღეური ბავშვები ღვთაებრივი კრავის მარადი სიხარულში ვიქნებით და თქვენ, უდღეური ბავშვების მონატრებული დედები საკუთარ შვილებს დაუწყებთ ძებნას, ისე მოგენატრებით. შვილები კი ამ მარადი სიხარულს თქვენ გადმოგცემთ, რათა აღარ იყოს გლოვა. მაგრამ ვერ დაინახავთ ამას და ისევ დაღვრით ცრემლებს და თქვენში შემოსულ ჩვენ-წილ მარადი სიხარულს წაშლით, ვერ დაგვინახავთ, და მიტომ. .

- როცა დამახრჩობს ეს მონატრება, როგორ მოგაგნოთო,- შეეკითხა დედის თვალებმა შვილებს.

- გზა ბევრი იქნება, კარიც ბევრი იქნება და როცა უამრავ ხალხში ჩვენ დაგვიწყებ ძებნას და ვეღარ გვიპოვი და ვერც დაგვინახავ, იცოდე, რომ სწორედ მაშინ ვიქნებით შენთან. ჩვენი ვარსკვლავი რომ გაგანათებს, სწორედ ამიტომ ვერ დაგვინახავ. ყველა გზას დაადგები და ჩვენამდე ვერ მოხვალ, ყველა კარში შეხვალ და ჩვენ იქ არ დაგიხვდებით და მერე მიხვდები, თუ რაოდენ დიდი დრო გასულა ჩვენი სიკვდილის შემდეგ. შენს წინ დავდგებით და მოგეფერებით და მოგიალერსებთ „როგორა ხარო, დედა“, შენ კიდევ ვერ გვიცნობ. ეს დაგაღონებს ყველაზე მეტად. გაგახსენდება, როგორ მოგვკლეს და ყველაზე ეული იქნები მაშინ ქვეყანაზე. ჯავრისაგან ზეზეულად ჩამოხმე-ბი.

- როგორ უნდა გიპოვოთო, შვილებო,- განგაშით მოსილი თვალებით იკითხა დედამ.

- ღვთაებრივი კრავის გზითო,- უპასუხეს შვილებმა.

- ვინაა ეს ღვთაებრივი კრავი, რომელი ქვეყნის მეფეაო?- გაუღიმა შვილებს.

- იგი მეფე არააო, იგი მეუფეაო.

- ჰოდა როგორ ვიპოვო მეუფეო.

- საკუთარ თავს ჰკითხე და მიხვდებიო.

- რომ მივხვდები, მერეო?

- ჰოდა, მერე ღვთაებრივი კრავი თვითონ გიპოვისო.

- ეს როგორო?

- ისე, როგორც მწყემსი პოულობს გზააბნეულ ცხვარს. უფალი შეგიფარებს და შეგიწყნარებსო,- უპასუხეს ბავშვებმა.

- ვერაფერი გავიგე თქვენი ნათქვამიდანო, ისე კი ძალიან შემაშინეთო,- დაშინებული თვალებით შეაცქერდა დედა თავის შვილებს. ბიჭები კი მიდიოდნენ და დედას შორდებოდნენ, აღარც მედეას ესმოდა მათი გულისპასუხი, ყველაფერი რომ გაესიგრძეგანებინა.

სად იყო და სად არა, ბავშვებს მართლაც მიაკითხა ღვთაებრივმა კრავმა, შეხედა და მიხედა მათ, შუბლზე შეეხო მათ, ისინიც ეამბორენ კრავს. დედა ყველაფერ ამას უყურებდა და მისი სხეულიდან ერთბაშად გაქრა შიშის გრძნობა. იგი უყურებდა ღვთაებრივ კრავსაც და არამიწიერი მადლით იმოსებოდა. მან ასე იფიქრა, ალბათ ეს არისო სიკვდილი და ჩვენი წარმოდგენები სიკვდილზე ცრუაო. კიდევ ერთხელ შეხედა მეუფეს და იგი მიხვდა, რომ მასში სიკვდილი კი არა სიცოცხლე სუფევდა, იმდენად სათნო გამოხედვა ჰქონდა. მან ისიც იგრძნო, რომ ღვთაებრივი კრავის ჟამი ჯერ არ დამდგარიყო, მაგრამ იგი უწინარესად იყო, ვიდრე დადგებოდა მისი დრო და მედეა დაელოდა სულმოუთქმელად ამ დროს. ღრუბლებში მავალნი სულ უფრო და უფრო შედიოდნენ მარადი ცხოვრებაში და რაც უფრო სიღრმეში შედიოდნენ, მით უფრო კარგავდა მედეა თავისი თვალსაწიერიდან მათ. გონება დაძაბა, თვალთა მზერა დაჟინებით მიაპყრო მიმავალთ. ცხოვრება კი თავისას შვრებოდა. მზე მეტად და მეტად ანათებდა, აქა-იქ შემოესმა ჩიტების ჟივ-ჟივი, ნიავმაც აათამაშა მედეას თმები და ეს შეხება იგრძნო. ამით ყურადღებას აფანტვინებდა ამქვეყნიურობა და სააქაოში აბრუნებდა ქალს. იგი კი დაჟინებით უყურებდა შვილებს, რომლებიც ჯერ კიდევ ღვთაებრივ კრავთან ერთად ჩანდნენ ზეციურ სივრცეში. ბუნება კი მოსვენებას არ აძლევდა მედეას - ხან რით და ხან რით იპყრობდა მის ყურადღებას და ამით ღიზიანდებოდა კიდეც იგი. ცრემლები გაშრობოდა დედას. აღარ დასტიროდა შვილებს, მხოლოდ უცქერდა შორეთში გადაკარგულებს და უნდოდა თან გაჰყოლოდა მათ. იქვე მისმა რაშმა ფლოქვები დასცხო მიწას და აჭიხვინდა. ეს სადღა იყოო, უცებ მოვიდა გონს, რაში კი ყალყზე შემდგარიყო და გამონაღამი გაგიჟებული თვალებით შეაცქერდა პატრონს და აჭიხვინდა. ყველაფერმა მოიყვანა გონს საბრალო დედა. ელდა ეცა მას. ღრუბლებს გახედა და იქ აღარავინ ჩანდა, გამქრალიყვნენ მგზავრები. ეძებდა შვილების ნაკვალევს და ვერ პოულობდა. ერთბაშად გამწარდა იგი და როცა დაინახა მკლავებში ყელგამოღადრული სისხლში ამოსვრილი უმცროსი შვილის, ხოლო კალთაში გულგანგმირული უფროსი ვაჟის ცხედრები, საზარლად დაიგმინა. სიმწარემ გაუწითლა თვალები და სისხლი თავში აუვარდა და სისხლმა გადარეცხა მახსოვრობა შვილების სულებისა და ღვთაებრივი კრავის.

მხოლოდ იგი იყო ბავშვების ჭირისუფალი, მხოლოდ მისთვის იყო ეს განთიადი დამთრგუნველი. სამყაროში კი იდგა გაზაფხულის ბუნიაობა. ეს მხოლოდ ამ დილით შეამჩნია, თორემ მთელი იმ ღამის გადამტანმა აღარ იცოდა გაზაფხული იყო, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი. ზამთრის სითბო და ზაფხულის სიცივე ერთიან ატმოსფერულ წნევაში გადანასკვულიყო, გაზაფხულისა და შემოდგომის თავსხმაც მსგავსად ერთ-ქმნილ ამინდში განსახიერებულიყო, სიბნელეც ოთხივე წელიწადის დროში ყველაზე გრძელი უმთვარო ღამის თავდავიწყებიდან იღებდა სათავეს. ამიტომ მისთვის ძნელი გასარჩევი იყო იმ დაწყევლილი ღამის მისტიურ დაუნდობლობაში, თუ რომელი წელიწადის დრო იყო. დილით კი თვალნათლივ აღიბეჭდა მეხსიერებაში ცხადლივი სურათი ბუნების, თუ რა მდგომარეობაში დატოვა სახსოვარმა გონდაკარგულობის საზღვარზე ის. მზე იგრიკას ეტლში შესულიყო. სითბომ იმატა და აახურვა ყოველი ცოცხალი არსება.

აქოჩრილი მამლების თვე იდგა და ისინი წარმართავდნენ სიცოცხლეს. ვნებიანი სურნელი ტრიალებდა მდედრის მამრთა გამომწვევი. აღარ იყო მომქანცველი სიცივე. ყველაფერში სითბო ჩამდგარიყო და ვერ უძლებდა ამ სითბოს პირველყოვლისა ფრინველების პატარა სხეულები. ისინი გახელებულები დაფრინავდნენ, სანამ შეიგრძნობდნენ ცხადლივ ბუნიაობის სიტკბოს. თვალს ვერ მოკრავდი, ისე დაფრინავდნენ ცაში, გეგონებოდა სიპი ქვა აისროლეს მთელი ძალით და მან რკალად გადაკვეთაო ეთერი. მამრები დანავარდობდნენ ზეცაში, დედლები კი ტოტებზე შემომსხდარნი თვალს აყოლებდნენ კმაყოფილებით. შემდეგ დაღლილები ხეებზე შემოსხდებოდნენ და შორიდან ადევნებდნენ თვალს დედლებს და ჯერ კიდევ ბოლომდე არ გაესიგრძეგანებინათ თავიანთი მდგომარეობა. ასე რამდენჯერმე იფრენდნენ და უახლოვდებოდნენ მდედრებს. მერე ბუნება ერთმანეთთან მიაახლოვებდა მდედრსა და მამრს. გვერდიგვერდ ყოფნა სიამოვნებდა წყვილებს. ასე ერთხანს ჩერდებოდნენ და მერე თავის ხურვებას მამრი მდედრს გადასცემდა და აღარ ჯერდებოდნენ ასე უქმად ყოფნას და აფრინდებოდა ერთი ზეცაში, მეორე გამოედევნებოდა. ურთიერთლტოლვას ამძაფრებდა გრილი ნიავი. მიფრინავდა ერთი, მისდევდა მეორე. სადღაც მესამეც დაედევნებოდა, რათა მამრი მამრს ჩანაცვლებოდა. პატარა გულები ათრთოლდებოდა, მდედრი კი განზე გამდგარიყო და ელოდა გამარჯვებულს. მამლები კი დაქოჩრავდნენ და დაასისხლიანებდნენ ერთმანეთს. გამარჯვებულს რჩებოდა დედალი. ჟღურტულით მოუახლოვდებოდა, ამჯერად არ გაექცეოდა დედალი მამალს და მის ნებას დაემორჩილებოდა. სისხლი აჩქროლდებოდა ვნებიანად და ჩაუნისკარტებდა კისერში, რათა დედალი არ გაქცეოდა. ცახცახით გაისიგრძეგანებდა მდედრის გემოს მამრი და მამრის გემოს მდედრი. ბუმბულგაცლილი დედალი სულგანაბული ელოდა მამრის ჟინის დაოკებას და გრძნობდა გაუცხოების შესხეულებას და ამიერიდან მისთვის ეს გრძნობა აღარ იყო უცხო და უცნობი. იგი სხვა დედლებსავით სრულფასოვნად მამრგანცდილი იყო და ერთბაშად ვნებადამცხრალები ერთმანეთისთვის ისევ უცხონი ხდებოდნენ. ის დამარცხებული მამრი კი თავისი დამარცხებული ინსტინქტის აღსადგენად სხვა დედალს ეძებდა, რადგან ქვეშეცნეულად იცოდა, რომ კენტად ქვეყნიერებაზე არაფერი გაჩენილა. და მართლაც, მალე პოულობდა დამარცხებული ფრინველი თავის მეწყვილეს და ისიც დაიოკებდა თავის დაუკმაყოფილებლობას. ისიც პოულობდა თავის ბუდეს და თვალის-ჩინივით უფრთხილდებოდა მას. ცხოვრებაც საამური იყო ყველასთვის, რადგან გრძნობათა დაოკების მიღმა მათთვის არაფერი აღარ რჩებოდა, გარდა ცხოველური ცხოვრებისა, რომელიც დრო და დრო ისევ გაცხოველდებოდა.

ფრინველებისაგან განსხვავებით მხეცები თავიანთ ჟინს საკუთარსავე თავში აღვივებდნენ და მერე ერთბაშად ესხმოდნენ თავს ძუკნებს და ხვადური სიმხეცით ეუფლებოდნენ მათ. სისხლით ადიდებული მგრძნობელი იმალებოდა ძუს საფარში. ზოგი მოულოდნელად ესხმოდა თავს, რათა წინააღმდეგობის გაწევა და კუდით თავის დაცვა ვეღარ მოესწრო. ვისაც გამოცდილი ჰქონდა ხვადის გემო, მათთვის ასეთი თავდასხმები არ იყო მოულოდნელი, პირიქით თვითონაც იწვევდნენ თავიანთი მწიფობის სუნით გამხეცებულ მამრებს. ისინიც ალერსში გადავარდნილები დასისხლიანებამდე კბენდნენ თავიანთ მეწყვილეებს ისე, რომ ვერ გრძნობდნენ ამას. თუ ნაკბენი მტკივნეული გამოდგებოდა და სიამოვნების ეიფორიიდან გამოიყვანდა ძუს, ისიც საპასუხოდ გაშმაგებით დაასისხლიანებდა მოძალადეს. იყვნენ კი მდედრები, რომლებიც ურჩობდნენ თავიანთი სინორჩისა გამო, მაგრამ საბოლოო ჯამში გადარეულ ხვადებს ვერ უმკლავდებოდნენ, ისე მარჯვედ ესხმოდნენ თავს სისხლმოწყურებულ ვაჟურ ჟინში თესლჩამდგარი მამრები. საბრალო ძუები, რომელთათვისაც უცხო იყო შეგრძნება ხვადის მოძალებისა, სასოწარკვეთილებით მინებებოდნენ მხეცურ ნებას და გრძნობდნენ შიგნეულში, თუ როგორ ჯიჯგნიდა მათ ქალურობას გაუცხოებული სხეული, რაც ბუნებრივად ეჩვენებოდათ. ვიდრემდე მოუმწიფებელნი იყვნენ, სხვათა განაყოფიერებას უცქერდნენ და არ იცოდნენ რა ხდებოდა, მოწიფულობისას არ ეგონათ, თუ მათაც გადახდებოდა თავს ის მოძალება, რაც ადრე უნახავთ. მათ ზურგზე გადაწოლილი ხვადები თავს გამარჯვებულად თვლიან. მაგრამ ვიდრე გაიმარჯვებენ და გამარჯვებულის ინსტინქტი გაცხოველდება მათში, მანამდე მდედრისათვის ხვადებს ერთმანეთში უწევთ ჩხუბი, როგორც ჩიტებთან ხდება, ისე. საკუთარ ძალებს ცდიან ამ ჭიდილში. ძლიერი ძალა ყველა შემთხვევაში გამარჯვებულია. მარცხიც პირობითია, რადგან დამარცხებულსაც თავისი თანამეწყვილე ელოდება, პოვნა უნდა მხოლოდ მას და დამარცხებით გამოწვეული თვისების ანაზღაურება მას შემდეგ მოხდება. ვნებათა დაოკების შემდეგ სანადიროდ მიიწევენ ხვადები და სისხლი სწყურიათ და ხორცის გეში კბილებში შიმშილის ცახცახს იწვევს და ისინი ნადირობენ ყველაზე უმოწყალობით. მსხვერპლსაც ისეთივე დაპყრობის სურვილით ეკიდებიან, როგორც მდედრებს, იმ განსხვავებით, რომ მსხვერპლი კვდება და როდესაც მათ სასიკვდილო თრთოლა შეიპყრობს,მტაცებელი მსგავს სიამოვნებას განიცდის, რასაც განიცდის იგი ძუს ზურგზე გადაწოლისას - შიმშილის დაოკების სიამოვნებას, ერთ შემთხვევაში; ხვადური ლტოლვისას,- მეორე შემთხვევაში. განსაკუთრებული სილამაზეა ბუნებაში: განაყოფიერება. ჰარმონიული შერწყმით თვით ბუნება იწყებს განახლებას და სიცოცხლის ახალი ენერგიით შევსებას. წყვილთ ურთიერთშესიყვარულების სიტკბო სითბოთი ვითარდება და მიუხედავად ქალწულური წინააღმდეგობებისა, მაინც ძალა მტკიცდება ორივე სქესში. ერთმანეთით გაზიარებულები ცხოვრების სიმძიმეს სიმჩატით ებმიან. მზეც თავისი ცხოველმყოფელობით ავსებს და ათბობს ბუნიაობისას ბუნებას და ანაყოფიერებს მას.

მწერებიც ერთად შეზრდილიყვნენ და ტკბებოდნენ გაზაფხულის ცხოველმყოფელობით, პეპლებიც კი ყვავილების მრავალფეროვნებასა და ტკბილსურნელებაში ერთმანეთში შესიყვარულებულიყვნენ. ბუნებაც ლაღობდა სრული მშვენიერებით - ცხოველთა სამყაროს ურთიერთშერწყმით. ქვეწარმავლებიც კი ერთმანეთზე შეზრდილიყვნენ. ვნება დუღდა გაზაფხულში და ჟინდამცხრალები ხმაწკრიალებით გამოირჩეოდნენ. დაიწმინდა ხმა ბუნებაში და ვინც იყო დარჩენილი გაუნაყოფიერებელი, ის გამალებით ეძებდა თავის მეწყვილეს და მისი ხმაც სხვათა ხმოვანებისგან გამოირჩეოდა, ასეთივე ხმა პასუხობდა, როგორც მაცნე დაგვიანებული ტრფიალებისა და ისინიც კი საბოლოოდ ერთმანეთს პოულობდნენ.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „მამული“ №48,49,50.

ექიმი ვიქტორ გრიბენკო წარმოშობით უკრაინელი, თუმც ამერიკელი ექიმია, რომელიც ნიუ-იორკში მოღვაწეობს. მას საკუთარი კლინიკა აქვს და წარმატებითაც საქმიანობს. არის ამერიკა-კანადა-უკრაინის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი.

მან გაზეთთან თანამშრომლობა ჩვენი ერისადმი უდიდესი სიყვარულის ნიშნად დაიწყო, ის კი არადა, კვირა არ გავა, რომ რედაქციაში არ დარეკოს და ჩვენი სამშობლოს ამბავი არ იკითხოს. ერთ-ერთი ასეთი მოკითხვისას რომ გაიგო, გაზეთის სააღდგომო ნომერი ფინანსების უქონლობის გამო ვერ გამოდიოდა, სიყვარულით შემოგვთავაზა, რომ თავად დაეფინანსებინა და მიეძღვნა ყველა ქართველი მეგობრისადმი სააღდგომო საჩუქრად.

ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა ამ ფაქტმა, რამეთუ არათუ უკრაინული, ქართული წარმოშობის ბიზნესმენებსა თუ დაწესებულებებს არ გახსენებიათ შეხიდებოდნენ გაზეთს.

გთავაზობთ ჩვენი ავტორის სახელდახელო საუბარს მასთან.

# ექიმთან მისვლა ზიანი რომ არ იყოს!

ექიმი, ბატონი ვიქტორ გრიბენკო, დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა გვესაუბროს ზოგიერთი დაავადების მკურნალობის შესახებ და აქვე აღნიშნა, რომ ქართველ და უკრაინელ ერს ოდითგანვე დიდი მეგობრობა აკავშირებს და დიდად მოხარული იქნება, თუ მის 34 წლიან სამეცნიერო - საექიმო კვლევით შემუშავებულ მკურნალობის გამოცდილებას საქართველოდან ემიგრირებულ საზოგადოებას გააცნობს.

ამასთანავე, ექიმი გრიბენკო უახლესი აპარატურით საკუთარ ავადმყოფებზე თავად ატარებს ულტრაბგერით (ექოლოგიურ) გამოკვლევებს (ძვალ-სახსროვანი სისტემა), საკუთარ დაავადებებს.

ასევე გასათვალისწინებელია ციური პლანეტების ზემოქმედება ადამიანზე, დაავადებებზე..

თუკი ვაღიარებთ მაგალითად, მთვარის ზემოქმედებას წყლის აუზზე (ზღვის მოქცევა, მიქცევა და ა.შ.), რა დააშავა მაშინ ადამიანმა - ჩვენი ორგანიზმი ხომ ძირითადად სითხეებისაგან შედგება, ადამიანის ორგანიზმის 70% შეადგენს წყალს.

ჩემი საკუთარი დაკვირვებების განზოგადებით ვცდილობ, ბანალურად არ მივუდგე პათოლოგიის მკურნალობას.

და თქვენი შეკითხვის პასუხად - პერიფერიულ ნერვულ სისტემას ქმნის მგრძნობელო-

რაც ამერიკაში იშვიათობას წარმოადგენს. მისი თქმით, ექიმის მიერ საკუთარი თვალით დანახული პათოლოგია აგვაცილებს დიაგნოსტიკურ შეცდომას, რაც შედეგიანი მკურნალობის საწინდარია.

ექიმ ვ. გრიბენკოს სამეცნიერო პუბლიკაციებიდან გამომდინარე ძვალ-სახსროვანი სისტემის დაავადების მკურნალობასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობს პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებას.

**- ბატონო ვიქტორ, რა არის პერიფერიული ნერვული სისტემა და რა იწვევს მათ დაზიანებას?**

- ორგანიზმი არის ერთიანი და მთლიანი, ორგანოები ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ და ერთი ორგანოს დაავადება აუცილებლად აისახება სხვა ორგანოზე. არ არსებობს რაიმე დაავადება, რომლის საწინააღმდეგოდ ორგანიზმმა თვითონ ვერ გამოიმუშაოს მისი სამკურნალო ნივთიერება. ასეთ პირობებში კი მარტო ის კი არ არის მთავარი, რომ გარედან შევიყვანოთ ორგანიზმში ქიმიური ნივთიერება, არამედ ამავე დროს თვით ორგანიზმში შევქმნათ სათანადო პირობები, რომ თავისი ძალებით წარმატებით ებრძოლოს

ბის, მამოძრავებელი და ვეგეტატიური ნერვიული ბოჭკოები. ეს ბოჭკოები იქმნება თავის ტვინში, ზურგის ტვინსა და ვეგეტატიურ კვანძებში არსებული ნეირონების სხეულებისაგან და გზადაგზა წარმოქმნის ფესვებს, წნულებს, პერიფერიული ნერვების ღეროებს.

ამგვარად, დაზიანება შეიძლება მოხდეს ნებისმიერ დონეზე და გამოწვეული იყოს ტრავმული, მექანიკური, ინფექციური, ტოქსიკური, მეტაბოლური და სხვა მრავალი ფაქტორით.

**- პერიფერიული ნერვების რა სახის დაზიანებაა გავრცელებული ყველაზე მეტად?**

- ყველაზე ხშირად ავადმყოფები მომმართავენ ზურგის (წელის) მხრის, ფეხების, განსაკუთრებით მუხლის სახსრის ტკივილით.

ზურგის (წელის) ტკივილი უმეტეს შემთხვევაში ხერხემლის პათოლოგიური ცვლილებებით არის გამოწვეული, ანუ ვერტებროგენულია. ხერხემლის დაზიანება, რომელსაც თან სდევს ტკივილი, უმეტესად დეგენერაციულ-დისტროფიული პროცესებით - ოსტეოქონდროზითა და სპონდილოართროზით არის გამოწვეული.

ხერხემლის ოსტეოქონდროზი გახლავთ მალთაშუა დისკოს ხრტილის დეგენერაციული დაზიანება, რომელსაც თან სდევს რეაქტიული ცვლილებები მიმდებარე მალებში.

განასხვავებენ კომპრესულ და რეფლექტორულ სინდრომებს.

ზურგის (წელის) რეფლექტორული სინდრომი, რომლის სინონიმებია ლუმბალგია, ლუმბაგო, ლუმბოიშიოალგია, ხასიათდება უმთავრესად ტკივილით წელის მიდამოში, შესაძლებელია ირადიაცია ქვედა კიდურებში. ეს მდგომარეობა შედარებით უკეთესად ემორჩილება მედიკამენტოზურ მკურნალობას, ეფექტურია ზუსტად ჩატარებული ბლოკადა, აგრეთვე აკუპუნქტურა - რეფლექსოთერაპია. რეფლექსურ წერტილებზე ზემოქმედებით ხდება ორგანიზმის სტიმულაცია. იდეალურია სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებისათვის.

კომპრესიული სინდრომის დროს კი ტკივილს დაერთვის რომელიმე ქვედა კიდურის სისუსტე და კუნთების ატროფია, რეფლექსების გაქრობა. კომპრესია შეიძლება განიცადოს ზურგის ტვინმა ან მისმა მკვებავმა სისხლძარღვებმაც. კომპრესიული სინდრომის დროს საჭიროა ხერხემლის და ზურგის ტვინის დეტალური და დროული გამოკვლევა.

**- ბატონო ვიქტორ, ხშირად მოგმართავენ პაციენტები საკონსულტაციოდ პროფილაქტიკური შემოწმების მიზნით, რომელთაც ჯანმრთელობის მხრივ ჩივილი არ გააჩნიათ?**

- ძალიან იშვიათად... და როგორც წესი, ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან. განსაკუთრებით ჩვენს პირობებში, როდესაც უდიდესი კომპანიები გაკოტრდა, შეშფოთებული გაკოტრებული მეპატრონეები მომმართავენ პროფილაქტიკური გამოკვლევის მიზნით. უმეტესმა ნაწილმა სასწრაფოდ დაიწყეს ზრუნვა საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და ფიქრი იმაზე, თუ როგორ იგრძნობენ თავს 15-20 წლის შემდეგ.

მაგრამ, ზოგადად ჩვენი შემეცნება პარადოქსულია. ჩვენი ცხოვრების კრედოდ ჯერ კიდევ ვაქცევთ მატერიალურ მხარეს.

რეალურ ცხოვრებაში ვის უნდა, რომ იყოს უმწეო და სხვაზე დამოკიდებული ზედმეტი ბარგი, თუნდაც საკუთარ შვილებზე?!

თუ ჩვენს ჯანმრთელობაზე არ ვიზრუნებთ მომავლის პროგნოზირება დიდ სირთულესთან არ არის დაკავშირებული.

**- რას ურჩევდით ჩვენი გაზეთის მკითხველს, სანამ გვიან არ არის?**

- 70 წლის ასაკში ისე რადიკალურად ვერ შეცვლით ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც 30-40 წლის ასაკში.

მართალია, ზოგიერთი პათოლოგიის დროს ნაკლებად შეგვიძლია ზემოქმედების მოხდენა, როგორიცაა თანდაყოლილი ანომალიები, ტრავმა.

დასასრულს მინდა მკითხველს ვურჩიო: დაავადების პირველი სიმპტომების გამოვლინებისთანავე იზრუნეთ პროფილაქტიკაზე და ექიმთან კონსულტაციის შემდგომ ჩაიტარეთ კომპლექსური მკურნალობა. ეს შეაჩერებს დაავადების პროგრესს და თავიდან აგვაცილებთ გართულებებს და ისეთ რთულ ჩარევას, როგორიც არის ქირურგიული ოპერაცია.

**- ბატონო ვიქტორ, საექიმო კულისებს მიღმა, რა არის თქვენი ჰობი?**

- არ შემიძლია უქმად ყოფნა და ირგვლივ ყურება, ჩართული ვარ მცენარეთა, განსაკუთრებით ყვავილთა ახალი ჯიშების გამოყვანით. ვუკრავ ფორტეპიანოს, ვკითხულობ მხატვრულ ლიტერატურას, ვთამაშობ გოლფს, ტენისს და თოვლიან ამინდში, ჩემს ოჯახის წევრებთან ერთად ვსრიალებ თხილამურებზე. და დასასრულს იოგა მეხმარება შევინარჩუნო აქტიური ცხოვრების რიტმი.

**მ. იბერიელი**

P.S. ეს ინტერვიუ რეკლამა არ გახლავთ, მძიმე ტრავმის შედეგად, ხანგრძლივად ლოგინად მიჯაჭვულმა ჩემმა მეგობარმა, პროფესიით ექიმმა, ნაცნობის რჩევით ექიმ ვიქტორ გრიბენკოს კლინიკას მიმართა.

მკურნალ ვ. გრიბენკოს მეთოდიკით ჩატარებულმა დაავადების მკურნალობის კურსის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემი მეგობარი ძველებურად სრიალებს თხილამურებით მაღალი მთიდან.


უკრაინელი ექიმის **ვიქტორ გრიბენკოს კლინიკა**

გიწვევთ სამკურნალოდ და გთავაზობთ თბილ, მეგობრულ მომსახურებას, მაღალკვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას

**იჩქარეთ! დაავადების დროული პროფილაქტიკა და მკურნალობა ჯანმრთელობის საწინდარია. ვღებულობთ ყველა სახის სამედიცინო დაზღვევას, გაზეთ „მამულის" წარდგენისას პირველი ვიზიტი სრულიად უფასოა!**

*დიაგნოსტიკა და მკურნალობა:*
ძვალ-სახსროვანი სისტემის;
ოსტეოქონდროზის; დისკოზების;
ნევროზის; ვენური უკმარისობა;
ბლოკადა ქრონიკული დაავადებების დროს; აკუპუნქტურა-რეფლექსოთერაპია;
ნარკომანიის ანონიმური მკურნალობა; სამედიცინო ექსპერტიზა; ტრავმები;
მოტეხილობები; ავტოავარიები;
სამუშაო კომპენსაცია



170 Avenue S
**(Corner West 7th Street)**
**Brooklyn, NY 11223**
**Tel: 718-946-7967; 718-382-8282**

242 East 19th st, S3
**Manhattan, NY 10003**
**Tel: (212)475-6249**
(Office of Dr. Ostrowski)


## სამძიმარი

# პაატა ტყემუშის გახსენება

სულ პატარა იყავი, პირველად რომ გნახე - ორი წლის, ალბათ. მამიკოს კისერზე შემოხვეოდი და ინსტიტუტის კარიბჭედან გამოსულ ახალგაზრდებს ჯიქური მზერით ათვალიერებდი, დედას ეძებდი. ეს ჩვენი - შენი დედიკოსა და მისი თანაკურსელების პირველი სტუდენტური დღე იყო. ლექციებთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებებში გართულებს, პატარა ბავშვის სიხარულით სავსე შეძახილი „დედიკო" შემოგვესმა და ყველამ შენი მიმართულებით გამოვიხედეთ, გაგვეღიმა, მამას მკლავებში აღარ უჩერდებოდი და დედისკენ იშვერდი პაწაწა ხელებს, მერე ისე ჩაეხუტეთ ერთმანეთს, თითქოს მომავალში თქვენი დამშორებელი არც ძალა იარსებებდა და არც მიზეზი.

„ჩემთან მოდი, პაატა!", „არა, ჩემთან!" - სათითაოდ გეპატიჟებოდით თქვენს გარშემო შემოხვეული სტუდენტები, მაგრამ არცერთს გვიყურებდი, დედა გინდოდა იმ წუთში, მხოლოდ შენი დედიკო.

შემდეგ უკვე გაგვიშინაურდი, შემოგვეჩვიე და ჩვენთან ერთად უჭვრიტინებდი აუდიტორიის კარის ჭრილში, სასესიო გამოცდაზე მერხზე მჯდომ ვიოლას. შენ ჩვენი პირველი შვილი იყავი, ჩვენი ჯგუფის პირველი შვილი. ხან ერთს გვეჯექი კალთაში, ხან მეორეს კისერზე... ხან ერთი ხევდა თავის რვეულიდან ფურცელს, რომ თვითმფრინავი გაეკეთებინა შენთვის, ხანაც მეორე გაჩეჩებდა კალამს, იქნება ხატვას მაინც გაეჩერებინე ადგილზე...

მოსწრებული დედა იქნები-მეთქი, - რამდენჯერ მითქვამს ვიოლასთვის. ისიც სიამაყითა და ღიმილით მიდასტურებდა ნათქვამს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აღარ მინახიხარ, შორიდან ვიგებდი შენს ამბებს, რომ სკოლაც დაამთავრე, ოჯახს ადრე მოეკიდე და ახლა თვითონ გახდი სტუდენტების მშობელი...

რა სწრაფად გასულა დრო და თითქოს ცხოვრებაც... ცხოვრებასაც უყვარს სისწრაფე, მაგრამ ულმობელიცაა რომაა?!.

შენს შემთხვევაშიც ასე გამოდგა - მძიმე ტრამვის შედეგად საწოლს მიგაჯაჭვა და წელიწადზე მეტი გაბრძოლა სიკვდილთან. იწექი გაუნძრევლად და მხოლოდ დედის ხმაზე რეაგირებდი. ვინ იცის, იქნება ბავშვობა გიბრუნდებოდა იმ მომენტში და დედის სითბო გენატრებოდა? ახლა შენს პატარა შვილიშვილში გრძელდება შენი სიცოცხლე, შენი გარდაცვალებიდან სულ მალე რომ შემოსცინა ამ ქვეყანას...

არ მინდა შენს ახლანდელ სურათს დავხედო, მინდა მხოლოდ დედას ჩახვეული პატარა პაატა მედგას თვალწინ და მისი წკრიალა ხმა „დედიკო, დედა" ჩამესმოდეს ყურში...

ეს მე, თორემ შენს ათი წლის უნახავ დედას სხვაც ბევრი ექნება გასახსენებელი.

**გიული წერეთელი**







**გაიხსნა**
# კაფე „თბილისი"

გემრიელი ქართული კერძები, თონის პური,
შეკვეთები სადღესასწაულო სუფრისათვის, ქართული სული!!!
შეკვეთის უფასო მიტანა ბრუკლინში.

**ღიაა დილის 8 საათიდან - საღამოს 11 საათამდე.**
**1871 86th street, (Between 19th ave & Bay 20nd street),**
**Brooklyn, NY 11214 (Tel: 347-492-3808)**






## გილოცავთ ◆ გილოცავთ ◆ გილოცავთ



**ნელი გელაშვილს,**
**„ცაზე ვარსკვლავებს ვერვინ დაითვლის,**
**მზის მცხუნვარებას ვერვინ გაზომავს,**
**იმდენი წლები შენ შეგემატოს,**
**რომ ვერვინ შეძლოს მისი გადათვლა".**
**მრავალ დაბადების დღეს ჩემო ნელი, სიხარული და ჯანმრთელობა ყოფილიყოს შენი ცხოვრების საწინდარი.**

დიდი სიყვარულით **მაგი**

ჩვენს საყვარელ მეგობარს, **ნარგიზ ბიბიჩაძეს** ვულოცავთ იუბილეს. ბედნიერება და ღვთის წყალობა იყოს მუდამ შენი ცხოვრების მეგზური. მალე აგსრულებოდეს შენი ოცნება და ჩახუტებოდე შენს ქუთაისს, შენს ოჯახს, შენს ახლობლებს.

**მეგობრები:**
**მარინა გელაშვილი, დალი ხოფერია, იამზე გოგუაძე, ნათელა მოსიაშვილი, ნანა ნაკაშიძე, ნინო ხარაბაძე.**

* * *

ჩემს **მარიკა გოგოლაძეს**

მშვენიერ, დიდებულ ქალბატონს, ვულოცავ აღდგომის დიდებულ დღესასწაულს და გაზაფხულის შემობრძანებას. უფალი გფარავდეს, იყავ ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი.

დიდი სიყვარულით
**მაია მახარაძე**

* * *

ჩვენს საყვარელ ქალბატონს, სანიმუშო მეუღლეს, ძვირფას დედასა და ბებიას **ნანა ანთიძეს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ლაღას ბედნიერებით გახარებას! ველოდებით შენს სახელ-გვარს მეგამილიონის გამარჯვებულთა სიაში, ჩვენო ნანა!

**მეგობრები**

* * *

ჩვენს **ნინო ხარაბაძეს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს სიკეთითა და სილაღით აღსავსე ლამაზი სულის ქალბატონს.

გემღერებოდეს, გეცეკვებოდეს და გემხიარულებოდეს დალაგებულ, მშვიდ სამშობლოში.

**სიყვარულით:**
**მარინა გელაშვილი, ნარგიზა ბიბიჩაძე, დალი ხოფერია, ნანა ნაკაშიძე, მამულიჩა.**


მაია ნინოშვილის სააგენტო
# GEORGIA-USA TRAVEL

ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველომდე და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით

დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
mnc7@earthlink.net

1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214

**Discount plus - YOUR STORE!**



**შემოწირულობა «მამულისათვის»**

☐ სურვილი მაქვს გაზეთ „მამულის“ არსებობისათვის გავიღო — დოლარი.

(თქვენი სახელი და გვარი)

(სახლის ნომერი და ქუჩა, Apt N)

(ქალაქი, შტატი, Zip-კოდი)

გამოგზავნეთ: MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303




ასავალ დასავალის პატრონობით
მამული
რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE
MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303
www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770
საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით
გაზეთის ეს ნომერი ხელმოწერილია დასაბეჭდად 2009 წლის 16 აპრილს, დიდ ხუთშაბათს, აღმ. ამერიკის დროით 17 სთ-ზე